

ქართული ოთხთავის ორი ძველი
რედაქცია: სამი შატბერდული
ხელნაწერის მიხედვით (897, 936 და 973
წწ.)

აკაკი შანიძე

თბილისი - 1945

წინასიტყვაობა

I. ქართული ოთხთავის გამოცემის ისტორიიდან. ამ გამოცემის მიზანი

ქართული ოთხთავის ტექსტი პირველად ვახტანგ VI-მ გამოსცა 1709 წელს მის მიერ ახლად დაარსებულ სტამბაში. ეს იყო ეკლესიის საჭიროებისათვის დაბეჭდილი ტექსტი გ. მთაწმიდლის რედაქციისა, რომელიც მე-11 საუკუნის მეორე ნახევრიდან მოყოლებული საბოლოოდ დადგენილად ითვლებოდა და საყოველთაოდ მიღებული იყო ქართული ეკლესიის პრაქტიკაში. ასეთივე საეკლესიო დანიშნულებისა იყო, ან, უფრო სწორად რომ ვთქვათ, სარწმუნოებრივი მიზნებისათვის განკუთვნილი იყო ყველა მერმინდელი გამოცემა ქართული ოთხთავისა, ერთად იქნებოდა ის გამოშვებული, ცალკე თავებად, თუ ახალი აღთქმის სხვა წიგნებთან ერთად, ხუცუყრად იქნებოდა ის დაბეჭდილი, თუ მხედრულად¹.

მე-19 საუკუნის მეორე ნახევარსა და მე-20 საუკუნის დასაწყისში იყო ცდები ქართული ოთხთავის ტექსტის მეცნიერული გამოცემისათვის, მაგრამ საქმით თითქმის არა გაკეთებულა რა. მხოლოდ 1908 წელს შეუდგა რუსეთის მეცნიერებათა აკადემია დიდი ხნის ნატვრის პრაქტიკულ განხორციელებას ორი მე-10 საუკუნის ხელნაწერის მიხედვით: ოპიზისა (913 წ.) და ტბეთისა (995 წ.), და 1909 წელს დაიბეჭდა კიდეც მათეს თავი, ხოლო 1911 წელს—მარკოზისა². მალე მსოფლიო ომი ატყდა და ეს წამოწყება შეწყდა. არ დაბეჭდილა მ. ჯანაშვილის მიერ გამოსაცემად დამზადებული ურბნისის ოთხთავი, რომელიც გადაცემული ჰქონდა მოსკოვის საარქეოლოგიო საზოგადოებას³. სამაგიეროდ ამ საზოგადოებამ სხვა მხრივ გაუწია დიდი სამსახური ქართ. ოთხთავების შესწავლის საქმეს: მან 1916 წელს ფოტოტიპურად გამოსცა მთლად უძველესი ქართული თარიღიანი ოთხთავი—ადიშისა (897 წ.)⁴ და ამით ხელ-მისაწვდომი გახდა ის

¹ გამოცემათა წლები: ს ა ხ ა რ ე ბ ი ს ა : 1709, 1739 (მოსკოვს), 1791, 1817 (საჩხერეს), 1823 (მოსკოვს), 1864, 1876, 1883 (ცალკე თავებად), 1890, 1898, 1916 (მარკოზის სახ.); ა ხ ა ლ ი ა ლ თ ქ მ ი ს ა : 1816 (მოსკ.), 1818 (პეტერბ.), 1874, 1879, 1904, 1912; მთელი ბ ი ბ ლ ი ი ს ა : 1743 (მოსკ.). თუ გამოცემის ადგილი არ არის აღნიშნული, ასეთად იგულისხმება თბილისი. [სიის შედგენის დროს გამოყენებულია ბიბლიოგრაფიული ცნობები „ქართული წიგნისა“ (თბილ. 1941), რომელშიაც არ არის შეტანილი 1916 წლის გამოცემა მარკოზის სახარებისა. ამ გამოცემას მე ვიცნობ ფოტომექანიკური გადასაბეჭდის მიხედვით, რომელსაც თავფურცელზე აქვს: „ახალი აღთქმა უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესი. სახარება მარკოზისაგან. ტფილისი. ელექ.-მბეჭ. „ქართლი“, პუშკ. და ლორ.-მელ. ქ., 1916 წ.“, ხოლო მეორე გვერდზე აბეჭდა: St. Mark's Gospel in Georgian. Photographic reprint, 1924. S. 1. (ლონდონს?), 70 გვ.].

² სახარებად ოთხთავი. ორთა ველნაწერთაგან შიგ და შუე წელთათა გამოსცა ვლადიმირე ბ ე ნ ე შ ე ვ ი ჩ მ ა ნ . ნაკვეთი ა. სახარებად მათცს თავისად. ს.-პეტერბ. 1909. ნაკვეთი ბ. სახარებად მარკოზის თავისად. 1911 (სათაური აგრეთვე რუსულად და ლათინურად). [გამოცემისას ვ . ბ ე ნ ე შ ე ვ ი ჩ ს კონსულტაციას უწევდა და ეხმარებოდა ნ . მ ა რ ი , რომლის სახელი, პირვანდელი განზრახვის თანახმად, გამოცემაზედაც უნდა აღნიშნულიყო: «издали В. Н. Бенешевич и Н. Я. Марр» (Известия АН, 1908, 421)].

³ ხელნაწერი დაუბრუნდა ავტორს 1923 წელს და შემდეგ გადაეცა თბ. უნივერსიტეტის ხელნაწერთა განყოფილებას (ამჟამად დაცულია საქართ. მუზეუმში, А 1732). [მ . ჯ ა ნ ა შ ვ ი ლ ი ურბნულ ხელნაწერს იყენებდა შესაღარებლად სხვა ოთხთავების აღწერის დროს (Описание, III, №№ 845, 850, 1031)].

⁴ Адышское евангелие. 200 фототипических таблиц и предисловие Е. С. Такайшвили (=Материалы по археологии Кавказа. Выпуск XIV. Под редакцией П. С. Уваровой, А. С. Хаханова и Е. С. Такайшвили). Москва, 1916.

მეცნიერთათვის. ამ ფოტოტიპიური გამოცემის მიხედვით ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორი რ. ბლეიკი შეუდგა მისი ტექსტის სტამბური წესით გამოცემას და 1928 წელს პარიზს დაბეჭდა მარკოზის თავი, თანაც, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის გამოცემაზე დაყრდნობით, უჩვენა ვარიანტები ოზიზისა (A) და ტბეთის (B) ხელნაწერთაგან. ამას გარდა, იმ მიზნით, რომ ქართული ვერსიის დეტალები და საერთო ვითარება გასაგები ყოფილიყო მეცნიერთა ფართო წრეებისთვის, მან გამოცემას დაურთო ლათინური თარგმანი⁵. მარკოზის თავს მოჰყვა მათეს თავი იმავე სახით⁶, ხოლო იოანეს თავი, უკვე აწყობილი და გვერდებზე შეკრული 1939 წ., შეჩერდა ომიანობის გამო.

ასეთი ყურადღება ქართული ოთხთავებისადმი აიხსნება, სხვათა შორის, იმ მნიშვნელობით, რომელიც მათ აქვთ სასარების ტექსტის ისტორიისათვის. დ. ბაკრაძე და ნ. მოყოლებული⁷ სპეციალურ ლიტერატურაში სულ იდგა საკითხი, თუ რა მიმართებაშია ქართული ტექსტი ბერძნულთან და სხვა ვერსიებთან: სომხურთან და სირიულთან. ჩვეულებრივ საკითხის გადაწყვეტა ხდებოდა არა მთელი ტექსტის ყოველმხრივი შესწავლისა და კრიტიკული განხილვის ნიადაგზე, არამედ ამა თუ იმ ადგილის შედარების გზით ბერძნულ ტექსტთან, სომხურთან ან სირიულთან და ამიტომ ამგვარად მიღებულ დასკვნებს აკლდა დამარწმუნებლობის ძალა, მათ შეიძლება მნიშვნელობა ჰქონოდათ მხოლოდ ცალკეული ადგილებისთვის და არა მთელი ქართული ოთხთავის თარგმნის ისტორიისათვის⁸. ეს იმიტომ, რომ, ჯერ ერთი, ქართული ტექსტი არ იყო კრიტიკულად დადგენილი და სათანადოდ გამოცემული და, მეორეც, არ იყო გათვალისწინებული თვით ბერძნული ტექსტის ისტორია, არც, მით უმეტეს, სომხურისა და სირიული ვერსიებისა. დამახასიათებელია ამ მხრივ ცნობილი ინგლისელი არმენისტის განცხადება: „ქართული ახალი აღთქმის დაწვრილმანებითმა განხილვამ დამარწმუნა, რომ ის თავდაპირველად გადმოთარგმნილია ძველი სირიული ტექსტისაგან, რომელიც თითქმის იმგვარივე ყოფილა, როგორც უხმარიათ პირველ სომეხ მთარგმნელებსაო. ორსავე ვერსიას შემდეგ რევიზია განუცდია და გაუსწორებიათ მთლიანად და (ერთმანეთისაგან) დამოუკიდებლად ბერძნული ტექსტის მიხედვით“⁹. ასეთი მნიშვნელოვანი დებულების წამოყენება იმ მცირე მასალის მიხედვით, რომელსაც კონიბერი გვაწვდის¹⁰, სრულიად არ არის საკმარისი ქართ. ახ. აღთქმის თარგმნის ისტორიის გასათვალისწინებლად, ოთხთავის ფარგლებშიც კი. ცხადია, ამგვარი საკითხების კვლევა-ძიებისას უპირველეს ყოვლისა საჭიროა გათვალისწინება იმისა, თუ რას წარმოადგენს თვით ქართული ტექსტი, რა ურთიერთობაშია ძველ ხელნაწერთა ვარიანტები,

⁵ The Old Georgian Version of the Gospel of Mark from the Adysh Gospels with the Variants of the Opiza and Tbet' Gospels edited with a Latin Translation by Robert P. Blake (=Patrologia orientalis. Tome XX, fasc. 3, pp. 439-574). Paris 1928.

⁶ Gospel of Matthew, *ibid.* XXIV, fasc. 1. Paris 1933 (პირადად არ მინახავს, დამოწმებულია: Quantulacumque, November, 1937, p. 355).

⁷ Д. З. Бакрадзе, Древние варианты грузинского четвероевангелия: Труды V-го археологического съезда в Тифлисе. Москва, 1887, стр. 215-220.

⁸ ზოგადი ცნობები და ლიტერატურა ძველისა და ახალი აღთქმის ქართულად თარგმნის ისტორიის შესახებ მოიპოვება კ. კეკელიძის წიგნში: „ქართული ლიტერატურის ისტორია“. ძველი მწერლობა. ტ. I. მე-2 გამოცემა, თბ. 1941, გვ. 385-389.

⁹ Fred. Conybeare, The Georgian Version of The NT: Zeitschr. f. d. neutest. Wissenschaft, XI (1910), 232.

¹⁰ ლუკა, თთ. 1—5 (ვატიკანის ხელნაწერის მიხედვით) და ნაწყვეტები მათედან (22, 12—24; 22, 19—23, 8; 23, 1—8) და მარკოზიდან (15, 41—47; 16, 1—6) ორი თბილისური ხელნაწერის მიხედვით.

რადარა რედაქცია მოგვეპოვება და სხვა. მხოლოდ ასეთი წინასწარი სამუშაოების შესრულების შემდეგ შეიძლება მართებულად დაისვას და სათანადოდ გადაიჭრას ისტორიულ ლიტერატურული საკითხები.

წინამდებარე გამოცემა ერთი ნაწილია იმ სამუშაოებისა, რომლებიც აუცილებლად უნდა იქნენ შესრულებული ამ მიმართულებით. მართლაც, როცა ყველა ძველი ხელნაწერი შესწავლილი იქნება და სათანადოდ გამოცემული იქნება კრიტიკულად დადგენილი ტექსტი, მაშინ ადვილი იქნება მთლიანად გამოირკვეს თარგმნის ისტორია და მისი გზები და ის ხვედრითი წონა, რომელიც აქვს ქართულ ვერსიებს ოთხთავის ტექსტის შემუშავებისა, გავრცელებისა და ფილიაციის საქმეში. რომ ეს წონა მცირე არ არის, კარგად ჩანს რ. ბლეიკის ანალიზიდან, რომელიც მას მარკოზის თავის ტექსტზე მოუხდენია. ეს მეცნიერი ფიქრობს, რომ ქართული ოთხთავები (ადიშისა და ოპიზა-ტბეთისა), სომხურ ვერსიასთან ერთად, მიეკუთვნება იმ ხელნაწერთა ჯგუფს, რომლებიც შეიცავენ ე. წ. „კესარიულ“ ტექსტს. ეს ის ტექსტია, რომელიც კესარიამ მოიპოვებოდა მე-3 საუკუნეში და რომელსაც სარგებლობდნენ და იმოწმებდნენ ორიგენი და ევსები. ამ „კესარიულ“ ტექსტს პირვანდელი სახით ჩვენამდე არ მოუღწევია, მაგრამ ის ნაწილობრივ წარმოდგენილია ხელნაწერთა ერთ წყებაში, მათ შორის კორინდეთის ბერძნულ ოთხთავში¹¹. ქართული ტექსტები (ადიშისა და ოპიზა-ტბეთისა) წარმოადგენენ უფრო ძველ საფეხურს, ვიდრე არსებული სომხური ტექსტები, რომელთაც ძალზე განუცლიათ მერმინდელი დროის რევიზია¹². აღსანიშნავია, სხვათა შორის, ის გარემოება, რომ სამმა ავტორმა (K. Lake-მა, R. Blake-მა და S. New-მ) ქართული ვერსიების ჩვენება გამოიყენეს კესარიული ტექსტის ადგენის დროს მარკოზის სახარების სამი თავისათვის: პირველისა, მეექვსისა და მეთერთმეტისათვის¹³. მათი სპეციალური ნაშრომი კესარიული ტექსტის შესახებ განგებ შემოფარგლულია მარკოზის სახარებით. სხვა სახარებათა ტექსტის ანალიზმა შეიძლება სხვა შედეგი მოგვცეს¹⁴.

აქ დაბეჭდილი ტექსტები სამი ხელნაწერისა ერთი და იმავე მონასტრიდან არის გამოსული, მათი გადაწერის დრო ღიდად არ არის დაშორებული ერთმანეთისაგან (პირველს მეორისაგან 39 წელი ჰყოფს, მეორეს მესამისაგან კი — 37), მაგრამ ისინი ტექსტობრივად ღიდ განსხვავებას გვიჩვენებენ. არსებითად აქ გვაქვს ორი რედაქცია: ერთი წარმოდგენილია ადიშის ხელნაწერში (C), მეორე კი — ორს უკანასკნელში: ჯრუჭისა (D) და პარხლისაში (E). რადგანაც აქ საქმე გვაქვს ორს გარკვეულად განსხვავებულ რედაქციასთან როგორც ლექსიკის თვალსაზრისით, ისე ფრაზის აგებულების მხრით, ამიტომ არ იქნება მიზან-შეწონილი, რომ ერთი რომელიმე მათგანი (მაგალითად, ადიშისა) მიგვეჩინა ღელა-ტექსტად და მეორის განსხვავებული წაკითხვები ვარიანტებად ჩამოგვეტანა სქოლიოებში, რადგანაც ამ შემთხვევაში მეორე რედაქციას, თითქმის სანახევროდ ვარიანტების სახით სქოლიოებში ჩამოტანილს, სრულიად დაეკარგებოდა დამოუკიდებელი ხასიათი, მისი ტექსტი მიიჩქმალებოდა შენიშვნებში, რომლებიც ძალზე გაიზრდებოდა, — თითქმის იმდენსავე ადგილს დაიჭერდა, რასაც პირისპირ ბეჭდვის შემთხვევაში, — და კრიტიკული აპარატი ძნელად გამოსაყენებელი იქნებოდა. ამ მოსაზრებათა გამო ვამჯობინეთ ტექსტების ცალკ-ცალკე ბეჭდვა, ერთიმეორის პარალელურად. ამ გარემოებამ მუშაობაც

¹¹ეს ბერძნული სახარება დაცულია საქ. მუზეუმში (A 993) და ნაწილობრივ ფოტოტიპურადაც არის გამოცემული, სახელდობრ, მარკოზის სახარება მთლად (Материалы по археологии Кавказа, XI).

¹²Gospel of Mark, pp. 445-449; Kirsopp Lake, Robert P. Blake and Silva New, The Caesarean Text of the Gospel of Mark (Harvard Theolog. Review, vol. XXI, № 4, 1928, pp. 207-404). 6. განსაკუთრებით გვ. 254-255.

¹³The Caesarean Text of the Gospel of Mark, pp. 292—307, 311, 314—320. თვით ადგენილი კესარიული ტექსტი მარკოზის სამი თავისა (I, VI, XI) ნახე 397—404 გვერდებზე.

¹⁴Ibid., pp. 277, 328.

გაგვიადვილა და, რაც მთავარია, ორივე რედაქციის ტექსტის თავისებურებანი მკაფიოდ წარმოაჩინა; ამან საქმის ვითრება საერთოდ უფრო ნათელი გახადა და გამოცემის მნიშვნელობა საგრძნობლად გაზარდა.

ტექსტი, რომელიც წარმოდგენილია პირველ სვეტში, ე. ი. ჯრუჭ-პარხლისა, ეს არის ის ტექსტი, რომელიც საფუძვლად დასდებია მერმინდელ რედაქციებს: ჯერ ექვთიმე მთაწმიდლისას და შემდეგ გიორგი მთაწმიდლისას. ამ უკანასკნელმა რედაქციამ, როგორც ვიცით, საბოლოოდ განდევნა ყველა დანარჩენი რედაქცია და იქცა ქართულ ვულგატად. ჯრუჭ-პარხლის ტექსტი — ეს არის, ასე ვთქვათ, ქართული პროტოვულგატა, ე. ი. ტექსტი, რომელიც, მცირე-მცირე ცვლილებით, საყოველთაოდ გავრცელებული ყოფილა მე-10 საუკუნეში. მას მხარს უჭერს საერთოდ სხვა ოთხთავები მე-10 საუკუნისა: ოპიზისა (913 წ.), ბერთისა (988 წლამდე)¹⁵ და ტბეთისა (955 წ.). უფრო მეტიც: ჯრუჭ-პარხლის ტექსტს მხარს უჭერს უფრო ადრინდელი ტექსტებიც: ხანმეტი ლექციონარი (მე-7 ს.-ისა)¹⁶, ნაწილი ი. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ს მიერ გამოქვეყნებული ხანმეტი ნაწყვეტებისა¹⁷ და ჰამეტი ლექციონარის ნაწყვეტები¹⁸.

აღსანიშნავია, რომ ბ ლ ე ი კ ს თავისი სამუშაოსათვის მოუხმია ი. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ს მიერ გამოცემული ხანმეტი ტექსტებიც და ამბობს, რომ ეს ტექსტები ადიშის ხელნაწერის წაკითხვებს უჭერს მხარსა¹⁹. სხვაგან ის შენიშნავს: უნდა დავასკვნათ, რომ ადიშის ხელნაწერი და ხანმეტი ნაწყვეტები ეკუთვნიან ხელნაწერთა იმ ჯგუფს, რომელსაც არ შეჰხებია რევიზია, რომელმაც თავისი კვალი ოპიზისა და ტბეთის ხელნაწერთა ტექსტებზე დასტოვა; სხვანაირად რომ ვთქვათ, ჩვენ საქმე გვაქვს ტექსტობრივი ტრადიციის ისეთ ფენასთან, რომელიც უსწრებს ელინოფილურ მოძრაობასა²⁰. ასეთი მტკიცება მხოლოდ ნაწილობრივ არის მართალი: ადიშურს (C-ს) მისდევს, ნამდვილად, მათ. 6, 31—33 და მათ. 7, 1—15 (მეორე ნაწყვეტიც: 7, 4—16), სამაგიეროდ DE-ს უჭერს მხარს²¹ მარკ. 9,43—50, ლუკ. 2, 18—23; 15, 22—28; 19, 43—44. რადგანაც C-ს პირვანდელი ტექსტი ლუკას მე-19 თავის ფარგალში დაკარგულია და შევსებულია DE-ს მსგავსი ტექსტის მიხედვით²², ხოლო პალიმფსესტებიდან ამოკითხული ტექსტი აქ განსხვავებულია DE-საგან, შესაძლებელია, რომ სწორედ აქ იყოს შემონახული C-ს პირვანდელი ტექსტი (ლუკ. 19, 44—48 საერთოა CDE-ში²³).

¹⁵R. Blake and S. Der Nersessian, *The Gospels of Bert'hay: An Old-Georgian Ms. of the Tenth Century* («Byzantion», 16 1944, p. 257).

¹⁶ხანმეტი ლექციონარი. ფოტოტიპირი რეპროდუქცია. გამოსცა და სიმფონია დაურთო ა. შ ა ნ ი ძ ე მ (=ძველი ქართული ენის ძეგლები. 1). 1944.

¹⁷ი. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ახლად აღმოჩენილი უძველესი ქართული ხელნაწერები და მათი მნიშვნელობა მეცნიერებისათვის; ტ. უ. მ. II (1922-23), გვ. 313-391.

¹⁸ა. შ ა ნ ი ძ ე მ, ჰამეტი ტექსტები და მათი მნიშვნელობა ქართული ენის ისტორიისათვის; ტ. უ. მ. III (1923), გვ. 354-388.

¹⁹The Old Georgian Version of the Gospel of Mark, p. 449; The Caesarean text, pp. 290, 297, 373.

²⁰Ibid, p. 373. შლრ. აგრეთვე გვ. 375. მათესა და მარკოზის სახარებათა ხანმეტის ნაწყვეტების ადიშის ტექსტთან შედარებაში ბ ლ ე ი კ ს დაჰხმარებია B. A. Streeter-ი (იქვე, გვ. 372, შნშ. 68).

²¹AB-ს გამოცემული ტექსტი მარტო მათესა და მარკოზის თავებს შეიცავს. სხვა თავებისათვის შეიძლება მიემართოს DE-ს, რომელიც ტიპობრივად AB-ს ტექსტს შეიცავს.

²²ნახეთ ქვემოთ გვ. 010.

²³ხანმეტი ნაწყვეტების სხვადასხვა რედაქციულ შედგენილობას პირველად ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე მ მიაქცია ყურადღება („სახარების ქართ. თარგმანთა შესახებ მე-5—6 საუკუნეში ხანმეტ ტექსტებთან დაკავშირებით“: «საისტორიო ძიებანი», 1924, 1—37).

რაც შეეხება მერვე სვეტის ტექსტს, ე. ი. აღიშის ხელნაწერისას (C), ის წარმოადგენს სრულიად ცალკე მდგომ რედაქციას, როგორც ამას თავიდანვე აღნიშნავდნენ მკვლევრები²⁴. მაგრამ არის ერთი გარემოება, რომელსაც ანგარიში უნდა გავუწიოთ. ეს ის განსვავს, რომ, თუმცა ლუკას ტექსტი (თუ არ მივიღებთ მხედველობაში მცირეოდენ დანაკლისს ახალი ხანისას: 6, 42–49; 19, 10–14; 20, 37–43; 21, 29–38; 22, 1–14) მთლიანად არის წარმოდგენილი ხელნაწერში, მაგრამ, როგორც ეს ცხად-ყო ღოც. ი. ი მ ნ ა ი შ ვ ი ლ მ ა²⁵, ნაწილი ამ ტექსტის რედაქციულად (ტერმინების ხმარების მხრივ, ფრაზის აგებულების მიხედვით) და გრამატიკულადაც სხვა ნიშნებს გვიჩვენებს, ვიდრე მათე-მარკოზ-იოვანეს ტექსტი იმავე ხელნაწერისა და ნაწილობრივ თვით ლუკასიც; სახელდობრ, ძირითადი ტექსტისაგან განსხვავებულია შემდეგი ადგილები: ლუკა 3,9–15,7 და 17,25–23,2. როგორც გვიჩვენებს ამ ადგილების განხილვა, ისინი არსებითად DE-ს უჭერენ მხარს. მამასადამე, აღიშის ოთხთავის ტექსტის ერთი ნაწილი (მოცულობით, აქ დაბეჭდილი სვეტების მიხედვით რომ ვიანგარიშოთ, დაახლოებით 70% ლუკას სახარებისა) სხვა რედაქციისა ყოფილა, ვიდრე დანარჩენი ტექსტი (ე. ი. ლუკ. 1,1–3,8 და 23, 3–24, 53 და ყველა სხვა მანარებელთა ტექსტი). გამოდის, რომ დედანი, საიდანაც გადმოიწერა აღიშის ოთხთავი (ან ერთ-ერთი მისი წინამორბედი), ნაკლულევანი ხელნაწერი ყოფილა, მას საკმაოდ ჰკლებია ლუკას სახარებაში²⁶ და ეს დაკლებული ადგილები შეუვსიათ DE-ს ტიპის ხელნაწერიდან²⁷.

აღნიშნოთ ეს ორი სხვადასხვა წარმოშობის ტექსტი აღიშის ოთხთავისა, უმეტესი (C¹) და უმცირესი (C²), შემდეგი ტერმინებით შესაბამისად: „ძირითადი“ და „ჩანართი“. ძ ი რ ი თ ა დ ი (C¹, გამარტივებით: C) არის საკუთრივ აღიშური რედაქციის ტექსტი, ჩ ა ნ ა რ თ ი (C²) კი — დანაკლისის შესავსებად ჩართული ტექსტი სხვა რედაქციისა, რომელიც საერთოდ პროტოვულგატას მისდევს. თუ ამ ჩანართ ტექსტს არ მივიღებთ მხედველობაში, აღიშის ხელნაწერი, მართლაც, განცალკევებულ ადგილს დაიჭერს ძველ ოთხთავებს შორის. ბ ლ ე ი კ ი ს აზრით, ეს არის ის ტექსტი, რომელმაც შემდგომი რევიზიის შედეგად მოგვცა ერთი მხრით A (ობიზური) და მეორე მხრით B (ტბეთური)²⁸. მაგრამ აქ ჯერ კიდევ ბევრი რამ არის გამოსარკვევი. უეჭველია, მაგ., რომ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, პროტოვულგატური ტექსტი ძალიან ადრე გვხვდება, ე. წ. ხანმეტ ნაწყვეტებში და, რაც უფრო საყურადღებოა, ხანმეტი ლექციონარი, რომელიც მე-7 საუკუნის ძველია, თითქმის მთლად პროტოვულგატურია²⁹. ასეთივე ვითარებაა ჰაემეტ ტექსტებშიც³⁰. ამიტომ საკითხი ძველი რედაქციების ურთიერთობის შესახებ არსებითად ჯერ ისევ დასაწყის სტადიაში იმყოფება შესწავლის მხრივ და საბოლოო დასკვნის გამოტანა ნაადრევად უნდა იქნეს მიჩნეული. ერთი კი ცხადია მაინც, რომ ქართული ოთხთავის ტექსტს ბევრჯერ განუცდია რევიზია. აღსანიშნავია, სხვათა შორის, ის გარემოება, რომ, თუმცა ჯრუჭისა და პარხლის

²⁴ნახე, მაგ., ა. ხ ა ხ ა ნ ა შ ვ ი ლ ი ს თეზისები აღიშის ოთხთავის ფოტოტიპიური გამოცემის წინ წამძღვარებულს ე . თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი ს წინასიტყვაობაში, გვ. 7.

²⁵აღიშის ოთხთავი რედაქციულად (იბეჭდება უნივერსიტეტის შრომებში). [ი მ ნ ა ი შ ვ ი ლ ზ ე ადრე ეს ამბავი გაკვრით ს . კ ა კ ა ბ ა ძ ე მ აღნიშნა (ხსენ. თხზ. გვ. 7–19)].

²⁶ი . ი მ ნ ა ი შ ვ ი ლ ი ს თანახმად, აქა-იქ სხვაგანაც არის ამგვარად შევსებული ადგილები, მაგრამ მათი რაოდენობა მცირეა.

²⁷შდრ. ს . კ ა კ ა ბ ა ძ ე მ , ხსენ. თხზ., 20.

²⁸Gospel of Mark, p. 446–447.

²⁹გამონაკლისს წარმოადგენს ზოგიერთი ადგილი, სადაც ლუქსიკის თვალსაზრისით ხანმეტი ლექციონარი (X) C-სთან არის: ნესტვთა CX, საყვრითა ABDE (მ. 24, 31), ხილვადცა CX, გამოჩინებადცა DE (ლ. 24,23) და სხვ.

³⁰მოიპოვება იშვიათი შემთხვევები, როცა ჰაემეტი ტექსტი (Z) მხარს უჭერს C-ს: სისხლისა BCZ, წიღონებისა ADE (მრ. 5, 29); ვახშითურთ CZ, აღნაგინებთურთ DE (ლ. 19, 33).

ხელნაწერები საერთოდ ერთისა და იმავე რელაქციისანი არიან, რომელსაც ჩვენ პროტოგულგატა ვუწოდებთ, მაგრამ აქა-იქ მათ შორის არსებითი ხასიათის განსხვავებანიც მოიპოვება. საყურადღებო ის არის, რომ ასეთ შემთხვევებში ერთ-ერთი მათგანი C-სთან არის: ხან D და ხან E. მაგრამ მოიპოვება ადგილებიც, სადაც სამივე შატბერდული ხელნაწერი სრულიად განსხვავებულია ერთმანეთისაგან; მაგალითისთვის შეგვიძლია დავასახელოთ ლუკ. 1, 78: „რომელთა მ ო მ ხ ე დ ა ჩუენ აღმოსავალმან მაღლით“ D, „რომელთა გ უ ე ჩ უ ე ნ ა ჩუენ მზც იგი აღმომავალი მაღლით“ E, „რომლითა მ ო გ უ ძ ი ნ ნ ე ს ჩუენ მზემან აღმომავალმან მაღლით“ C. ცხადია, აქ სხვადასხვა ნუსხასთან კი არა გვაქვს საქმე, არამედ სხვადასხვა რელაქციასთან. ეს გარემოება აშკარად მოწმობს, რომ ერთი იმ პუნქტთაგანი, სადაც ოთხთავის ქართ. ტექსტი სწორდებოდა, შატბერდი ყოფილა. სამწუხაროდ, ჯერ-ჯერობით არ მოგვეპოვება უტყუარი ცნობები იმის შესახებ, თუ რის მიხედვით ასწორებდნენ ტექსტს, რასთან ამოწმებდნენ მას, რა წყაროებით სარგებლობდნენ და, საზოგადოდ, რა პრინციპებით ხელმძღვანელობდნენ ასეთი საპასუხისმგებლო მუშაობის დროს. ძველი დროისათვის არ გვხვდება ისეთი ლაკონიკური შენიშვნაც კი, როგორც იკითხება გიორგისეული რელაქციის ოთხთავის ზოგიერთ ცალში³¹ მათ. 24, 36-ის შესახებ: „ ა რ ც ა ძ ე მ ა ნ , — ესე სიტყუად სამთა ბერძულთა სახარებათა არა ეწერა, არცა მე დავწერე, მთაწმიდელი იტყვს“. მაგრამ უეჭველია, რომ თანდათანობით ზოგი დეტალი ძველი პერიოდისთვისაც გამოირკვევა. ამისთვის უპირველეს ყოვლისა საჭიროა ყველა მოღწეულ უძველეს ხელნაწერთა ტექსტის კრიტიკული გამოცემა.

როგორც ვხედავთ, ჩვენს გამოცემას უაღრესი მნიშვნელობა აქვს ზოგიერთი ისტორიულ-ლიტერატურული საკითხის გადასაწყვეტად, მით უმეტეს, რომ ორი რელაქცია პირისპირ უდგას ერთმანეთს და ამით გაადვილებულია როგორც მათი შედარება ურთიერთ შორის, ისე მათთან შედარება სხვა ხელნაწერების ტექსტისა. მაგრამ გარკვევით უნდა აღვნიშნოთ, რომ არა ეს იყო მთავარი მოტივი შატბერდული ოთხთავების ტექსტის გამოცემისათვის, არამედ ის გარემოება, რომ ისინი წარმოადგენენ ქართული სალიტერატურო ენის უძველესი პერიოდის ძეგლებს. მართალია, ისინი გადაწერილია გვიან, მე-9-სა და მე-10 საუკუნეებში, მაგრამ წარმოშობით ისინი უეჭველად ადრინდელ ხანას განეკუთვნებიან. რა თქმა უნდა, ენა რამდენადმე გაუსწორებიათ მერმინდელი ნორმების მიხედვით, მაგრამ ძირითადად ისინი მაინც მე-4—5 საუკუნეთა ენას ასახავენ. სტილისტური რელაქცია უმთავრესად ხანმეტობასა და ჰაემეტობას შეჰხვება³². თუმცა ამ მხრივ ბევრი დააკლდა ძველი ენის კოლორიტს, მაგრამ თამამად შეიძლება ითქვას, რომ ძირითადი მარაგი უძველესი მორფოლოგიურ-სინტაქსური ნიშნებისა და არქაული ლექსიკა კარგად არის შიგ დაცული. ძველი ქართული ენის ძეგლებს შორის აქ დაბეჭდილ ოთხთავებს, უეჭველია, ერთი უპირველეს ადგილთაგანი უჭირავთ და სწორედ ამან განსაზღვრა მათი გამოცემის გადაუდებელი საჭიროება. ამ გამოცემით რამდენადმე ივსება ის დიდი დანაკლისი, რომელიც დიდი ხანია იგრძნობოდა სალიტერატურო ქართულის სათავეების შესწავლის დარგში.

II. ხ ე ლ ნ ა წ ე რ თ ა ა ლ წ ე რ ი ლ ო ბ ა

³¹მაგალითად, ართვინისა და კალკოსისაში: Н. Марр, Дневник поездки в Шавшетию и Кларджетию, გვ. 190; ე . თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი , არქეოლ. ექსპედ. კოლა-ოლთისში, გვ. 36.

³²ხანმეტობისა და ჰაემეტობისა თითო-ორი ნაშთი მაინც არის შემონახული შიგ. ა შ ა ნ ი ძ ე , ჰაემეტობა აღიშის სახარებაში: ტ. უ. მ. II, 417—420; Переживания ханмэтных форм в груз. Рукописях IX—X—XI веков (მეცნ. აკად. მოამბე, I, 1940, № 3, გვ. 237—240).

განთქმული შატბერდის მონასტერი, რომელიც გრიგოლ ხანძთელმა დააარსა კლარჯეთში მე-9 საუკუნის დასაწყისში, ქართული მწიგნობრობის კერა შეიქმნა მე-9—10 ს.ს.-ებში. აქედან ვრცელდებოდა ქართული წიგნები, ორიგინალური თუ ნათარგმნი, არა მარტო ჭოროხის ხეობისა და მტკვრის სათავის ქართულ პროვინციებში, არამედ უფრო შორსაც, საქართველოს სხვა კუთხეებშიაც. აქ გადაწერილ ხელნაწერთაგან ჩვენს დრომდე მოუღწევია რამდენიმეს, მათ შორის სამ ოთხთავს, რომელთაგანაც ორი ცნობილია მათ-მათი უკანასკნელი სამყოფი ადგილის მიხედვით, მესამე კი—შეწირვის ადგილის მიხედვით; ესენია: ადიშის, ჯრუჭისა და პარხლის ოთხთავები.

ადიშის ოთხთავი (პ ი რ ვ ე ლ ი შ ა ტ ბ ე რ დ უ ლ ი) გადაწერილია 897 წ. უკანასკნელად ის დაცული იყო ზემო სვანეთში, ს. ადიშში (სვანური გამოთქმით: ჰადშში), ამიტომ ჩვეულებრივ ადიშის სახელით არის ცნობილი. პირდაპირი ცნობები არ მოიპოვება იმის შესახებ, რომ ეს ხელნაწერი შატბერდში იყოს გადაწერილი, მაგრამ, ჯერ ერთი, მის მომგებლად მოხსენებულია სოფრონ, რომელიც უთუოდ ის სოფრონია, რომელიც გრ. ხანძთელის ცხოვრებაში ასეა შესხმული: „დიდი სოფრონ, სანატრელი მამად, შატბერდისა ეკლესიისა განახლებით აღმამცნებელი და უკუნისამდე გვრგვნი მისი“³³; ესლა მეორე: ნიკოლაოს ჯუმათლის მინაწერიდან ცხადია, რომ ადიშის ოთხთავი, სხვა ხელნაწერებთან ერთად, შატბერდიდან არის გამოტანილი. ამიტომ ვფიქრობთ, რომ მისი დაწერის ადგილი შატბერდია.

ჯრუჭის ოთხთავი (მ ე ო რ ე შ ა ტ ბ ე რ დ უ ლ ი) ტექსტი გადაწერილია 936 წ., ხოლო სურათები შესრულებულია 940 წ. უკანასკნელად ის დაცული იყო ჯრუჭის მონასტერში (ზემო იმერეთში) და აქედან წარმოდგა მისი სახელი.

პარხლის ოთხთავი (მ ე ს ა მ ე შ ა ტ ბ ე რ დ უ ლ ი) გადაწერილია 973 წელს და მაშინვე შეუწირავთ პარხლის მონასტრისათვის, რომელიც ტაოში მდებარეობდა. ეს ოთხთავი, ტყვეობიდან დასხნილი მე-18 ს.-ში, უკანასკნელად ინახებოდა ს. ზემო ჭალაში (ხაშურის ახლოს). ამიტომ მასაც რომ უკანასკნელი ადგილის მიხედვით დაპრქმეოდა სახელი, ის იქნებოდა „ზემო ჭალისა“, მაგრამ სახელი შეწირვის ადგილის მიხედვით დაერქვა და პარხლის ოთხთავად არის ცნობილი.

შეგვირდეთ თვითნებულ მათგანზე უფრო დაწვრილებით.

ადიშის ოთხთავი

ადიშის ოთხთავი (დათქმით C) კარგად ცნობილი ძეგლია. პირველი ბეჭდვითი ცნობა მის შესახებ ეკუთვნის გრაფინა პ. უვაროვას და ა. ხახანაშვილს³⁴. ოღონდ პირველი, რომელმაც ყურადღება მიაქცია ამ შესანიშნავ ხელნაწერს, იყო სვანი მღ. ბესარიონ ნიჟარაძე, რომლის აღწერილობა სვანეთში დაცული ხელნაწერებისა გვიან დაიბეჭდა³⁵.

1910 წ. ე. თაყაიშვილის მეთაურობით მოეწყო სვანეთის ექსპედიცია (პ. თუმანიშვილის ხარჯით). ექსპედიციის დროს ფოტოგრაფმა დ. ერმაკოვმა გადაიღო მთელი

³³გ. მერჩული, შრომად და მოღუაწებად ღირსად ცხოვრებისა გრიგოლისი, ხანძთისა და შატბერდისა აღმამცნებლისა (გამოსცან. მარმა: TP, VII, СПб 1911. 49, 12—13).

³⁴Материалы по археологии Кавказа, X, 1901. გრაფინა შეესო მინიატურებს (გვ 77, 148—149), ხოლო ხახანაშვილი — ტექსტს: Сванетские рукописные евангелия (დამატება იმავე ტომისა), გვ. 1—9.

³⁵სვანეთის ხელნაწერები („მოამბე“ 1904, IX, მე-2 განყ., გვ. 1—18; ადიშის ოთხთავის აღწერილობას აქ უჭირავს გვ. 3—13 [(ბ. ნიჟარაძე სოფლის სახელს ასე წერს ჰადიშ, სადაც ორი „ი“ ხმოვნის სიგრძეს გადმოგვცემს (=ჰადშ)].

ხელნაწერი. ამ ფოტოსურათების მიხედვით მოსკოვის სარქეოლოგიო საზოგადოება შეუდგა ძეგლის ფოტოტიპიურ გამოცემას, რომელიც ა. ხ ა ხ ა ნ ა შ ვ ი ლ ს მიენდო, მაგრამ, უკანასკნელის ხანგრძლივი ავადმყოფობისა და შემდეგ სიკვდილის გამო (1912 წ.), მთელი მასალა გადაეცა ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ს , რომელმაც გამოცემას წაუძღვარა ვრცელი წინასიტყვაობა რუსულ ენაზე (გვ. 8–20). აქ აღიშის ოთხთავი მოთავსებულია 200 ტაბულაზე (თითო ტაბულაზე საერთოდ ოთხ-ოთხი გვერდი) და მთელი გამოცემა შედის მეთოთხმეტე ტომად ცნობილ სერიაში: *Материалы по археологии Кавказа, (вып. XIV. Москва, 1916)*³⁶. თუ წინათ აღიშის ოთხთავს იცნობდა და იყენებდა თითო-ორჯულ სპეციალისტი³⁷, ფოტოტიპიურად გამოცემის შემდეგ ის ხელმისაწვდომი გახდა მკვლევართა ფართო წრეებისათვის და რამდენიმე გამოკვლევა მიემდგნა³⁸.

აღიშის სახარების გადაწერის თარიღს არკვევს ქრონიკონი, რომელიც მოთავსებულია ხელნაწერის 387 ფურცლის წინა გვერდის მეორე სვეტზე და ასე იკითხება (სურ. 1):

[„დაიწერა წმიდად ესე ოთხთავი დასაბამითგან წელთა ხფ[ა, ქრონიკონსა რიზ, შობ[ითგან] უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესით წელთა ჩა. ქრისტე მ[ე]უფეო, შეგვწყალენ [ყოველნი?] ერთობით. ამენ“³⁹.

მწერ(ალი) ამისი მიქაელ ლოცვასა მომივს[ენ]ეთ და შემინდვეთ სიუცბე ჩემი.

და მმოსელიცა მიქა[ელ] ღიაკონი მომივსენ[ეთ] წმიდასა ლოცვასა თქუენ[სა]. უფალი მფარველ გუე[ქმენინ]“⁴⁰ ყოველთა ერ[თობით. ამენ“].

ამ სამ თარიღთაგან დაუზიანებლად შემონახულია მარტო ორი: ქართული ქრონიკონი და ქრისტესითი, დასაბამითგანისა კი მარტო ორი ასოა გადარჩენილი. რადგანაც ქართული ქრონიკონის ანგარიში ყველაზე სანდოა, ამიტომ ცხადია, რომ გადაწერის თარიღად, ეხლანდელ სათვალავზე გადმოყვანით, $(780+117=)$ 897 წელია ნაგულისხმევი. ამის მიხედვით ადვილია დასაბამითგანის დაკარგული ასოს აღდგენაც. ურთიერთობა ამ ორ წელთაღრიცხვას შორის, მე-9-10 საუკუნის ხელნაწერთა მოწმობის თანახმად (მათ შორის ჯრუჭისა და პარხლის სახარებათა მიხედვითაც), ასეთია: დასაბამითგანი უნდა უდრიდეს 12 კვიკლოსის წელთა რაოდენობას $(532 \times 12 = 6384)$ პლუს მე-13 მოქცევის წლები. რადგანაც $6384 + 117 = 6501$, ამიტომ ცხადია, რომ დასაბამითგანის რიცხვს (ხფ=6500) აკლია ა (1), როგორც ეს უკვე ე . თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ მ ა აღნიშნა⁴¹: ხფ[ა].

რაც შეეხება ქრისტესით ანგარიშს, ე . თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი ფიქრობდა, რომ აქ აღბათ შეცდომააო, მაგრამ, როგორც კ . კ ე კ ე ლ ი ძ ე მ გამარკვია, ქრისტესით ანგარიშის დროს ხელნაწერის გადამწერისათვის გამოსავალია არა ქართული სათვალავი (5604 წლიანი), არამედ ალექსანდრიული, რომელიც

³⁶ რ მ ა კ ო ვ ი ს მიერ გადაღებული ფოტოსურათები, რომლებიც საფუძვლად დაედო ამ ფოტოტიპიურ გამოცემას, ინახება საქ. მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილებაში, ფოტოტიპების კოლექცია, № 62.

³⁷ მაგ., Н. М а р р , Заметки по текстам св. Писания, §§ 16–24 (ХВ, II, 1913, 172–174).

³⁸ კ . კ ე კ ე ლ ი ძ ე , როდისა გადაწერილი აღიშის სახარება (ტ. უ. მ. II, 1922–23, 392–396); ა . შ ა ნ ი ძ ე , ჰაემეტობა აღიშის სახარებაში (იქვე, გვ. 417–424); R . B l a k e Notes on the Text of Georgian and Armenian Gospels (Quantulacumque 1937, pp. 355-363) [ბ ლ ე ი კ ი ს სხვა ნაშრომები ზემოთ არის დასახელებული, გვ. 06–07]; თ . გ ო ნ ი ა შ ვ ი ლ ი , დალექტიზმებისათვის ჰადიშის ძეგლში (ენიმკის მოამბე, IV, 115–162); Р . Ш м е р л и н г , Адишское евангелие („ქართულ ხელნაწერთა მორთულობის ნიმუშები“, გ . ჩ უ ბ ი ნ ა შ ვ ი ლ ი ს რედაქციით, 1940, გვ. 39–40); ს . ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი , აღიშის ხელნაწერის ბერძნულნიშები (ენიმკის მოამბე, XIV, 1944, 93–116).

³⁹ ა ო ო .

⁴⁰ გვე[] C (ან ეგების: გუექმენს?).

⁴¹ აღიშის სახარების წინასიტყვაობა, გვ. 14.

ქრისტემდე ითვლიდა 5500 წელს და ქართულ სათვალავს 104 წლით ჩამორჩებოდა. ეს განსხვავება რომ გამოვაკლოთ ხელნაწერში მოცემულ თარიღს 1001-ს, მივიღებთ იმავე 897 წელს (1001 – 104 = 897)⁴². ამგვარად, სამივე თარიღი თანაბრად იძლევა 897 წელს და ეჭვი არ არის, რომ თარიღიან ოთხთავებს შორის აღიშისა უძველესია.

აღიშის სახარების გადაწერის თარიღს დაახლოვებით არკვევს აგრეთვე ანდერძში მოხსენებული პირების ცხოვრების დრო. ორ უკანასკნელ ფურცელზე (სურ. 2 და 3) იკითხება [ქარაგმებს ვხსნით]:

[„სახელითა მამისადათა და ძისადათა და სულისა⁴³ წმიდისა[დათა], მეოხებითა [წმიდი]სა ღმრთის მშობე[ლის]ადათა და წმიდისა[ი ო]ნე] ნათლის-მცემე[ლის]ადათა და წმ[იდი]ათა მასარე[ბე]ლთადათა და [ყოვე]ლთა წმიდათა მისთადათა ღირს ვიქ[მ]ენ მე, გლახაკი [ს]ოფრონ, აღსრულებად წმიდასა ამ[ას] წიგნსა სახ[არებ]ასა ოთხ[თავ]სა ფრიადითა მოლ[უაწებ]ითა სუ[ლიერ]თა ძ[მ]ათა ჩემთადათა, სალოცველად ყოველისა ამის კრებულისათვის და ყოველთა ნათესავთა ჩუენთა ჯორციელად, და სალოცველად მეფეთა ჩუენთა ღმრთივ ღიღებულისა ადრნესე კურაპალატისა და ღმრთივ ბოძთა ნაშობთა მათთა დავით ერის[თავი]სა და მეუღლეთ[ა] და ნაშობთა⁴⁴ მ[ა]თათავს, და [ს]ალოცველად⁴⁵ სულთა გარდაცვალებულთათვის: სულისა⁴⁶ მამისა გრიგოლისა, სულისა⁴⁷ მამისა გაბრიელისისა⁴⁸ და ყოველთა ძმათა ჩუენთა გარდაცვალებულთათვის და სულთა მეფეთა ჩუენთათვის. ა[წ] ვინცა ღირს იქმნ[ნეთ] აღმოკითხვა[დ] და მსახურებ[ა]დ წმიდასა ამას სახ[არებ]ასა, მოგვსე[ნნეთ] წმიდათა შინა ლო[ცვ]ათა თქუენთა ჩუენ [დ]ა ყოველნი, რომელნი წერილ [არ]იან, რადათ⁴⁹ თქუენცა [მი]განიჭოს ღმერთმან კეთ[ილი] საუკუნოდ⁵⁰, და [ჩ]ნ ყ[ლ]ნი[ი] ერთობით ღ[ირს]მც[ა] ვართ სა[ყოფელ]სა⁵¹ ცათასა ქრისტე⁵² [ღმრთისა] უფლისა ჩუენისა [.....] თ[]“.

აღნიშნულ ისტორიულ პირთა ცხოვრების დროის გამორკვევით ე . თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ მ ა დასკვნა, რომ აღიშის თხთავი გადაწერილი უნდა იყოს მე-9 საუკუნის ბოლოს⁵³, რაც თავის მხრით ადასტურებს ქრონიკონის ცნობას.

სხვა მინაწერთაგან ყველაზე უფრო საყურადღებოა ერთი, რომელიც მე-16 ს.-ის ნუსხურით არის შესრულებული ქრონიკონიან გვერდზე, მარკოზიდან ამოღებული საკითხავის შემდეგ, 387 ფურცლის წინა გვერდის პირველ სვეტზე (სურ. 1). მინაწერი მოგვითხრობს აღიშის ოთხთავის გამოტანის ამბავს შატბერდიდან (მოგვყავს ქარაგმების გახსნით):

„სახელითა არსება-დაუბადებელისა ყოვლად წმიდისა სამებისადათა, მეოხებითა ყოვლად წმიდისა ღ[თის]მშობ[ლის]ადათა, შეწევნითა და წყალობითა წმიდათა მთავარანგელოსთადათა, მეოხებითა და შეწევნითა ყოველთა წმიდათადათა მე, ნიკოლაოს (ნკ[ლ]ს), ოდესმე ჯუმათისა მამასახლის ყოფილმან, უღირსმან და სულითა

⁴² კ . კ ე ე ლ ი ძ ე , როდისა გადაწერილი აღიშის სახარება (ტ. უ. მ. II, 392 – 397).

⁴³ ანდერძის დასაწყისი აღდგენილია ჯრუჭის ანდერძის დასაწყისის მიხედვით.

⁴⁴ ნაშუბთა C.

⁴⁵ ასეა.

⁴⁶ ს[ლ]სა C.

⁴⁷ ს[ლ]სა C (ოღონდ ინიის მარტო თავია დაწერილი).

⁴⁸ ინს სახებს შორის მარტო თავი აქვს წერტილის სახით (ნახე წინა შენიშვნა).

⁴⁹ რ[ა] C.

⁵⁰ საუკუნოდ C.

⁵¹ უფრო „საყოფელსა“, ვიდრე „სასუფეველსა“, რადგანაც „ყ“-ს თავი ჩანს.

⁵² ქ[რ] C.

⁵³ ფოტოტაპიური გამოცემის წინასიტყვაობა, გვ. 16 – 17.

საწყალობელმან, ფრიადითა სარკებითა (ამენენ ღმერთმან კლარჯეთისა მონასტერნი!) შევიარენ და შევკრიბენ წმიდანი ესე წიგნნი: პირველად წმიდად ესე სასარებად ოთხთავი, და მრავალთავი, და ველთ კანონი, მამათა წიგნი, და კითხვა-მიგებად. უმეტესად⁵⁴ აღაშენენ ღწნ შ[ატ[ბე[რ]დი: [ესე] ოთხთ ვი და ველთ [კანონი და] მამათა წიგნი [მა]თსა ეკლესიასა...“

აქ მოხსენებულ წიგნთაგან მრავალთავი ის ხელნაწერი უნდა იყოს, რომელსაც შატბერდის კრებულს ვემახით (S 1141), ან ის, რომელიც უდაბნოს მრავალთავის სახელით არის ცნობილი და რომელიც უკანასკნელად გურიის იოანე ნათლის-მცემლის მონასტერში ინახებოდა (ჩონხატაურის ახლოს)⁵⁵.

აქა-იქ შიგ ტექსტში, ან აშიაზე მოიპოვება საკითხავების ჩვენება სხვადასხვადღესსწაუღლათვის და სხვა შემთხვევათათვის, მიწერილი გვიანდელი ნუსხურით (დაახლ. მე-17 საუკუნისა). მაგალითები: უნებისა (=ვნებისა) კვრიაკესა (ტ. 55 ზ, 2), დიდსა შაბათსა ცისკრად (ტ. 63 ზ, 2), სნეულსა ზედა თუ გინდეს (ტ. 66 ზ, 2), ფერისცვალებისა (82 ქ, 2), წმიდათა მოწამეთა (86 ზ, 1), დიდსა პარასკევსა (87 ზ, 1), ბზობასა ცისკრად (88, 2) კე მარტსა (ტ. 102 ქ, 2), სნეულთა ზედა (114 ზ, 2), წმიდისა ბარბარესი (118 ზ. 1), ლაზარესი (139 ქ, 2) და მისთ.

ეს მინაწერები შესრულებულია ვინმე ათანასეს მიერ, რომელიც ერთგან წერს: „ღმერთო, გვედრია სვლი (sic) ათანასესი, ფრიად ცოდვილის(ა)დ, დღესა მას განკითხვისასა და სულსა (სწლსა) ბრძოლისა ჩემისასა ნუ მისცემ მაგნებელთა ჩემთა, არამედ შემიწყალე სახიერებისათვის შენისა⁵⁶, წმიდათა ანგელოზთა შენთა ოხითა განმარინე მტერისა საბრვეთაგან. ვინ აღმოკითხოს, მასცა მოწყალე ექმენ“ (ტ. 110 ზ, 2).

როგორც მინაწერების ორთოგრაფია ამჟღავნებს, ეს ათანასე უნდა იყოს სვანი, რადგანაც ის რევს ერთმანეთში ვ-სა და უ-ს: „უნებისა კვრიაკესა“ (=ვნებისა კვრიაკესა), „სვლი“ (=სული)⁵⁷.

ორ სხვა ნუსხურ მინაწერში მოხსენებულია ადიში:

ერთში (ტ. 167 ქ., 2) ნათქვამია: „ღწ ადილოს ადშისა (sic) სუფელი (sic). ღწ შეუნდოს იოვანეს მუბეჩვანსა, აწ“. „მუბეჩვანი“ სვანური გვარი ჩანს, ქართულად თუ ვთარგმნით, იქნება: ბეჩოელიძე (ბეჩო სოფელია სვანეთში. აქედან „მუბეჩვ“ ბეჩოელი, „ან“ კი (უფრო ზედმიწევნით: ან) სვანური გვარების დაბოლოება)⁵⁸.

მეორე ნუსხური მინაწერი (სხვა ხელით, მეტად მდარით, (ტ. 178 ზ.) ანმეტობას გვიჩვენებს და ასეთი შინაარსისა (მეტეი ანები ფრჩხილებშია ჩასმული):

⁵⁴ამ სიტყვის შემდეგ ფოტოსურათზე ასოები კარგად არ ჩანს და მოგვეყავს თანახმად ე . თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი ს ა , რომელსაც ხელნაწერი ჰქონდა ხელთ. მინაწერი ბოლომდის მაინც არ არის ამოკითხული.

⁵⁵რვა ფურცელი ამ ხელნაწერისა მოიპოვებოდა გ რ ე ნ ი ს კოლექციაში, № 6 (პეტერბურგ. საჯარო სამკითხველოში) და დაუბრუნდა საქართველოს 1923 წ., ერთი ფურცელი კი ინახებოდა საეკლესიო მუზეუმში (№ 713). ისინი შეუერთდა მთავარ ნაწილს, რომელიც თბილისს ჩამოვიტანე გურიის უდაბნოდან 1920 წ. და ამჟამად დაცულია საქართვე. მუზეუმში (A 1109). ე . თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი შატბერდიდან გამოტანილ მრავალთავად ამ ხელნაწერს ვარაუდობდა (ფოტოტიპ. გამოცემის წინასიტყვაობა, გვ 12; არქეოლ. ექსპ. კოლა-ოლთისში, გვ. 309).

⁵⁶ხელნაწერში: სხერებისათვის.

⁵⁷სვანს არ გააჩნია კბილ-ბაგისმიერი „ვ“, სამაგიეროდ აქვს ბგერა, რომელიც დაახლოებით ისე გამოითქმის, როგორც ინგლისური w. ამ ნიდავგ ზე გასაგებია ვ და უ-ს აღრევა სვანისა ქართულად წერის დროს.

⁵⁸ამ სახელსა და გვარს ბ . ნ ი ჟ ა რ ა ძ ე ასე კითხულობდა: „ივანეს მუმეჩვანსა“ (გვ. 13), ა . ხ ა ხ ა ნ ა შ ვ ი ლ ი კ ი — „ივანეს მუმეჩვანსა“ (გვ. 7) და გვარის პირველ ნაწილში ხედავდა მეგრულ „მუმა“-ს (ქართ. „მამა“).

„ღნ [ა]დდ(ა)ს⁵⁹ად შოდს ს(ა)ფლ. ღნ მ(ა)ქლდ აბრგას(?) ჰაკთხს(=ჰაკურთხოს?) დღსა მწ(ა) დღსა გნკ თხოს სა, დღსა ბრძ(ა)ს მწს...“

სოფ. აღიში მოხსენებულისა (აქ უკვე ჰადიშად) სამს „ქუეენის სამაგრობელ დაწერილში“, რომლებიც ქვედა აშიებზეა მიწერილი მკვედრულად მე-16-17 საუკუნის ხელით (ტტ. 7, 179, 188). სამივე აქტი გამოსცა პ. ინგოროვიამ⁶⁰.

ტაბ. 7 = ინგორ. № 61.

ტაბ. 179 = ინგორ. № 63.

ტაბ. 188 = ინგორ. № 62.

აღარას გამბობ აღიშის სხვა მხარეების შესახებ (ზომისა, ფურცელთა რაოდენობისა, ხელისა, შემკულობისა, კამარებისა და სხვ.), რადგანაც თვითონ ძველი ფოტოტიპიურად არის გამოცემული მთლად და თანაც ე. თაყაიშვილს ეს საკითხები ვრცლად აქვს განხილული თავის წინასიტყვაობაში.

როგორც აღვნიშნეთ, აღიშის ოთხთავის ტექსტის სტამბური წესით გამოცემას შეუდგა ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორი რ. ბლეიკი (R. Blake). უკვე გამოცემულია მარკოზისა და მათეს თავები. ასაწყობად იყო მიცემული იოანეს თავიც (1939 წ.). მზადდებოდა ლუკასიც და, ომიანობა რომ არა, ეხლა მთელი ოთხთავი გამოცემული იქნებოდა. გამოცემას დართული აქვს ვარიანტები ოპიზისა (913 წ.) და ტბეთის (995 წ.) ოთხთავების მიხედვით და ახლავს ლათინური თარგმანი⁶¹.

ჯ რ უ ჭ ი ს ო თ ხ თ ა ვ ი

(H 1660)

ჯ რ უ ჭ ი ს ო თ ხ თ ა ვ ი (დათქმით D) შედგება 297 ფურცლისაგან, ჩასმულია ტყავ-გადაკრულ ხის ყდაში, ნაწერია ეტრატზე ორ სვეტად შავი მელნით, გარდა სათაურებისა და ზოგიერთი ინიციალისა, რომლებიც წითურად არის ნაწერი. წითურადვეა შესრულებული მახარებელთა სახელების ინიციალები ქვემო აშიებზე მოყვანილ სიმფონიაში (მ, მრ, ლ, ი).

ზომა ხელნაწერისა: 26×21 cm (ან ოღნავ მეტი), ტექსტის სიმაღლე 20–21,5 cm, სიგანე 15 cm. სვეტში მოთავსებულია 20–30 სტრიქონი (თუ არ მივიღებთ მხედველობაში მომღვენო გვერდის დასაწყისი სიტყვის ჩვენებას წინა გვერდის უკანასკნელი სტრიქონის ქვეშ). ამას გარდა ქვემო აშიებზე ამონიოსის „თანხმობას“ უჭირავს საშუალოდ 4 წვრილ-წვრილი სტრიქონი (2-დან 6-ამდე).

ტექსტი ნაწერია ერთი ხელით, გარდა მათეს და მარკოზის სახარებათა დაბოლოებისა, რომლებიც მინიატურებიდან ფურცლებზე გადადის და მხატვარს დაუმთავრებია. ესენია: მათეს უკანასკნელი თავის ორი უკანასკნელი სიტყვა: „აღსასრულამდე სოფლისა“ (28, 20), ხოლო მარკოზისა — სამ მუხლ-ნახევარი: „სწეულთა ზედა ველი დასდვან“ და შემდგომი (მარკ. 16, 18–20).

თავში მოთავსებულია სურათები (მათ შორის მათესი) და კანონები, ეს სურათები საგანგებო დაკვეთით არის შესრულებული 940 წ. (ამაზე ქვემოთ, გვ. 026 და შემდგომი). თვით ტექსტი იწყება მე-8 ფურცელზე და მიდის 289 ფურცლამდე, ოღონდ ორ-ორი ფურცელი უჭირავს საილუსტრაციო მასალას მარკოზის, ლუკას და იოვანეს თავების წინ (92–93, 143–144, 228–229).

⁵⁹პირველი „ა“ სულ არ იკითხება.

⁶⁰სვანეთის საისტორიო ძეგლები. ნაკვეთი II, ტექსტები. თბილისი 1941 (შემოკლებით ინგორ.).

⁶¹ნახე ზემოთ, გვ. 06.

ეტრატის ფურცლები უმეტესად თხელია და ნაზი, მელანი უფრო მოჰკიდებია გარეთა (ბეწვის) მხარეს, მოყვითალო ფერისას, ხოლო შიგნითა (ხორცის) მხარეზე, რომელიც თეთრია, მელანი ბევრგან გადალუულა და ნაწერი ძნელად იკითხება. ეს ადგილები ზოგან გაუცხოველებათ უახლოეს დროში (მე-18ს.-ში?) მთლად ან ნაწილობრივ. მთლად განახლებულია შემდეგი გვერდები: 8 r, 19 v, 20 r, 21 v, 23 v, 24 r, 25 v, 26 r, 29 v, 30 r, 48 r, 51 v, 59 v, 63 v, 70 r, 91 v, 113 v, 137 v, 138 r, 142 r, 145 v, 146 r, 147 v, 149 v, 230 r, 232 r. მთლად განახლება (ან გაცხოველება) იმაში მდგომარეობს, რომ მთელი გვერდის ტექსტის სიტყვები ხელახლა დაუწერიათ ძველი ასოების კვალზე. განახლებული ადგილები შავად გამოიყურება, მაშინ როდესაც პირვანდელ ნაწერს მიხაკის ფერი გადაჰკრავს.

ნ ა წ ი ლ ო ბ რ ი ვ გაცხოველებულია ტექსტი შემდეგ გვერდებზე: 22 r, 27 v, 28 r, 45 v, 46 r, 47 v, 49 v, 50 r, 52 r, 53 v, 54 r, 56 r, 58 r, 60 r, 61 v, 62 r, 64 r, 65 v, 66 r, 67 v, 68 r, 69 v, 71 v, 72 r, 73 v, 74 r, 79 v, 80 r, 82 r, 85 v, 86 r, 89 v, 90 r, 94 r, 95 v, 96 r, 100 r, 107 v, 114 r, 118 r, 119 v, 120 r, 139 v, 140 r, 141 v, 148 r, 151 v, 152 r, 154 r, 231 r (ეს კი ბეწვის მხარეა!), 231 v, 239 v, 240 r, 252 r, 287 v, 289 v, 290 r. ნაწილობრივი გაცხოველება, რომ ვამბობთ, ეს ნიშნავს, რომ ახლად გაყოლებულია კალამი ძველი ასოების მონახაზზე, მაგრამ არა ერთსა და ორ სიტყვაში, არამედ სვეტის გარკვეულ მონაკვეთზე ან მონაკვეთებზე. წვრილ-წვრილი გაცხოველების შემთხვევებიც მოიპოვება, მაგრამ მათ არ აღვნიშნავთ.

გამაცხოველებელს მრავალ შემთხვევაში შეცდომები მოჰსვლია: უკვთურთა (=უკეთურთა, მ. 7, 11), ბინდეს (=გინდეს, მ. 7, 12), განისარონ (=განიხარონ, ლ. 1, 14), ყეთა (=ძეთა, ლ. 1, 16) და სხვ. ზოგი მისი შეცდომა გამოცემაში არც აგვინიშნავს. თუმცა გამაცხოველებელი ცდილა, რომ ასოთა ძველ ნახაზებზე გაეყოლებინა კალმის წვერი და ახალი ასო ძველისათვის დაემსგავსებინა, მაგრამ ეს ზოგ შემთხვევაში ვერ მოუხერხებია და თავისებურად გამოუყვანია ასო. გაცხოველება ახალი დროისაა, თითქო მე-18 საუკუნისა.

გადამწერის ხელის დამახასიათებელია ასოთა ზემო ვერტიკალური ხაზის დაწყება კალამ-გაპობილად: **ჲ, ზ, ლ, ზ** (სურ. 14). ამას გარდა საყურადღებოა, რომ ზოგან მთავრული ასოები ჩამოგრძელებულია ძირს ქვემო აშიაზე: 12 r, 17 r, 34 r, 44 v, 60 r, 63 r, 72 v, 80 r, 88 v, 119 r. დამახასიათებელია აგრეთვე, რომ ზოგი ინიციალი მრავალ შემთხვევაში დაგრძელებულია ტექსტშივე (**ჲ, ლ, ზ, ლ, ჲ, ჲ, ჲ** და სხვა); მაგ., დაგრძელებულ **ჲ**-ს უჭირავს 5 სტრიქონის სიმაღლე, ზოგჯერ ნ-ისაც კი.

ხელნაწერი აკინძულია და ყდამია ჩასმული, მაგრამ ზოგი ფურცელი ამოცვივებულია: 1, 2, 6, 7, 8, 14, 92–93, 107, 113, 136, 143–144, 196, 201, 202, 228–229. ამას გარდა ზოგ ფურცელს ყუა მოჰხვევია და სუსტად არის დაკავშირებული.

სრულიად აკლია ფ. 97 და სათანადო ტექსტი (მარკ. 1, 45–2, 12) აღდგენილია ქალაქზე მე-18 საუკუნის ნუსხური ხელით.

ნუმერაცია წიგნს მოღწეული ფურცლების მიხედვით აქვს გაკეთებული, მაგრამ, რვეულებს თუ მივიღებთ მხედველობაში, წიგნს სხვაგანაც უნდა აკლდეს: წინა რვეულს, საილუსტრაციოდ გამოყენებულს, აკლია ერთი ფურცელი. ერთი ფურცელი აკლია თავში პირველ ტექსტის რვეულსაც.

უკანასკნელი აკინძვის დროს პირველ ტექსტის რვეულში შეცდომა მოჰსვლიათ: ფფ. 9–10 და 11–12 შებრუნებული რიგით მისდევნ ერთმანეთს: 10–9 და 12–11.

ზოგ ფურცელზე დაჰსხმიათ რაღაც სითხე (წითელი ღვინო? ზეთი?) და ამ ფურცლების ზემო ნაწილი დასვრილია და მეტად გაყვითლებული. სითხეს რამდენადმე გაუტანებია წინ და უკან. ასეთებია: ფფ. 29, 30 (გატანებულია: 27, 28, 31, 32), 223, 224, 225, 226, 236, 237, 238. იგივე ამბავია, მაგრამ ნაკლები ოდენობით,

37–38 ფფ., აგრეთვე 116–117 ფფ.-ზე (აქ შუაზე) და 212 ფ.-ზე. ამ ადგილების ტექსტის წაკითხვა ოდნავ გამწვანებულია.

ხელნაწერის სხვა თავისებურებათაგან აღსანიშნავია, რომ დასაზვისას ხაზების სწორად გასატარებლად გაკეთებული წერტილები (ნაჩვენებები) უმეტესად გარეთა აშის ბოლოს არის გატანილი, მაგრამ ზოგჯერ ნაწერთან ახლოს მოდის (ფფ. 171–210).

მიუხედავად იმისა, რომ D ხელნაწერი E-ზე უფრო ძველია, ის უფრო ახალ ფორმებს გვაძლევს, ვიდრე E, რომელიც 37 წლის შემდეგ არის გადაწერილი. ეს განსაკუთრებით ე-ზე დაბოლოებულ სახელებში იჩენს თავს: სახელობით ბრუნვაში ესენი ჩვეულებრივ ე-ს გვიჩვენებენ (და არა ვ-ს). ამას გარდა, დამახასიათებელია ჭაბუკი (მათ. 19, 20; 19, 22, ნაცვლად ჭაპუკისა). სხვა თავისებურება: ფ უ ძ - ის ნაცვლად აქ ფ უ რ ძ იხმარება: „დაფურძნებულ“ (მათ. 7, 25, ლუკ. 6, 48), „საფურძველი“ (ლუკ. 6, 48; 14, 29 და სხვაგან). შეიძლება შემთხვევითი არ იყოს „ზუარიკი“⁶² (ლუკ. 56, 30), არცა ისა, რომ გვხვდება „წუმა“ (მათ. 5, 45) და „აწუმა“ (ლუკ. 17, 29). ხელნაწერში ბევრია ფორმები გარდამავალი საფეხურისა ჰაემეტობიდან სან-ნარეობამდე; გარდამავალი საფეხურის ბევრა ორმაგი ნიშნით არის გამოხატული (**ჰს**): ჰსთხოვდეს, თაყუანის-ჰსცემდა და მისთ. ერთსა და იმავე მუხლში გვხვდება: პატივ-ჰსცეს და პატივ-სცეს (იოვ. 5, 23). ხშირად გვხვდება ასოებისა და მარცვლების დაკლება („ფარისეველო ორგუნო“ = ფარისეველო ორგუნო, მათ. 23, 23), მაგრამ ყველაზე უფრო დამახასიათებელია ნარების დაკლება ხმოვნის შემდეგ, რაც ალბათ იმით აიხსნება, რომ „უცბად მხსრეკალი“ გაბრიელი ასეთ ხმოვნებს ცხვირში გამოთქვამდა (ე. ი. ნაზალური ხმოვნები ჰქონდა): საუჯესა (მათ. 6, 6), საუჯეთა (ლუკ. 12, 3), იუჯებლით (მათ. 6, 20), საუჯე (მარკ. 10, 21), იყილო (=იყილონ, მათ. 6, 26), მუ (=მუნ, ლუკ. 2, 25), მუცა (=მუნცა, ლუკ. 17, 37), შე (=შენ, ლუკ. 5, 24) და სხვა⁶³. ერთ შემთხვევაში ახალი სიტყვა გვხვდება: „უკეთესი“ („უმჯობესის“ ნაცვლად, მარკ. 14, 21), მაგრამ ამ შემთხვევაში მას E-ც უჭერს მხარს.

ყლა შეძლებისამებრ მხატვრულად არის გაფორმებული. ხეზე გადაკრული ტყავი სულ მოჭვრეთილია უკანა მხარეს, წინა მხარეს კი — ნაწილობრივ. სამაგიეროდ წინა მხარე შემკული ყოფილა ხუთი ჯვრით, რომელთაგანაც ერთი დიდი და ოთხი პატარა-პატარა ყოფილა (სურ. 4). დიდი მთავსებულია შუაზე, პატარები კი — კუთხეებში. პატარა ჯვრებს, რომელთაგანაც მხოლოდ ორია შემონახული ზემო კუთხეებში (ქვედაებისა მარტო ნაკვალევია დარჩენილი), მხრები თანაბარი ჰქონიათ, მათი ზომაა 3×3 cm. ესენი წარმოადგენენ ჯვრად გამოჭრილს უბრალო ლითონს, დაკრულს ყლაზე ოთხი ვერცხლის სამსჯვლით, რომელთა თავები ყლის შემკობის მიზანს ემსახურებიან. შუაზე ჯვრებს ძვირფასი ქვა (ლალი?) უნდა ჰქონოდათ ჩასმული, მაგრამ ამჟამად ქვა აღარ მოიპოვება.

შუა ჯვარი ძველად სიმალით 17, 5 cm უნდა ყოფილიყო, ამჟამად კი მას ქვემო ნაწილი დაზიანებული აქვს და სიმალე 15 cm-ია. განი ჯვრისა უნდა ყოფილიყო 12 cm, მაგრამ ახლა დაზიანებულია. ამჟამად მთლიანად შენახულია ზემო ფრთა, რომელიც ფორმით ოთხკუთხ ჯვარს წარმოადგენს. ეს ნაწილი შეერთებულია ცენტრთან ოთხი ვერცხლის სამსჯვლით, თვითონ თავი კი ოთხი სამსჯვლით არის დაჭედებული. შუაში ჯვარს ლალი აქვს ჩასმული. ასევე უნდა ყოფილიყო ორივე ჰორიზონტალური მხარიც, მარჯვენა და მარცხენა, მაგრამ მარცხენისაგან ერთი სამსჯვლია დარჩენილი, მარჯვენისაგან კი — ორი.

ცენტრში ლითონის ჯვარი, რომელზედაც მდარე ხელობის ჯვარცმაა გამოსახული, ოთხი ვერცხლის სამსჯვლით არის დაკერებული. ქვემო ფრთა გრძელია და დაჭედებული ყოფილა შვიდი სამსჯვლით,

⁶²შდრ. იმერული ფორმები: აფხანიკი, ლაპარიკი.

⁶³ნარიანი ფორმებიც გვხვდება: საუნჯესა (მათ. 6, 26), საუნჯეთა (მათ. 6, 20), ნუ დაიუნჯებთ (მათ. 6, 19).

რომელთაგანაც ერთი (ზემოდან მესამე) დაკარგულია. შემდგომ იწყებოდა გაფართოება, რომელიც ჯვრის ბაზისს წარმოადგენდა. ამისგან ორი სამსჭვალა დარჩენილი.

მთელი ეს მორთულობა გვიანდელი ხანისაა, ალბათ წიგნის უკანასკნელი შემოსის დროს შესრულებული (მე-18 ს.?).

წინა მხარესვე ნაპირას, შუაზე, მაგრამ მარჯვენა ნაპირისაკენ, ჩასმულია ვერცხლის ჩხირი, რომელიც ღილის სამსახურს ასრულებდა და რომელზედაც მეორე ყდაზე დამაგრებული თასმა (კილო) მაგრდებოდა წიგნის შესაკვრელად. მართლაც, უკანა ყდას მარცხენა მხარეს რგოლი აქვს, რომელზედაც თავის დროზე თასმა უნდა ყოფილიყო გამობმული.

ორსავე ყდას შიგნითა მხარეს გადაკრული აქვს ვარდისფერი თხელი აბრეშუმის ქსოვილი, რომელიც კარგი მინუშია ძველი ქართ. ქსოვილისა.

წიგნის მეორედ(?) აკინძვისას და ყდაში ჩასმისას ხელნაწერი უთუოდ დაუპატარავებით ამიების ჩამოჭრით, უმთავრესად ზემო მხარეს. ამით აიხსნება, რომ ზემო ამიები მცირეა შედარებით.

რვეულებს სათვალავები ქართული ასოებით ჰქონია გაკეთებული თავში და ბოლოში (ე. ი. პირველი გვერდის ზედა ამიაზე და უკანასკნელის ქვედა ამიაზე). ზოგ შემთხვევაში ქვედა სათვალავები შენახულია.

უკანასკნელი რვეული (ფფ. 292–297) უჭირავს სახარების საკითხავების საძიებელს, რომელსაც თავში უნდა აკლდეს ორი ფურცელი. საძიებელი დაწერილია ნუსხურად თითქო იმავე გაბრიელის ხელით, რომელსაც მთელი ოთხთავის ტექსტი გადაუწერია მრგლოვანი ასოებით. ეს ნაწილი ნაწერია შავად და წითურად. მაგალითი (წითურები აქ შავად არის გადმოცემული):

„ბზობასა სამ უამს ს^ნხრბ ი^ნვნი: «ხვალისაგ^ნერი» ვ^ე «რ^ა იდილოს ძ^ცკ^ცსა», ძ^ა“.

ჯრუჭის ოთხთავს მოეპოვება მინაწერები, რომელთაგანაც ყველაზე საყურადღებოა:

1. ანდერძი, მოთავსებული 291 ფურცელზე (სურ. 23 და 24). აქ იკითხება (ქარაგმებს ვხსნით):

„სახელითა მამისადთა და ძისადთა და სულისა წმიდისადთა, მეოხებითა წმიდისა ღმრთისმშობლისადთა, ძლიერებითა პატიოსნისა ჯუარისადთა, მეოხებითა წმიდისა იოანე ნათლის-მცემელისათა (sic)⁶⁴, და წმიდათა მანარებელთადთა და მოციქულთადთა და წმიდათა წინაწარმეტყუელთადთა (წ^ნტყელთადთა), წმიდათა მღვლემოდლუართა და ყოველთ მამათადთა და ყოველთ⁶⁵ წმიდათა ნების მყოფელთა მისთადთა ღირს ვიქმენ მე, გრიგოლ, დაწერად წმიდად ესე სახარებად ველითა გაბრიელ მღვლელთა ნარჩევისადთა თავად მეფეს ჩემსა სუმბატს (sic)⁶⁶ სალოცველად და შემდგომად მშობელთა ჩემთა მირდატისთვის, თავუნადისთვის (sic) და ძმათა და დათა ჩემთათვის და ჩემთა ცოდვათა და თანაცხორებულისა ჩემისათა საჯსრად და მკუდართა საჯსენებელად: ძლარიონისთვის (sic) და დაშელისთვის.

აწ ვინცა იკითხავდეთ წმიდას ამას სახარებასა, ნუმცა დავიწყებულ ვართ⁶⁷ ლოცვასა წმიდასა თქუენსა ცოცხალნი და მკუდარნი, რადთა (რ^ა) თქუენცა უფალმან მაღლი მიგანიჭოს. ამენ⁶⁸.

დაიწერა წმიდად ესე სახარებად შატბერდს⁶⁹ ველითა უცბად მხრეკალისა გაბრიელისითა, თანა-შეწევნითა და მოლუაწებითა გაბრიელისითა და გეორგიისითა, რამეთუ დიდი გულის-მოღვინებად მაჩუენეს ამის წმიდისა სახარებისა დაწერასა. ვსენებულმცა არიან კეთილსა შინა! ამენ⁶⁸.

⁶⁴დაწერილია უქარგმოდ.

⁶⁵აქ ზედმეტად დ არის შემდეგ.

⁶⁶„მეფეს ჩემსა სუმბატს“ — სამივე სიტყვა მიცემითშია დასმული. მოსალოდნელი იყო ნათესაობითი.

⁶⁷ხელნაწერში: ვართა.

⁶⁸ხელნაწერში: ა^ნ.

დასაბამითან წელნი იყვნეს ԷՓԿ, ქრონიკონი იყო ԺԻԻ.

სადიდებულად მამისა და ძისა და წმიდისა სულისა, აწ და მარადის და უკუნითი-უკუნისამდე⁷⁰, ამენ⁶⁸.

ამგვარად, ჯრუჭის ოთხთავის გადაწერის თარიღად ნაჩვენებია 936 წელი ორგვარი სათვალავით: დასაბამითანით (6540 – 5604 = 936) და ქართული ქრონიკონით (780 + 156 = 936)⁷¹.

2. იგივე მომგებელი იხსენიება ლუკას სახარების ბოლოს, ფ. 229v, ქვედა აშიაზე, ნუსხურ მინაწერში, რომელიც გაბრიელ მწერლის ხელით უნდა იყოს შესრულებული:

„აღიდენ ღმერთმან გრიგოლ, მომგებელი ამის წმიდისა ევანგელისა და გაასარენ ღმერთმან ყოველთა სისარულითა მისთაგან! და მშრომელი წმიდისა სახარებისა უფალმან შეიწყალენ!“

ამგვარად, ჯრუჭის ოთხთავის მომგებელია გრიგოლ მირდატის ძე, რომელმაც ეს წიგნი გადააწერინა გაბრიელს. ამ გაბრიელს გადაწერაში დაჰხმარებინა სხვა გაბრიელი და გეორგი, რაში გამოიხატა ეს დახმარება, პირდაპირ არ ჩანს.

ვინ არის ეს გრიგოლ მირდატის ძე, ან რა კავშირი ჰქონდა მას შატბერდის მონასტერთან, ეს ჯერ-ჯერობით არ ჩანს არც მინაწერიდან და არც სხვა წყაროებიდან. სახელები მირდატ და თავუნა გავრცელებული ყოფილა ჩვენში მე-10 საუკუნეში, როგორც ეს ჩანს ბერთის ოთხთავის ანდერძიდან, სადაც ამ წიგნის მომგებელი გაბრიელ ცოცხალ შვილთაგან იხსენიებს მიქაელს, მარიამს, თ ა გ უ ნ ა ს და შუშანს, ხოლო მიცვალებულ შვილთაგან – როსტომს, გეორგის და მ ი რ დ ა ტ ს⁷².

სხვა მინაწერები:

3. იოანეს სახარების ბოლოს, ანდერძიანი ფურცლის წინა გვერდზე (ფ. 290 v) იკითხება მრგლოვანი ხელით:

„ღ ბ ე შ ნ და სამებაო წ ო“.

ეს მინაწერი ოთხთავის გადამწერს ეკუთვნის.

⁶⁹შატბერდსა? („ა“ მკრთალია).

⁷⁰ხელნაწერში: ო კ ი ო კ ე.

⁷¹მოქცევად იგულისხმება მეცამეტე, რომელიც, დღევანდელ წელთაღრიცხვაზე გადმოყვანით, 781 წელს დაიწყო. მაგრამ ვიღაც მკითხველს (მე-19 ს.) მე-14 მოქცევაში გადმოუტანია ხელნაწერის გადაწერის დრო და იმავე გვერდზე (291 v) ქვემო აშიაზე მიუწერია მხედრულად ფანქრით: „1465 წლისა უნდა იყოს, როგორც სჩანს ამ ქრონიკონით“ (ანგარიში არ არის სწორი, მოსალოდნელი იყო: 1468). სამაგიეროდ 1 ფურცელზე მიწებებულია ერთი ქაღალდის ფურცელი, რომელზედაც მოცემულია სწორი ანგარიში:

„1886 წელს აგვისტოს 8-ს ვიანგარიშე.

ქართულის გამოანგარიშებით ამ სახარების დაწერაზედ იყო დასაბამიდან 6540 წელი, ქრისტეს მოსლვაზედ ქართულივე რიცხვით 5604 წელი. 6540 – 5604 = 936. ქრისტეს აქეთ ცხრაას ოც და თექვსმეტს წელში დაწერილა. მას აქეთ არის 950 წელი. ამას ემ(ო)წმება ქართული ქრონიკონიც: ამის დაწერაზედ ყოფილა მეცამეტე მოქცევის 156 წელი. ავილოთ მეცამეტე მოქცევიდამ დაწარჩენი 376, 14 მოქცევი(ს) სრული 532 და 15 მოქცევიდამ 42, სულ 950. ღეკანოზი მისაილ მ ე უ ნ ა რ გ ი ა “.

⁷²ბერთის ოთხთავი გადაწერილია 988 წლამდე [ანდერძში, რომელსაც ბოლო აკლია და თარიღი არა აქვს, მოხსენებულია ერისთავთ ერისთავი სუმბატ არტანუჯელი (გარდაიცვ. 988 წ.) და ძენი მისნი დავით და ბაგრატ].

ოთხთავი გაუტანიათ 1830 წ. ყარსიდან ამერიკელ მისიონერებს ს მ ი თ ს და დ უ ა ი ტ ს და ამჟამად ინახება Andover-Newton Theological School-ში (ბოსტონის ახლოს, ა. შ. შ.) 1940 წ. ეს ხელნაწერი ნახა ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორმა რ . ბ ლ ე ი კ მ ა , რომელმაც ს . ტ ე რ - ნ ე რ ს ე ს ი ა ნ თ ა ნ ერთად გამოაქვეყნა მისი აღწერილობა: R . P . B l a k e and S . D e r N e r s e s s i a n , The Gospels of Bert'hay: An Old-Georgian Ms. Of the Tenth Century. «Byzantion» 16 (1944), fasc. 1, pp. 226 – 285, 8 ტაბულითო)]

4. მნიშვნელოვანია პირველ ფურცელზე ჯვარში ჩაწერილი 15-სტრიქონიანი მინაწერი, შესრულებული მე-16—მე-17 საუკუნის გამოუცდელი ხელით ნუსხურად (სურ. 5). მინაწერი ხელნაწერის გამოსყიდვის ამბავს მოგვითხრობს. მელანი აქა-იქ გადალუულია, ნაწერი ძლივს იკითხება, ამონაკითხიც ზოგან საეჭვოა. ჩანაწერს ასე ვკითხულობთ:

„**ჟ.** ხორსანიდლმნ გმო|ი(ს)ყდა(?) ესე ოთხთა|ვი მს ჟამსა ხანთქარი (sic) ხორსა|ნს ჩავი(დ)ა ქრსალსდალმნ (?) გამოვიდა | მოვჯუხსა შევიდა არწაღს შვლმნ ხუც|ესმნ იოვწე იყიდა მი(უცე)მია (?) თერთმეტი | ფლური ბერძ....ბი სტეფანე ამის|ი დამხლური არიან მორჩასა შეწღწ | მისა შვლ(ს)ა იეს(?) იოვნს(?) შწესღწ აწწ | შბწმს შწესღწ აწწ იონიკს | შწესღწ გოზმ.იღას შწეს | ღწ აწწ გაბრიელს | შწესღწ მისა შვწსა | გიორგის შწეს | ღწ აწწ“.

წარწერის შინაარსი უთუოდ ხელნაწერის ბელზე მიგვითითებს. ამიტომ აუცილებელია, წარწერა ქარაგმების გახსნით წარმოვადგინოთ:

“ხორასნიდალმენ გამოისყიდა(?) ესე ოთხთავი. მას ჟამსა ხუანთქარი ხორასანს ჩავიდა, ქირსალისდალმენ⁷³ გამოვიდა, მოვჯუხს(?) შევიდა, არწაღსშვილმან ხუცესმან იოვანე იყიდა, მიუცემია(?) თერთმეტი ფლური. ბერძენა(?), (იაკობი(?), სტეფანე ამისი დამხლური არიან...”

შემდეგ მიღის შენდობის ფორმულები სხვადასხვა პირთათვის: „მორჩასა (=მურჩასა?) შეუწდგნეს ღმერთმან, მისსა შვილსა იოვანეს შ. ღ. აწწ, შაბაშს(?) შ. ღ., აწწ, იონიკს შ. ღ., გოზმაიდს(?) შ. ღ. აწწ, გაბრიელს შ. ღ., მისსა შვილსა გიორგის შ. ღ., აწწ“.

წარწერა თითქო ანმეტობას გვიჩვენებს. ზედმეტ ანებად მიგვაჩნია: მოვჯუხს(ა), მორჩას(ა), გოზმ.დ(ა)ს.

წარწერიდან ცხადია, რომ ხელნაწერი მტრებს ჩაჰკარდნია ხელში და 11 ფლურად გამოუსყიდა ხუცესს იოვანე არწაიშვილს ხორასნიდან. ასეთად თითქო ქალ. ხოროსანი უნდა ვიგულისხმობთ; ის მღებარეობს არეზის ზემო მდინარობაზე, არზრუმ-ყარსის გზაზე⁷⁴. მოვჯუხის შესახებ ამჟამად ვერას ვიტყვი.

საიდან ჩაუვარდა ხელნაწერი მტრებს ხელში და სად მივიდა პირველად გამოსყიდვის შემდეგ, ამის შესახებ არაფერი ვიცით. ვიცით მხოლოდ, რომ უკანასკნელად ის ჯრუჭის მონასტერს ეკუთვნოდა და იქედან საქ. საისტ. და საეთნოგრაფიო მუზეუმში შემოვიდა 1920 წელს, სხვა იქაურ ხელნაწერებთან ერთად, ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი ს მეცადინეობით. ამჟამად ის ამ საზოგადოების ფონდშია დაცული საქართველოს მუზეუმში (H 1660).

5. ერთი ნუსხური მინაწერი (53 v) მოგვითხრობს ოთმანიანთაგან (ანუ ოსმალთაგან) თბილისისა და შირვანის აღებას:

„ვაღ მე ცოღვილსა! ოთმანიანთა ქართლისა ტფილის ქალაქი და შირვანი აიღეს“.

ეს მინაწერი ეხება უთუოდ 1723 წლის ამბებს და დაწერილია იმავე მწერლის მიერ, რომელმაც შეავსო დაკლებული 97-ე ფურცლის ტექსტი მარკოზის სახარებიდან. ამ დროს ხელნაწერი, ალბათ, უკვე ჯრუჭში იყო.

⁷³წაკითხვა საეჭვოა. შეიძლება იყოს „იერ(უ)სალიმიდალმენ“ ან სხვა რამ.

⁷⁴მოიპოვება მთა ხორასუნნი, რომელიც იხსენიება გრ. ხანძთელის „ცხოვრებაში“: „ოღესმე ზაფხულისა ჟამსა მთათა მათ ხორასუნთა გარდამოვიღოდა იგი და მის თანა ძმანი“ (ხანძთ. 44). შდრ. ნ . მ ა რ ი ს Дневник поездки, 135, 175. ეს ის მთა უნდა იყოს, რომელიც რუკებზე „ხორასან“-ად არის აღნიშნული (ტაოსა და კლარჯეთის საზღვარზე, ფანასკერტის ჩრდილოეთით). მაგრამ ჩვენს წარწერაში ეს მთა არ უნდა იგულისხმებოდეს, არც, მით უმეტეს, ირანის ჩრდილო-აღმოსავლეთი პროვინცია.

ჯრუჭის ხელნაწერი მოხატული ხელნაწერია. ოღონდ მისი მხატვრობა (სურათები დაკანონები) შესრულებულია არა ხელნაწერის გადაწერის პროცესში ან მისი დასრულებისთანავე 936 წელს, არამედ ოთხი წლის შემდეგ, 940 წელს. სურათები თავის დროს ჩატანებული უნდა ყოფილიყო ხელნაწერში თავ-თავის ალაგას, როგორც ამას სათანადო ფურცლების ყუის ნახვრეტები (მკედის გასაყრელი) გვიჩვენებს, მაგრამ ამჟამად უმეტესობა ამოცვივებულია და უკავშიროდ ძვეს ხელნაწერში (ფფ. 1, 6–7, 92–93, 143–144, 228–229).

ჯრუჭის ოთხთავის მხატვრობა ერთი იმათგანია, რომლის ავტორი ცნობილია. ეს არის თ ე ვ ლ რ ე , რომელსაც დახატვის ქრონიკონიც აღუნიშნავს (160+780=940) და თავისი სახელიც ჩაუწერია (ორჯერ!) ჯვრიან გვერდზე (1v), ჯვრის ზემო ფრთის ორსავე მხარეს (სურ. 5):

მ ა რ ც ხ ნ ი ვ	მ ა რ ჯ ვ ნ ი ვ
ქრონიკონი იყო რღ	ქ ე შეიწყალე
ქ ე შ ე ამათ კამართა	თევდორე
მწერალი თ ე	

მხოლოდ უნდა შევნიშნოთ, რომ მარჯვენა მხრის მინაწერი სარკისებრ შებრუნებული ასოებით არის შესრულებული⁷⁵ და კითხვითაც შებრუნებულად იკითხება, ე. ი. მარჯვნიდან მარცხნივ.

თევდორე თავის თავს კამართა მწერლად აცხადებს. უეჭველია, რომ „კამარად“ მას ესმის ყოველგვარი სურათი, რომელიც ჩასმულია კამარაში, მათ შორის ევსების „თანხმობათა“ საძიებელიც, ე. წ. „კანონები“, რომლებიც მხატვარს თვითონ ჩაუწერია თავის ხელით.

„კანონებს“ მიუძღოდა თევდორე მხატვრის ხელითვე დაწერილი ევსების ეპისტოლე კარპიანესადმი; ის იწყებოდა ჯვრიანი ფურცლის წყვილის ცალზე, რომელიც ამჟამად დაკარგულია, და გადადიოდა ჯვრიანი ფურცლის მეორე გვერდზე, სადაც მოთავსებულია ეპისტოლის ბოლო, შემდგარი 15 სტრიქონისაგან. ნაწერი ნაწილობრივ გადალუულია და ძნელად იკითხება:

...[რ ლისაჲ]ცა გინდეს სწავლად ვისმე, რ ლისა გინდეს თავისა, და გ ლისჴმის-ყოფად, რ ლთა სწორად თქ ს, და თუ სად, რ ი-იგი თითოეულისა ადგილისანი პოვნად, რ სა შინა ერთბამად მიიწინეს, რ ლ დაგე(გ)ულოს საკითხავი, აღილე მიწყ ბით რიცხუი და გამოიძიე კანონსა მას შინა, რ ლ ზანდუკითა გამონიშნული⁷⁶ მოგასწავოს, რ ლსამე ვიეთ, მუნთქეს(ვ)ე კიდეთა წარუწერია, რავდენტა და ვიეთ, და რ ლისათუის ეძიებ თქ ს და იგ ლს სხუათაცა მახარებელთა რიცხსა კანონსა შ(ინა), რ ლი იგულო რიცხუ თანაწარი, გამოიძ(ი)ენ ივინი შინაგან თუსთა მათ თითუე[ულ]ისა სახარებისა ადგილთა სწორა(დ) თქმული მ თი ჰპოთ⁷⁷.

ეგვევ თევდორე ღვთისმშობლიანი ფურცლის უკანა მხარეს (2 v) ათავსებს ოთხ-სტრიქონიან წარწერას შუაზე:

„წ ო ლ თს მშობელო, შ ე და აცხოვნე გულათა⁷⁸ და ახარე გრიგოლისგან და მშობელთა და ძმათაგან“⁷⁹.

⁷⁵გარდა „რ“-სი, რომელიც ნორმალურად ღვას.

⁷⁶მერმინდელ ხელნაწერებში (მაგ., ვანის სახარებაში, A 1335) ამ ადგილას „ზანდუკითა გამონიშნულ“-ის ნაცვლად „წითლითა გამონიშნული“ იკითხება.

⁷⁷იკითხე: ჰპოთ.

⁷⁸ან: გუჰათა(?);

⁷⁹თითქო ბოლოს კიდევ სწერია: „ან“, მაგრამ „ა“ კარგად არ ჩანს, „ნ“ საეჭვოა.

ვინ არიან ეს გულათა და მისი გრიგოლი (უთუოდ შვილი), და რა დამოკიდებულება ჰქონდა მათ მხატვართან ან ხელნაწერთან, ეს არ ჩანს.

მხატვარ თევდორეს ეკუთვნის აგრეთვე ყველა წარწერა მინიატურებისა და, როგორც ვთქვით, მათეს და მარკოზის სახარებათა ტექსტის ბოლოები, გადასული საილუსტრაციო ფურცლებზე.

მასხარებელთა წარწერები:

მათესი მოთავსებულია მხრების გასწვრივ მარცხნივ და მარჯვნივ: „წმ მთე მასხარებელი“.

მარკოზისა ჩაწერილია სვეტებს შუა მარცხნივ და მარჯვნივ და იკითხება ზემოდან ქვემოთ: „წმ მარკოზ მასხარებელი“.

ლუკასი თავშია კამარის გარეშე: „წმ ლუკა“.

იოანესი, მარკოზის მსგავსად, სვეტებს შუა ჩაწერილი: „წმ იოვანე მასხარებელი“.

განკურნების სცენებს ორ-ორი წარწერა აქვს: ერთი ქრისტესთვის, მეორე სასწაულის შინაარსისთვის. ქრისტეს წარწერა აქვს ქართულად, სომხურად და ბერძნულად: **ΥΨΗΛΩΣΤΗΡΩΝ**, ოღონდ ბრძის განკურნების სურათზე წარწერა შესრულებულია მარტო ქართულად და სომხურად, ბერძნული აკლია (უთუოდ, ადგილის უქონლობის გამო). ეს წარწერები შესრულებულია სურათების დახატვის შემდეგ, ამიტომ მხატვარს ისინი აქ მოუთავსებია ქრისტეს თავთან, სადაც როგორც მოუხერხდებოდა: ბრძის განკურნების სურათზე უკან, ემმაკეულისაზე წინ, განრღვეულისაზე კი წინ და უკან („იესუ“ წინ და „ქრისტე“ უკან).

სასწაულების ასნა მარტო ქართულადაა მოცემული და განკურნებულის თავზეა მოთავსებული. აქ იკითხება:

პირველი: „ბრძისა ოდეს თუაღნი⁸⁰ აუხილნა“;

მეორე: „ემმაკეული, რლი განკურნა ონ ჩნმან ივქნ“;

მესამე: „განრღვეული, რლსა უბრძანა⁸¹ ონ: აღდეგ და აღიღე ცხედარი შნი და წარვედ სახედ თუსა⁸²“.

უკანასკნელი წარწერა იწყება განრღვეულის თავს ზემოთ, სადაც სამი სტრიქონია მოთავსებული, ხოლო გაგრძელება ძირს არის ჩამოტანილი მარცხენა სვეტსა და განრღვეულს შუა თავისუფალ არეზე ათ პატარ-პატარა სტრიქონად, თვითეულში 2-დან 5 ასომდე.

ბრძისა, ემმაკეულისა და განრღვეულის განკურნება რამდენჯერმე აქვს მოთხრობილი ოთხსავე მასხარებელს სხვადასხვა სახით და სხვადასხვა ადგილას, მაგრამ აქ დახატული სურათები უნდა გულისხმობდნენ:

ბრძის განკურნებისა მარკ. 8, 22—25 მუხლების სცენას ან იოვ. 9, 6—7-ისას (სურათზე ქრისტე ხელით ეხება ბრძის თვალს);

ემმაკეულის განკურნებისა მარკ. 5, 2—13-ს ან ლუკ. 8, 27-33-ს;

რაც შეეხება განრღვეულის განკურნების სცენას, აქ უნდა იგულისხმებოდეს მათ. 9, 6 (=მარკ. 2, 11=ლუკ. 5, 24); გამორიცხული უნდა იყოს იოვ. 5, 5—8, რადგანაც, თუმცა აქაც მოიპოვება სიტყვები „აღდეგ, აღიღე ცხედარი შენი“, მაგრამ აკლია „და წარვედ სახედ თუსა“. ყურადღებას იპყრობს ის გარემოება, რომ სახარებაში ყველგან (მათ. 9, 6, მარკ. 2, 11, ლუკ. 5, 24) სწერია: და წარვედ სახიდ (ან: სახედ) შენდა“, მაშინ როდესაც მხატვრის ციტატაში „შენდა“-ს ნაცვლად „თუსა“ იკითხება.

⁸⁰დაწერილია: თვალნი;

⁸¹ობრძანა.

⁸²ან: თუისა (ადგილი ოღნავ დაზიანებულია).

აღსანიშნავია კიდევ ერთი გარემოება: წყვილ-წყვილი სურათები (მასარებელი და ღვთისმშობელი, ან მასარებელი და ერთ-ერთი კურნება) შესრულებულია ორ-ფურცელა ეტრატის შიგნითა (ხორცის) მხარეს, ერთიმეორის პირისპირ, მაშინ როდესაც ეტრატის გარეთა მხარე (ბეწვისა) ცარიელია, ან არა და ზედ მოთავსებულია რაიმე წარწერა ან კიდევ წინა სახარების უკანასკნელი სიტყვები, რომლებიც წინამავალ გვერდზე არ დატეულა.

ჯრუჭის ოთხთავს იმდენად თავისებური ადგილი უჭირავს ძველ ქართულ მოხატულ ხელნაწერთა შორის, რომ საჭიროდ მიგვაჩნია, საგანგებოდ შევჩერდეთ მის მხატვრობაზე და სიტყვა დავუთმოთ რ ე ნ ე შ მ ე რ ლ ი ნ გ ს .

«თავფურცელი შემკულია ჯვრის გამოსახულებით. შემდეგ მოსდევს რვა სურათი „კანონებისა“. თვითველ სახარებას მიუძღვის წყვილ-წყვილი მინიატურა, რომელთაგანაც ერთი წარმოადგენს მასარებელს, მეორე კი ან ღვთისმშობელს ყრმითურთ (მათესთან), ან განკურნების სცენას (სხვა მასარებლებთან). ხელნაწერში მინიატურები ასეა განაწილებული:

1. ჯვარი (ფ. 1 r);
2. კანონები (ფფ. 2 r—5 v);
3. მათე მასარებელი და ღვთისმშობელი ყრმითურთ (ფფ. 6 v—7 r);
4. მარკოზ მასარებელი და ბრმის განკურნება (ფფ. 92 v—93 r);
5. ეშმაკეულის განკურნება და ლუკა მასარებელი⁸³ (ფფ. 143 v—144 r);
6. განრღვეულის განკურნება და იოვანე მასარებელი (ფფ. 228 v—229 r).

ოთხთავის შემკულობა საუკეთესო ნიმუშია ხაზოვანი ნახატის მაღალი ხელოვნებისა და ამით ეს ძველი გამოირჩევა როგორც მცირე-რიცხოვან უძველეს ქართულ მოხატულ ხელნაწერთაგან, ისე საზოგადოდ ყველა ქართულ ხელნაწერთაგან, რომელთაც ჩვენამდე მოუღწევიათ. წვრილი, მოქნილი და მრავალ-მეტყველი ხაზები ნახატისა შესრულებულია კალმით და ისეთივე საკმაოდ ღია სეპიის ფერის მელნით, რომლითაც გადაწერილია მთელი ტექსტი. შეფერილობა ნაწილობრივ ფარავს ნახაზებს.

თევღორე მხატვრის წამლის პალეტა შეზღუდულია. უკვე პირველი ორი მინიატურა, — ჯვარი და კანონი I, — გვაძლევს საკმაოდ ნათელ წარმოდგენას წამალთა იმ გამძის შესახებ, რომელიც გამოყენებულია შემდგომ მინიატურებში.

ჯვარი (სურ. 5). მოყვითალო ეტრატის ფონზე გამოსახულია ჯვარი ორმაგი აშით, რომლის გარეგანი ნაწილი, ისე როგორც ჩარჩო, რომელშიც ჩაწერილია ჯვარი, დაფარულია საკმაოდ თბილი შვინდისფერი წამლით, ხოლო შიგნითა ნაწილი შეფერილია სეპიის ფრად.

ეს კიდევ არ არის ის ჯვარი, რომელიც დიდებულად ამართულია ხოლმე გვერდის შუაგულში, ხშირად კამარის ქვეშ, მონუმენტალური და ნამდვილად დეკორატიული ჯვარი, როგორც მე-11 ს.-ის ხელნაწერებში გვხვდება, არამედ წმინდა გრაფიკული, უთუოდ სიმბოლურად განყენებული გამოსახულება თანასწორ-მხრიანი ჯვრისა კვადრატულ ჩარჩოში, რომელიც ჯვრის შეხების ადგილებში ფართოვდება და შემდეგ წყდება.

ღვთისმშობელი ყრმითურთ (სურ. 16). ჩარჩოში მეორდება შვინდისფერი (აქ უკვე ღია ფერისა) და სეპია, ე. ი. ორი ფერი, რომლებიც მოხმარებულია ზემოთ აღწერილი ჯვრის შესაფერავად. მინიატურის ფ ო ნ ი მუქი ლურჯი ფერისაა და ოდნავ იისფერი გადაჰკრავს. წამალი სქლად დაუდვიათ, გაუჭვირალია. ოქროსფერი

⁸³ ლუკა მასარებლიანი ფურცლის მეორე გვერდზე (144 v), რომელიც თავიდანვე ცარიელი ყოფილა, გვიანდელ ხანაში ვიდაცას მელნით დაუსატავს ისევ ლუკა. მასარებელი ზის და წერს. მხატვრული თვალსაზრისით მას მნიშვნელობა არა აქვს.

ნ ი მ ბ ე ბ ი ღვთისმშობლისა და ყრმისა შემონახულია ფარგლით და შემოვლებული აქვს მიხაკისფერი ქობა. ჯვარი ნიშბში ჩაწერილია მუქი შვინდისფერი წამლით. ოქრო თითქმის მთლად ჩამოცვივუნულა და დაუტოვებია მოვარდისფრო ყვითელი კვალი. ღვთისმშობლის სახეს ატყვია, რომ ზედ სხეულისფერი წამალია წასმული. ღ ა წ ვ ე ბ ი გამოყვანილია წითელი რგოლაკებით. წითლად შეღებილია ბ ა გ ე ე ბ ი ც . ნ ი კ ა პ ს ა და ზემო ქ უ თ უ თ ო ე ბ ს უსვია თხელი გამჭვირვალე და ღია კარმინი. აქა-იქ ეს ტონი უფრო ინტენსიურია, ასეთია, მაგ., ფერი ღაწვისა, ნიკაპისა, ქუთუთოებისა და ხაზისა, რომელიც ცხვირის განათებულ ზღვარს გასდევს.

ყ რ მ ი ს ს ა მ ო ს ლ ა დ , რომელიც მხატვარს, როგორც ჩანს, თეთრად აქვს წარმოდგენილი, მთლად ეტრატია გამოყენებული, მხოლოდ მ ო ს ს ა ს ხ მ ე ლ ი , რომელიც მხართან არის შებნეული, დაფარულია გამჭვირვალე და ღია ყვითლით. შეუფერავია გ რ ა გ ნ ი ლ ი , რომელიც ყრმას მარცხენა ხელში უჭირავს. ღ ვ თ ი ს მ შ ო ბ ლ ი ს ს ა მ ო ს ე ლ ი , შემოვლებული სეპიით და ბევრგან წვრილ-წვრილად დანაოჭებული, გხიბლავთ ჰარმონიით, რომელიც ჩაქსოვილია ამ მოქნილისა და გრძელი ხაზების ქსელში. ის დაფარულია სქელი გაუჭვირავი მუქი შვინდისფერი წამლით.

თ ა ვ ს ა ბ უ რ ა ვ ი ს ვიწრო ზოლისთვის, რომელიც გამოჩანს თავზედაც წამოხურული მოსასხმელის ქვეშიდან, ეტრატის ფერია გამოყენებული. ვიწრო სახელოები ყვითელია. ეს წამალი გამჭვირვალეა და ვერ ფარავს ქსოვილის ნაოჭთა ხაზებს.

კანონები (სურ. 6—13). იგივე ფერები მეორდება კანონებში.

პ ი რ ვ ე ლ კ ა ნ ო ნ ს (სურ. 6) კამარების გარე აშიები დაფარული აქვს მუქი შვინდისფერი წამლით; ორნამენტი შუა ზოლში შესრულებულია სეპიით წმინდა ეტრატზე, შვინდისფერი ნახშირია ორსავე გვერდის სვეტზე და აგრეთვე მათი კვარცხლბეკის ზემო საფეხურზე. წამალი სქლად აძევს და ფარავს სვეტების ნახაზობას. შუა სვეტი გამოირჩევა ყვითელი ტანით და იისფერი ბაზისით. მისი თავი, ისე როგორც თავები და ბაზისები გვერდის სვეტებისა, შეღებილია გამჭვირვალე, მსუბუქი და წმინდა ყვითლით.

მ ე ო რ ე კ ა ნ ო ნ ს (სურ. 7) სვეტის თავები და ძირები დაფარული აქვს იმავე ყვითელი წამლით, მაგრამ უფრო ძლიერ, და ისინი უფრო მკაფიოდ ჩანან. გვერდის სვეტების ტანი სეპიის ფერისაა, მათი ნახატობა კი შესრულებულია შვინდისფერი წამლით. შუა სვეტის ტანი შვინდისფერია. კამარებს მოვლებული აქვს მუქი შვინდისფერი აშიები (შიგნით და გარეთ), ორნამენტური ზოლი შუაში შეღებილია სქელი მტრედისფერი წამლით, რომელიც ვერ არის შეხამებული დანარჩენ ტონებთან.

ღ ა ნ ა რ ჩ ე ნ კ ა ნ ო ნ ე ბ შ ი გამოერებულია იგივე ფერები, მაგრამ სხვადასხვა კომბინაციით; მაგ., მე-4—5 კანონს (სურ. 9) მტრედისფრად აქვს შეღებილი ორივე გვერდის სვეტები, სვეტის თავებს, ფართო კარმინის ხაზით შემოვლებულებს, ფარავს ყვითური, რომელზედაც, თითქო, ოქროს ვარაყი იყო დაღებული (იგივე ხერხი მეორდება შემდგომ კანონში).

არ შევჩერდებით თვითივე კანონის დაწვრილებით აღწერაზე, ვიტყვით მხოლოდ, რომ ოქროს გარდა მათ შესაფერავად შემდეგში ჩნდება კიდევ მწვანე ფერი, რომელიც იმისგან წარმომდგარა, რომ ყვითურში გაურევიათ სხვა წამალი (შეიძლება ის ლურჯი, რომელიც გამოყენებულია მინიატურების შესაფერავად). ეს მწვანე ფერი ჩანს მე-5—6 კანონზე (სურ. 10) კამარების შუა ზოლის შესაფერავად და კვარცხლბეკის ქვემო საფეხურისათვის, აგრეთვე უკანასკნელი ფურცლის (5 r) კანონში (სურ. 13) კვარცხლბეკის ქვემო საფეხურზე.

წმინდა ლამაზი კარმინი, რომლითაც შესრულებულია კანონთა უჯვრების ჩარჩოები, გამოყენებულია დიდი ფოთლებისათვის, რომლებიც კამარის საყრდენთან იწყება გვერდებზე ან შუაზე კამარების შესაყართან. იმავე კარმინით შეფერილია ფოთლებიდან გამოსული „ულვაშები“, ოღონდ ზოგიერთ კანონში ფოთლები დახატულია სეპიით და შეფერილია; მაგ., მე-7—8 კანონის (სურ. 11) შვინდისფერი ფოთლების გადმოხრილი

ბოლო მტრედისფერია, მე-10 კანონის (სურ. 13) შუა ფოთოლი მტრედისფერია, მისი გადმონხრილი ბოლო კი — ყვითელი. ამ დეტალებით, ფერების შეზღუდული რაოდენობის მიუხედავად, ხერხდება კამარების შეფერვის მრავალ-ფეროვნების გადმოცემა.

კურნება. კურნების სცენებში მხატვარს იგივე პაღება აქვს გამოყენებული, რაც ყველა აღწერილ მინიატურაში. კამარის ჩარჩოები მას შეუსრულებია ღია გამჭვირვალე ყვითურისა და მუქი შვინდისფრის კომბინაციით, რაც მას ეგრე მოსწონს.

კ ა მ ა რ ე ბ ი . ბრმის განკურნების სცენაში (სურ. 18) შუა ზოლი დაფარულია სეპიით, გვერდებისა კი — მუქი შვინდისფრით. ეშმაკეულის განკურნებისაში (სურ. 19) შუა სადა (უორნამენტო)ზოლი და ორივე გარე ვიწრო აშია დაფარულია მუქი შვინდისფერი წაშლით, მათ შუა მოქცეული ზოლები კი — ღია ყვითურით. განრღვეულისაში კი (სურ. 21) ყვითლად შეფერილია გარე აშიები, ხოლო შვინდისფრით — შუა ფართო ზოლი. აქ შვინდისფერი წაშალი სქელია და მუქი, და არ გვაძლევს საშუალებას, რომ ადვილად გავარჩიოთ ორნამენტის ნახატობა.

ს ვ ე ტ ე ბ ი . ბრმის განკურნების სცენაში კორინთული სვეტების თავები დახატულია კარმინით და დაფარულია ოქროს ვარაყით, რომელიც თითქმის ჩამოცვივნულა; ეშმაკეულისაში სვეტის ტანი სეპიით არის დაფარული, ხოლო მარმარილოსებრი ნახატობა გაკეთებულია მუქი შვინდისფერი წაშლით, რომელსაც აქა-იქ ნაზი ვარდისფერი ტონი აქვს; განრღვეულისაში კი სვეტის ტანები ლილისფერნი ყოფილან, სქელი გაუჭვირალი წაშალი ჩამოცვივნულა, მაგრამ იმით შესრულებული მარმარილოს ნახატი ეხლაც კარგად აჩნია.

სვეტის ბ ა ზ ი ს ე ბ ი ყველგან სეპიით არის დაფარული და დამუშავებულია შვინდისფერი წაშლით, ხოლო კ ვ ა რ ც ხ ლ ბ ე კ ზ ე ზემო საფეხური ყველგან შვინდისფრად არის გაკეთებული, ქვემო კი — სეპიით.

ფ ო ნ ა დ კურნებათა სცენებში გამოყენებულია ეტრატი.

ეტრატითვეა გადმოცემული ფ ი გ უ რ ე ბ ი ს შიშველი ნაწილები: ხელები, ფეხები, პირისახე და სხვა. მათი ნახატი შესრულებულია კონტურის ხაზით და სეპიისფერი მელნით და თანაც ყველგან გასდევს მეორე, ღია ვარდისფერი ხაზი, რომელიც ფორმას გადმოსცემს და აძლევს მას ტონის სხეულებრივ სითბოს. იმავე ღია ვარდისფერი წაშლის წინწყლებით აღნიშნულია ღაწვები, ნიკაპი, ცხვირი, ქუთუთოები, ოღონდ ღაწვებზე ვარდისფრის ზემოდან წითურია წასმული. იმავე წითურითაა შესრულებული ბაგეები.

თ მ ე ბ ი შესრულებულია გრაფიკულად, ე. ი. დახატულია ხაზაკებად ან გრძელ პარალელურ ხაზებად მელნით. სურათზე კარგად არის გადმოცემული თმის გაწყობის ხასიათი: შეკრეჭილი თმები სარეცელ-მოკიდებული განრღვეულისა ან ბრმისა, გაწეწილი თმები ეშმაკეულისა. გრძელი და გადაყოფილი თმები ქრისტესი. შეფერილია მარტო ქრისტეს თმები — ყვითლად, სხვებისა კი მარტო ხაზებითაა გადმოცემული.

ს ა მ ო ს ე ლ ი . ქრისტეს სამოსელთაგან მოსასხმელი ყველგან, გარდა ეშმაკეულის განკურნების სცენისა, მოცემულია მუქ შვინდისფრად, ხოლო კვართი — ლილისფრად, მხოლოდ აღნიშნულ სცენაში ორივე სამოსელი შვინდისფერია. განკურნებულთა სამოსელში გამოყენებულია სეპია, ოღონდ აქა-იქ დამატებულია მუქი შვინდისფერი.

ქრისტეს ნ ი მ ბ ი ოქროსფერია, კარმინის ქობით, ჯვარი ჩაწერილია მუქი შვინდისფრით.

განრღვეულის განკურნების სცენაში ყურადღებას იპყრობს ის გარემოება, რომ ლაღისფრად არის შეფერილი გ რ ა გ ნ ი ლ ი , რომელიც სხვა შემთხვევაში შეუფერავია, და აგრეთვე დაუსაბუთებელი გამოყოფა ქ რ ი ს ტ ე ს კ ვ ა რ თ ი ს ქ ვ ე მ ო ნ ა წ ი ლ ი ს ა , რომელიც მტრედისფრად არის შეფერილი, ოღნავი იისფერი ელფერით (ზემო ნაწილი, როგორც აღვნიშნეთ, ლილისფერია). ეს გარემოება და მასთან ერთად

უხეიროდ მოხმარება იმავე ლილისფერი წამლის მასარებელთა გამოხატულებაში და კანონებში გვაფიქრებინებს, რომ მინიატურების შეფერვაში მონაწილეობა მიუღია, თითქოს, სხვა პირსაც.

მასარებლები. იგივე წამლები და იგივე ხერხია გამოყენებული მასარებელთა გამოხატულებისას. მასარებლები (მათე — სურ. 15, მარკოზ — სურ. 17, ლუკა — სურ. 20, იოვანე — სურ. 22) ღვანან კამარის ქვეშ პირით ჩვენკენ. აღარ გავიმეორებთ რაც ზემოთ გვითქვამს საზოგადოდ (და, კერძოდ, თუ როგორ გამოჰყავს მხატვარს პირისახეები), ვიტყვით მხოლოდ ორიოდ სიტყვას იმის შესახებ, თუ როგორ ახამებს მხატვარი წამლებს ამა თუ იმ მასარებლის დასახასიათებლად.

კ ა მ ა რ ე ბ შ ი გამოყენებულია იგივე კომბინაცია სეპიისა და შვინდისფრისა (მარკოზთან, ლუკასთან და იოვანესთან), ან შვინდისფრისა, მტრედისფრისა და მწვანისა (მათესთან). იგივე ითქმის ს ვ ე ტ ე ბ ზ ე დ ა ც , რომელთა თავები ოდნავ შეფერილია ყვითლად (მარკოზთან, ლუკასთან, იოვანესთან), ან შეფერილია კარმინით, რომელზედაც ნახატი ოქროთია შესრულებული (მათესთან). ყვითელი ბ ა ზ ი ს ე ბ ი დამუშავებულია შვინდისფრად. კ ვ ა რ ც ხ ლ ბ ე კ ე ბ ზ ე დ ა ც უ ლ ი ა , როგორც სხვაგანაც, შვინდისფრისა და სეპიის კომბინაცია, გარდა მათეს სურათისა, სადაც ქვედა საფეხური მწვანეა (ეს ის მწვანე ფერია, რომელიც კანონების შესაფერავად იყო მოხმარებული).

მასარებლები (მათეს გარდა) დახატულია ლილისფერ ფ ო ნ ზ ე , რომელიც თითქო ცენტრისკენ მიუწევიან და დანაოჭებულაო. ფონის ტლანქად შესრულება (განსაკუთრებით ლუკასთან) როგორც არ შეეფერება მინიატურების ნახატობის არტისტულ ხელოვნებას, მათ გამომეტყველ ხაზებს. მათესთან კი ფონი ეტრატისა (აგრეთვე სადა ფონი იყო მოსალოდნელი დანარჩენ მასარებლებთანაც).

ს ა მ ო ს ე ლ ი . მათეს მოსახსმელი მუქი შვინდისფერია, კვართი კი — მტრედისფერი; მარკოზისა და ლუკას მოსახსმელი ყვითელია, კვართი სხვადასხვა ელფერისა: მარკოზისა მუქი შვინდისფერი, ლუკასი კი ვარდისფერი. რაც შეეხება იოვანეს, მისი მოსახსმელი მუქი შვინდისფერია, ხოლო კვართი — ყვითელი. ყვითელი სამოსელი მასარებლისა დამუშავებულია მუქი შვინდისფრით.

მასარებელთა ნ ი მ ბ ე ბ ი ოქროსია, შვინდისფრის ქობით. ოქროთივეა გაკეთებული წ ი გ ნ ე ბ ი , რომლებიც მათ უჭირავთ და რომლებზედაც ყდის ნახატობა შვინდისფრით არის შესრულებული (კარგად ჩანს მათესთან).

საერთო დასახსიათება. ჯრუჭის ოთხთავის სურათების ხელობის ხასიათი ისეთია, რომ აქ მკაფიოდ გამოხატულია ნიშნები, რომლებიც მოეპოვება ძველი პერიოდის ხელნაწერებს როგორც საქართველოსა და სომხეთში, ისე ბიზანტიაში. ასეთი ნიშანია, პირველ ყოვლისა, თავისებური რეალიზმი, რომელიც მხატვარს მიუცია არქიტექტურული მოტივისთვის, ე. ი. კორინთული და იონიური სვეტებისათვის და მათი ზედმულობისათვის. ამ მოვლენას უშუალო კავშირი აქვს ელინისტურ ნაკადთან, რომელიც თავს იჩენს ხელნაწერის შემკულობაში. სწორედ აღმოსავლეთის ელინისტურ ხელოვნებაში უნდა ვეძიოთ ის წყარო, საიდანაც მოდის მხატვარ თევდორეს მიერ შესრულებული კამარების არქიტექტურული ხასიათი და მათი დამუშავების დეტალები: კორინთული და იონიური სვეტების თავები, სვეტების მარმარილოსებრი ტანი, კამარათა ორნამენტაცია, აკანთის ფოთლები, რომლებიც აღმოცენებულან კამარების საყრდენთან და მათ შესაყართან, და ჩიტები, რომლებიც აქვე მიუხატავს მას (უკანასკნელ კანონზე). ანტიკა უღევს საფუძვლად აგრეთვე იკონოგრაფიულ სპეციფიკას და მინიატურების ხელობის სტილს, ოღონდ ამ საფუძვლეს სხვა ელფერი მიუღია აღმოსავლელი მხატვრის ხელში. ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ ჯრუჭის ოთხთავის მინიატურებში გვიანდელი ელინისტური ხელოვნების გამონაშუქი უფრო კამკაშა ფერებშია მოცემული, ვიდრე ეს ჩანს,

ვთქვათ, უფრო ადრინდელ მგლქეს ხელნაწერში (902 წ.)⁸⁴, ან უფრო გვიანდელში (989 წ.)⁸⁵. ეს გამოსჭვივის ისეთი დეტალებიდან, როგორცაა აკანთის ფოთლებისა და სვეტის ნახატობა და განსაკუთრებით იმ ფოთლებისა, რომლებიც ამკობს კანონების არკადას: ფოთლები გვხიბლავს თავისი ცოცხალი და მოქნილი მოყვანილობით და მისი პლასტიკის რეალური გადმოცემით. იგივე ატყვია კამარების ორნამენტისკა. ამაში გვარწმუნებს მცენარეული ყლორტის ორნამენტი, რომელიც გამოყვანილია მარტო ხაზებით და შესრულებულია სეპიის ღია ყვითელ ფონზე, — ორნამენტი, რომელიც სრულიად კლასიკურია თავისი ნახატობის ხასიათით. ამაშივე გვარწმუნებს პალმეტებისაგან შექმნილი ორნამენტი, რომელიც მრავალჯერ მეორდება საბერძნეთის ხელოვნების ძეგლებში.

კორინთულისა და იონიური რიგის სვეტები, არქიტრავის მარაოსებრი შემკულობა (იოვანე მახარებელთან), მსხვილი ფოთლები გადმობრილი წვერით, — ყველა ეს იმეორებს მოტივებს, რომლებიც აღმოსავლეთის ელინისტურ ხელოვნებას ახასიათებს. წვრილმანებს რომ თავი დავენებოთ და მთავარ მოვლენებზე შევჩერდეთ, უნდა აღვნიშნოთ ფიგურების კამარებს ქვეშ დაყენების სისტემა (მოვიგონოთ რავენის სარკოფაგები) და ზემო სამოსელი, რომელიც ფიგურას კვართზე აქვს წამოსხმული. ამას ერთვის იკონოგრაფიული თავისებურება, ნაანდრევეი პირველი საუკუნის ელინიზმით გაჟღერებული ქრისტიანული ხელოვნების მიერ: ჭაბუკი ქრისტე და ჭაბუკი იოვანე. ამას მხარს უჭერს აგრეთვე განკურნების სცენები, რომლებიც არაა შებორკილი ტრადიციით და რომლებიც გვაოცებს ცოცხალი დაკვირვებულობით და მოძრაობის გადმოცემით უშუალოდ და რეალისტურად.

საზოგადოდ, ძველი ქართული ხელნაწერები, რომელთაც შემთხვევით მოუღწევიათ ჩვენამდე, მეტად ინდივიდუალურია როგორც შემკულობის შედგენილობით, ისე მისი ხასიათით, თუმცა კი ცალკეული თავისებურებანი შემკულობის რამდენადმე აკავშირებს მათ ერთმანეთთან. ოთხთავები აღიშისა, ჯრუჭისა, „თევდორესი“ (A 98, მე-10 ს.), ბერთისა (რომელიც ეხლასან გახდა ცნობილი) და მარტვილისა (S 391, ძველი ნაწილი მე-10 ს.)⁸⁶ მშვენივრად ადასტურებენ იმ მრავალფეროვნებას, რომელიც ეგრე დამახასიათებელია როგორც მახარებელთა სურათებში, ისე კანონებში. მახარებლები გვხვდება როგორც მდგომარენი წყვილ-წყვილად (თვედორეს ოთხთავში), ისე მდგომარენი ცალკ-ცალკე (ჯრუჭისაში), ან კიდევ ნარევი ტიპისა — აღიშის ოთხთავში: მდგომარეთა გვერდით (ლუკა და იოვანე) მჯდომარეც (მარკოზ; მათე აკლია). ამათ ერთვის კიდევ მახარებლების გამოსატყა წინ მიმართულ მოძრაობაში და გადაშლილი წიგნით ხელში (მარტვილის ოთხთ.). კანონების შესრულების მხრივ ისინი ან მოგვაგონებენ სომხურებს (ბერთისა), ან გადმოგვცემენ აღმოსავლურ-ქრისტიანულ ტრადიციებს, რომლებიც თავისებურად არის გადამუშავებული (აღიშისა და სხვები)».

ჯრუჭის ოთხთავი სამეცნიერო ლიტერატურაში პირველად ცნობილი გახდა ბ რ ო ს ე ს ადწერილობით. ბ რ ო ს ე მ ეს ხელნაწერი უძველესად მიიჩნიათ დროს ცნობილ ქართ. ოთხთავის ხელნაწერებს შორის⁸⁷. იმავე

⁸⁴ № 1144 მხითარანთ ბიბლიოთეკისა (Sar. Lazzaro, ვენეციის ახლოს).

⁸⁵ ემბიადინის ბიბლიოთეკისა № 229 (L'évangile arménien. Édition phototypique publiée par Fr. Macler. Paris 1920).

⁸⁶ მარტვილის სახარება ორი ნაწილისაგან შედგება: ფფ. 1—130 მე-10 საუკუნისა, ხოლო ფფ. 131—184 გადაწერილია 1050 წ. მახარებლიანი ფურცლები ეკუთვნის პირველ ნაწილს, მე-10 საუკუნისას (ამ ხელნაწერის გადაწერის დრო მარტო მეორე ნაწილის მიხედვით არის მოყვანილი წიგნში: „ქართულ ხელნაწერთა ძეგლების ნიმუშები“. გვ., 59).

⁸⁷ Voyage archéol., XII, 83—85.

ძველის მოკლე აღწერილობას ვხვდებით კონდაკოვ-ბაქრაძის წიგნში⁸⁸, აგრეთვე დ. ბაქრაძისაში⁸⁹. შემდეგ მასვე ეხებიან, ბროსეზე დაყრდნობით, ე. თაყაიშვილი⁹⁰ და თ. ჟორდანიანი⁹¹. ჯრუჭის ოთხთავის ტექსტს გაკვრით ეხება ს. კაკაბაძე⁹², ხოლო მინიატურებს — რ. შმერლინგი⁹³. უკანასკნელ უნდა აღინიშნოს, რომ ჯრუჭის ხელნაწერის ანდერძი, ბროსეზე დაყრდნობით, მოყვანილი აქვს რ. ბლეიკს⁹⁴.

N. B. ჯრუჭის ოთხთავის სახელით ორი ხელნაწერია ცნობილი, ორივე მოხატული: ერთი ეს, მე-10 საუკუნისა (H 1660) და მეორე მე-12 ს.-ის მეორე ნახევრისა (H 1667). უკანასკნელი გ. მთაწმიდლის რედაქციისა და მრავალ მინიატურას შეიცავს. ერთურთისაგან მათ ასე არჩევენ: პირველი ჯრუჭისა და მეორე ჯრუჭისა. მეორე ჯრუჭის ოთხთავი აღწერილი აქვთ კონდაკოვსა და ბაქრაძეს (Опись, 51) და რ. შმერლინგს („ქართულ ხელნაწერთა მორთულობის ნიმუშები“, 1940, გვ. 49—52). ეს მეორე ჯრუჭისა იგულისხმება „საისტორიო და საბიბლიოგრაფიო წერილში“, სადაც მოყვანილია ცნობები დ. ბაქრაძის მოგზაურობის ხელნაწერი ანგარიშიდან („ივერია“ 1889 № 224)⁹⁵.

პარხლის ოთხთავი

(A 1453)

პარხლის ოთხთავი (დათქმით E) ნაწერია მრგოლოვანი ხელით მშვენივრად დამუშავებულ ეტრატზე. ზომა ხელნაწერისა: 23×20,5 cm (ნაწერისა, უნიციალეზოდ, 18×14 cm).

ხელნაწერის ძველი ნაწილი შედგება 30 რვეულისაგან, რომლებიც აღნუსხულია ორ-ორ ადგილას: პირველი ფურცლის თავში და უკანასკნელის ბოლოში; სათვალავად გამოყენებულია ქართული და ბერძნული ასოები. თავში აკლია I რვეული, რომელიც მე-18 საუკუნეში (1744 წ.) ეტრატზედვე შეუვსია ნიკოლაოზ მთავარ-დიაკონს. მასვე დაურთავს ქალაღის ერთი ფურცელი მე-7 რვეულის დაკარგული ფურცლის ნაცვლად (ეხლანდელი სათვალავით ეს არის 56-ე) და შეუვსია სათანადო ტექსტი (მათ. 24, 15—24, 31).

ნაწერია ორ სვეტად (სვეტში 20 სტრიქონი), მელანი შავია, ინიციალეზებიც უმეტესად შავად არის ნაწერი, მაგრამ ზოგჯერ წითურადაც. წითურად არის გამოყვანილი ლამაზი ჯვრები საკითხავების დასაწყისების

⁸⁸Опись памятников древности в некоторых храмах и монастырях Грузии, СПб. 1890, стр. 153—154.

⁸⁹ისტორია საქართველოსი, 232—233; ნ. აგრეთვე დ. ბაქრაძის მიერ გამოცემული ვახუშტის „საქართველოს ისტორია“, გვ. 130.

⁹⁰სამი ისტორიული ქრონიკა, გვ. LXVII.

⁹¹ქრონიკები, I, 89.

⁹²სასარების ქართულ თარგმანთა შესახებ მე-5—6 საუკუნეში ხანმეტ ტექსტებთან დაკავშირებით (საისტორიო ძიებანი, 1924, 1—37).

⁹³ქართულ ხელნაწერთა მორთულობის ნიმუშები, 1940, გვ. 41—43 (წარმოდგენილია სამი მინიატურა: მათესი, იოანესი და განრღვეულის განკურნებისა).

⁹⁴R. Blake and Sirarpie Der Nersessian, The Gospels of Bert'hay: An Old-Georgian Ms. of the Tenth Century [«Byzantion» 16 (1944), pp. 226—285, 8 ტაბულითურთ].

⁹⁵Baltrušaitis-ი (Études sur l'art médiéval en Géorgie et en Arménie, P. 1929, p. 27) ლაპარაკობს მეორე ჯრუჭის ოთხთავის მოხატული ინიციალეზების შესახებ და შეცდომით პირველი ჯრუჭის ოთხთავის ნომერს ასახელებს.

აღსანიშნავად აქა-იქ: 9 v (მათ. 5, 25), 11 r (მათ. 6, 1), 12 v (მათ. 6, 25), 13 r (მათ. 6, 34), 15 r (მათ. 7, 28), 15 v (მათ. 8, 5) და სხვაგან.

მელანი მკრთალია და ნაწერი ისე ადვილად არ იკითხება, როგორც ჯრუჭისა, ასობიც უფრო წვრილია ჯრუჭისაზე, თუმცა სილამაზის მხრივ მათ არ ჩამოუვარდება. აქ ხშირად გვხვდება ქვემო აშიაზე ჩამოგრძელებული ასოები: **ჟ, ყ, რ, ჟ** (მაგ., ფფ. 97 r, 104 v, 136 r, 147 r, 169 v).

კიდევ უფრო წვრილია სიმფონიაში მახარებელთა აღსანიშნავი ასოები ქვედა აშიებზე. აქ სტრიქონები 6-ამდეა, მახარებელთა ასოები დაწერილია წითურად, მუხლების რიცხვები — შავად.

ზოგი ფურცელი გახეული ყოფილა და ფრთხილად დაუკერავთ წვრილი ძაფით (ფფ. 144, 145).

ორი უკანასკნელი რვეული (31-ე და 32-ე, გვ. 239–260), მე-18 საუკუნეშია დამატებული ქალაღზე და ზედ საკითხავების საძიებელია მოთავსებული.

ყდა ხისაა, ზედ მოჭვრეთილი ტყავია გადაკრული. წინა ყდაზე შუაში ჯვარცმაა გამოყვანილი მოჭვრეთის წესით. ეს ყდა მე-18 საუკუნეშია გაკეთებული.

ფფ. 11–32 გაყვითლებულია (სინესტილგან?) რექტოდან ზემო მარჯვენა მხარეს, ზოგი მეტად, ზოგი ნაკლებად. ასეთივე ვითარებაა 41–107 ფფ.-ის ფარგლებში. იგივე ითქმის 219–223 ფფ.-ზედაც, ოღონდ აქ შუა ნაწილის შესახებ.

ზოგი ფურცელი მცირე ნაწილითა არის დაკავშირებული თავის წყვილის ცალთან (17–25).

მე-40 ფ.-ის ზემო მხარე მოხეულია და მის ნაცვლად დაწებებულია ქალაღი და აღდგენილია ტექსტი (მათ. 17, 24 და შემდგ.). ფ. 41 ირიბად არის გახეული და ნახევზე ქალაღია დაწებებული. ამით დაფარული ტექსტი ნაწილობრივ აღდგენილია ქალაღზე წინა მხარეს. 56-ე ფ.-ის შესახებ უკვე ვთქვით, რომ ის არის დაკარგული ეტრატის ნაცვლად ჩაკერებული ქალაღი, რომელზედაც ტექსტი (მათ. 24, 15–31) აღდგენილია მე-18 ს.-ში.

პარხლის ხელნაწერს არ მოეპოვება სურათები და კამარები (აღბათ თავის დროზე ჰქონდა თავში და დაეღუპა), არც სხვა სამკაული, გარდა საბოლოებლის თვითიული სახარების დასასრულს (სურ. 25 და 26). მაგრამ ბლომად მოეპოვება მინაწერები, რომლებიც ნათლად გვისატავენ ხელნაწერის ბელს. ამათგან ყველაზე მნიშვნელოვანია

1. ანდერძი (ფ. 237, სურ. 28 და 29), სადაც ნუსხურად ვკითხულობთ (ქარაგმებს ვხსნით):

„**ჟ.** სახელითა მამისადთა და ძისადთა და სულისა წმიდისადთა, მეოხებითა წმიდისა და ყოვლადიღებულისა ღმრთისმშობელისა მარადის ქალწულისა მარიამისითა, ძალითა ცხოველს-მყოფელისა პატიოსნისა ჯუარისადთა, მეოხებითა წმიდისა და ნეტარისა წინაწარმეტყუელისა იოვანე ნათლის-მცემელისადთა, მეოხებითა და შეწევნითა წმიდათა და ყოვლად ქებულთა მოციქულთადათა და წმიდათა წინაწარმეტყუელთა⁹⁶, მეოხებითა წმიდათა მახარებელთადათ: მათე⁹⁷, მარკოზ, ლუკა და იოვანესითა, მეოხებითა წმიდათა მოწამეთადათა და ღირსთა მღვდელთა მოძღუართადათა და ნეტართა მამათადათა ღირს ვიქმენ მე, გალასაკი იოვანე, ნართაულად ბერაი, აღსრულებად წმიდასა ამას სახარებასა ოთხთავსა მოღუაწებითა სულისა წმიდისადთა და შეწევნითა ღმერთ-შემოსილთა კაცთადათა, სალოცველად სულისა ჩემისა ცოდვილისა და სამოძღურებელად თავისა ჩემისა და სალოცველად სულისა მშობელთა ჩემთასა (sic) და ყოველთა თვისთა

⁹⁶ წნწ ყლთადათა *E*.

⁹⁷ მათც *E*.

ჩუენთათვს, სულიერთა და ვორციელთა, და სალოცველად მეფეთა ჩუენთათვს ღმრთივ⁹⁸ დიდებულისა ბაგრატ ქართველთა მეფისა, დავით მაგისტროსისა, სუმბატ ერისთავთა ერისთავისა და ღმრთივ⁹⁹ მონიჭებულთა ძეთა მათათვს. ქრისტემან ყოველნი აღიდენინ მოწყალებითა მისითა ჟამთა უკუნისამდე¹⁰⁰!

აწ ვინცა ღირს იქმნეთ აღმოკითხვად და მსახურებად წმიდასა ამას სახარებასა, მოივსენეთ | სული ჩემი ცოდვილი წმიდათა შინა ლოცვათა თქუენთა. და ყოველთა ერთობით მოგუანიჭენინ ღმერთმან კეთილნი საუკუნენი და ყოველნი ღირმსცა ვართ სასუფეველსა ცათა (sic) და სანატრელისა მის ჯმისა სძენად ქრისტე¹⁰¹ იესუდს მიერ უფლისა ჩუენისა! მისა დიდებად ეკლესიასა შინა მამისა თანა სულით წმიდითურთ საუკუნეთა მიმართ საუკუნეთასა, ამენ.

დაიწერა დასაბამითგანთა წელთა $\bar{\Gamma} : \bar{\Phi} : \bar{\Omega} \bar{\chi} :$

ქრონიკონი იყო მეცამეტედ ქცეულია $\bar{\Phi}\bar{\Omega}$.

ანდერძიდან ცხადია, რომ ხელნაწერი გადაუწერია იოანე-ბერას დასაბამითგან 6577 წელს, ხოლო ქართული ქრონიკონის მიხედვით 193 წელს. ორივე წელთაღრიცხვით ჩვენებურად გამოდის 973 წელი: $6577 - 5604 = 780 + 193 = 973$.

2. იოანე-ბერა თავის თავს მომღვენო ბერძნულ მინაწერშიც (სურ. 29) აცხადებს გადამწერლად.

3. იოანეს, რომელსაც ნართაულად ბერა ჰრქმევია, სახარების ტექსტი მრგლოვანი ხელით დაუწერია, მაგრამ მინაწერებში სხვაგანაც ნუსხურს ხმარობს. ერთი ასეთია მათეს სახარების ბოლოს (70 v, სურ. 25), სამ სტრიქონად, წვრილად:

„ქრისტე მეუფეო ყოვლისა მპყრობელო, შეიწყალე გლახაკი იოვანე, მწერალი ამის წიგნისა, მეოხებითა წმიდათა მასარებელთა შენთადათა, აწ“.

4. მარკოზის სახარების ბოლოს (112 v, სურ. 25):

„ქე, შეიწყალე ბერაი მწერალი. აწ“.

5. იოვანეს სახარების ბოლოს (236 r, სურ. 27), წითურად, მრგლოვანი ხელით:

„დიდებად შენდა, სამებაო წმიდაო“.

6. ამას მოსდევს ლოცვა „დიდება მამასა და ძესა“ უწიგნური ბერძნულით, რომელიც იმავე ბერას ეკუთვნის (სურ. 27). შემდეგ იქვე ნუსხურად:

7. „უფალო იესუ ქრისტე, ცხოველთა და მკუდართა მეუფეო, შეიწყალე იოვანე ბერაი, მწერალი ამისი, გლახაკი სულითა, მეოხებითა წმიდათა მასარებელთა შენთადათა. წმიდანო ღმრთისანო, ვინ იკი...“ (შემდეგ მინაწერი წყდება. რადგანაც ჩამოჭრილია ამ ფურცლის გარეთა და ქვემო აშია).

ბერა თავის მინაწერებში არსად არ ასახელებს წიგნის მომგებელს. სამაგიეროდ ბერას ანდერძის შემდეგ, იმავე გვერდზე (ფ. 238 r) იწყება

8. სხვა ანდერძი, ისიც ნუსხურად, თითქო სხვა პირის მიერ დაწერილი:

„შევწირე წმიდასა ეკლესიასა პარხლისასა... (აქ წაშლილია 3 თუ 4 სიტყვა. შემდეგ 238 r-ზე გაგრძელება, სურ. 30).

⁹⁸ ღ[~]თვ E.

⁹⁹ ღ[~]თივ E.

¹⁰⁰ ო[~]კე E.

¹⁰¹ ქ[~]ც E.

„წინაშე ახალსა ეკლესიასა, ახალსა საკურთხეველსა ზედა დაიდვას სადიდებელად ღმრთივ¹⁰² გვრგვონისა მეფეთა მეფისა (ადიდენინ ღმერთმან!)¹⁰² ღმრთივ დამყარებულისა დავით მაგისტროსისა, მამობასა სარწმუნოვსა მწყემსისა და კეთილად მ[ოლ]უაწისა წმიდისა მამისა ეფთიმესა. ქრისტემან შეაწიენ (sic) ესე წმიდანი მასარებელნი მათ და ყოველსა კრებულსა პარხლისასა ჟამთა უკუნისამდე¹⁰³, ცოცხალთა და მიცვალებულთა ცხორებასა მას საუკუნესა! ან.

აწ ვინცა ვინ რადთაცა¹⁰⁴ მიზეზითა გამოავუას წმიდასა ნათლის-მცემელსა, ანუ გაძღუანოს გინა გაყიდოს და ჩუენი სასყიდელი და გულის-მოღვინება დაამკუას, გა-მცა-ურისხლების თავადი ღმერთი და ნაწილიმცა მისი იუდას თანა არს ისკარიოტელსა და წმიდისა იოვანე ნათლის-მცემელისა მკლველთამცა თანა დაიშვების და ესე წმიდანი მასარებელნი არიან მოსაჯულნი მისნი დღესა მას აღდგომისასა საშინელსა, ოდეს ყოველი დაბადებული წარმოდგეს განკითხვად წინაშე საყდართა დაუსაბამოვსა მისა ღმრთისათა, თუალ-უხუეავად მსაჯულისათა, რომლისადა არს ღიღებად უკუნითი-უკუნისამდე¹⁰⁵, ან.

და მასვე პირსა ზედა მეფეთა სიმტკიცე დაწერონ (ადიდენინ ღმერთმან!)

მე, ივანე-ბერამან, მწერალმან შატბერდელმან, შატბერდს დაწვერე და პარხალს შეეწირე სალოცველად ყოველთა ძმათა შატბერდელთა. ყოველნი აკურთხენინ ღმერთმან!“

ამ მინაწერის მიხედვით ისე გამოდის, თითქო ისიც იოვანე-ბერას დაწეროს, მაგრამ ამ ანდერძის ხელი განსხვავებული ჩანს ბერას ნუსხური ნაწერებისაგან, რომლებიც ზემოთ მოვიყვანეთ. მელანიც სხვაა.

ამგვარად ირკვევა, რომ ოთხთავი შეუწირავთ პარხლის ეკლესიისათვის, რომელიც მაშინ (973 წ.) ახლად აშენებული ყოფილა ი. ნათლისმცემლის სახელზე.

9. ორი უკანასკნელი რვეული, ქალაქისა (31 და 32, გვ. 293—260), მე-18 საუკუნეშია დამატებული. აქ 239 ფ.-ზე იკითხება მხედრული მინაწერი, რომელიც ოთხთავის დატყვევებისა და გამოხსნის ამბავს მოგვითხრობს:

„ქ. მას ჟამთა, ოდეს საათაბაგონი წმიდისა სარწმუნოებისაგან განსრულ იყვნენ და სარკინოზნი შექმნილიყვნენ, ეს წმიდა სახარება იქაური ყოფილიყო და უსჯულოთაგან დატყვევებულიყო. და დიდად სახელოვნებით გამოჩენილს მეფეთ¹⁰⁶ სიძობით მყოფს და თვით მეფის ვახტანგის სიძეს აბაშიძეს ვახუშტის ეს წმინდა სახარება თათრის ხელით დიდის სურვილით და სასოებისანი გულით დაეხსნა.

კვალად ჭინახული და ხელმეორეთ განახლება მნახავთა¹⁰⁷ იუწყეთ: ჩვენ, სურვილითა და სიყვარულით შეტკობილმა ბატონის მამის ჩვენის უმცროსმა შვილმა და მეფეთ მეფის ვახტანგის ასულის ბატონიშვილი ანუკას ძემან, თვით აბაშიძემ ნიკოლოზ, ვიგულსმოღვინე და შენ, დედასა ღთისასა წმინდასა მლთის-მშობელსა ხახულისასა, ციხესა შინა, წმინდასა შენსა საღურსა ეკლესიასა, ბულბულის ციხის პატარას საყდარში დადევით¹⁰⁸ და შემოგწირეთ წმინდა ესე ოთხთავი. თვესა სეკლებერსა 3, ქკს უკზ“.

ქრონიკონი უდრის 1739 წელს. სიტყვების შემდეგ თითო წერტილია დასმული.

¹⁰² ღთივ E.

¹⁰³ ოკე E.

¹⁰⁴ რაცა.

¹⁰⁵ ოკი-ოკე E.

¹⁰⁶ ხელნაწერში: მეფედ.

¹⁰⁷ ხელნაწერში: მნახავითა.

¹⁰⁸ ხელნაწერში: დავიდევით.

აქ მოხსენებული ბულბულის ციხე მდებარეობს, ე . თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი ს ცნობით¹⁰⁹, ხაშურს ზემოთ, ს. ქვიშხეთიდან ორიოდე კილომეტრის მანძილზე.

10. მომდევნო ფურცელზე (240 r) იწყება **სადიებელი წმიდისა სასარებისა** (ეს სიტყვები გამოყვანილია მთავრული ასოებით ხვეულად). სადიებელი დაწერილია ნუსხა ხუცურით 259 v-მდე, სადაც იმავე ნუსხური ხელით ნიკოლაოზ მთავარ-დიაკონის ანდერძია მოთავსებული. სიტყვები უმთავრესად დაქარაგმებულია. აქ იკითხება¹¹⁰:

„უფალმან განაძლიეროს და აღიღოს¹¹¹ ორსავე ცხოვრებასა¹¹² ბატონი¹¹³ აბაშიძე ვახუშტი, რომლისა ბძანებითა¹¹⁴ ძველად ნაწერი მრგლოვანი ესე წ^ა სასარებად კვალად¹¹⁵ გავმუკლუ სათვალავით და სადიებლითურთ. გევედრები¹¹⁶ მკითხველთა, რათა მცირედცა ხსენებასა¹¹⁷ ჰყოფდეთ ჩემ უბადრუკისა მთავარ-დიაკონის¹¹⁸ ნიკოლაოზისათა¹¹⁹. დასაბამითგან **ვსნზ** (7252), ქრისტეს აქეთ **ჩღმდ** (1744), ქ^ა კ^ს **ულბ**“ (432).

ცხადია, დასაბამითგან აქ ნაანგარიშეგია ბიზანტიურად, რადგანაც ქრისტემდე ნავარაუდევია 5508 წელი (7252 – 5508 = 1744), და არა 5604, როგორც ვარაუდობდნენ ჩვენში ძველად, მაგ., თვით პარხლის ოთხთავის დაწერის დროს.

11. მათეს სასარების ბოლოს (70 v): „აღიღოს¹²⁰ უფალმან ბატონი¹¹³ ვახუშტი აბაშიძე, რომლისა ბრძანებითა ვმართავ სათვალავსა წ^ა ისა ამის სასარებისასა მე, კინლა სახელისა (sic) მთავარ-დიაკონი ნიკ^ა ზ. მრავალ-ჟამიერ ყოს უფალმან ორსავე შინა კეთილ-ცხოვრებასა! გევედრები ყოველთა უფალთა ჩემთა, რათა ჩემ უბადრუკისათვის მცირედცა ხსენება¹²¹ ყოთ. ჩემთა შეწყალებათათვის თქვენცა უფალმან წყალობა¹²² გცეს დღესა მას განკითხვასა“!

ნიკოლაოზ მთავარ-დიაკონს შეუესია ოთხთავის ნაკლულეგანი ადგილები თავში და შუაში (ფ. 97) და გაუმუხლავს, ე. ი. თავებად და მუხლებად დაუყვია მთელი ტექსტი. გამუხლვა მას ასე მოუხდენია: თავ-თავის ადგილას ჩაუწერია თავების დასაწყისი, ხოლო აშიებზე — მუხლების სათვალავი (მრგლოვანი ხელით). გამუხლვა უმეტეს შემთხვევებში ამჟამად მიღებულს ემთხვევა. ამას გარდა, მუხლების დასასრულს ნიკოლაოზს სამ-სამი წერტილი დაუსხამს, თანაც საკითხავების დასაწყისსა ან დასასრულს წითელ-წითელი ჯვრები დაუსხამს, რომლებიც აშკარად განსხვავდებიან იოანე-ბერას ჯვრებისაგან არა მარტო სიდიდით (ნიკოლაოზის ჯვრები მომცროებია), არამედ ფერთაც: ძველები მკრთალი წითელი ფერისაა, ახალი კი — მოჭირებული წითელი ფერისა.

¹⁰⁹ Мат. по арх. Кавказа, XII, გვ. 139.

¹¹⁰ ქარაგმებს ვხსნიოთ. ხელნაწერის ორთოგრაფიას სქოლიოში ვუჩვენებთ.

¹¹¹ აღიღეს.

¹¹² ც^ა რ^ბ ღ^ა ს^ა.

¹¹³ ბატონი.

¹¹⁴ ბ^ძ ნ^ე ბ^ი თ^ა.

¹¹⁵ კ^ა ღ^ა.

¹¹⁶ გ^ე ბ^ი.

¹¹⁷ ხ^ს ნ^ბ ღ^ა ს^ა.

¹¹⁸ მ^თ ვ^რ ღ^ი კ^ნ ის.

¹¹⁹ ნ^ი კ^ა ზ^ი ს^ა თ^ა.

¹²⁰ აღიღეს.

¹²¹ ხსენებდ.

¹²² წყალობდ.

როგორც ამ მინაწერებიდან ირკვევა, პარხლის ოთხთავი ტყვეობიდან დაუნსნია ვახტანგ მეექვსის სიძეს ვახუშტი აბაშიძეს და დაუღვია ბულბულის ციხის პატარა ეკლესიაში. ეს მომხდარა 1739 წ., ხოლო ხუთი წლის შემდეგ (1744 წ.) ვახუშტის უმცროს შვილს მთავარ-დიაკონ ნიკოლაოზს ოთხთავის დაკლებული ადგილები შეუვსია, ტექსტი თავებად და მუხლებად დაუყვია და საკითხავთა საძიებელი დაურთავს¹²³.

12. ზემოთ მოყვანილ წარწერაში (№ 9) დასახელებული ან უკა ბატონი შვილი ერთგან წერს (9 r, ქვემო აშიაზე):

„ქ. ღთო, ცოდვილს ანუკას მო(ხ)ედე მოწყალებით შენით“.

სიტყვებს სამ-სამი წერტილი უსხედს.

13. იმავე ან უკა ბატონი შვილს შაირი მიუწერია 238 v-ზე. ლექსში ნახმარია მეტი ანები, რომლებიც აქ შენიშვნებშია ჩატანილი, სამაგიეროდ დაკლებული ასოები შავად არის აწყობილი. სიტყვებს შემდეგ აქაც სამ-სამი წერტილი სხედს:

ფრიად¹²⁴ ცოდვილმან ანუკამ დავწერე¹²⁵ ესე ლექსია¹²⁶.

ჩემთვის¹²⁷ ბძ(ა)ნებდეთ¹²⁸, ვისც გწამსო ქრისტე მესია.

მცოდნენო¹²⁹, თავსა არ გისწრობთ¹³⁰, ხართ ჩემგან უკეთესია,

და დავწერე შენდობის თხოვნა, მოცემაც დან(ა)წესია¹³¹.

14. ამავე ანუკას უნდა ეხებოდეს მე-18 საუკუნის ხელით დაწერილი სიტყვები იმავე გვერდზე (238 v) თავში. მელანი გადალეულა და ზოგან არ იკითხება.

„ქრისტევ მეუფეო, შეჭირვებულთ მეყუსეულათ მ ... ნელო(?) შენ... მოწყლებს... აიდ იოეთავს ანუკაზე“.

15. აღნიშნული (მე-13–14 ს.) მხედრულით შესრულებულია თითქმის სულ გადალეული 5-სტრიქონიანი წარწერა 236 v-ზე. ეს-ლა ირჩევა თავში:

ქ. ღლსა.

16. 237 v-ს მეორე სვეტზე, მხედრულად, ლამაზი ხელით 8 სიტყვისაგან შემდგარი წინადადება. სიტყვების შემდეგ ორ-ორი წერტილი:

„ნეტავი იმ კაცთა, ვინც ამის წერის დროს ყოფილან!“

17. უახლოესი დროის (მე-19 ს.) მინაწერი ნარევი მრგლოვან-ნუსხური ხელით (70 v): „მოიხსენე, უფალო, კანდელაკი მღრღელი იოვანე. ან“.

¹²³ ჩვენ მაღლობენი ვართ ნიკოლაოზ აბაშიძისა, რომ მან პარხლის ოთხთავზე გაწეული მუშაობა ზედმიწევნით აღნიშნა, მაგრამ კიდევ უფრო დავუმაღლებდით, რომ მას ძველი ტექსტისათვის სრულიად არ ეხლო ხელი.

¹²⁴ ფარიად.

¹²⁵ დავაწერე.

¹²⁶ ლექსია.

¹²⁷ ჩემთვის.

¹²⁸ ბძნებდეთ.

¹²⁹ მაცოდნენო.

¹³⁰ გისწრობათ.

¹³¹ დანწესია.

18. იგივე იოვანე სხვაგან (237 v) ნუსხურად: „მოისხენ(ე), უფალო, მონა შენი კ(ა)ნდელაკი მღრღელი იოვანე ამინ, ან, ან“. აქ ყოველი სიტყვის შემდეგ წერტილია. ეს მინაწერი მოსდევს სხვა მხედრულ მინაწერს (№ 16-ს).

ცნობა პარხლის ოთხთავის შესახებ პირველად ე . თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ მ ა გამოაქვეყნა 1890 წ. თავის ცნობილ გამოკვლევაში („სამი ისტ. ქრონიკა“, გვ. XLV—LVII). ხელნაწერი მას უპოვია მღვდლის მ . ს უ ხ ი ა შ ვ ი ლ ი ს (სუხიევის) სახლში ს. ზემო-ჭალაში 1889 წელს¹³², ოციოდე წლის შემდეგ მან უფრო ვრცლად დაბეჭდა ამ ძეგლის აღწერილობა რუსულად (MAK, XII, 1909, 139—151). უკანასკნელი ნაშრომი იმით არის საყურადღებო, რომ აქ მოცემულია პალეოგრაფიული ნიმუშები ძეგლისა, მოყვანილია ოთხივე თავის დასაწყისი და დასასრული (მათესი, მარკოზისა, ლუკასი და იოვანესი), აგრეთვე მინაწერები იოანე-ბერასი და სხვებისა, რომლებიც გადმოუღია კალიგრაფ გ . ტ ა ტ ი შ ვ ი ლ ს დენიდან 1894 წ.

პარხლის ოთხთავის აღმოჩენით შესაძლებელი გახდა უფრო ზუსტად დათარიღებულიყო განთქმული შატბერდის კრებული, რომელიც უთარიღოა, მაგრამ რომელიც, მინაწერების თანახმად, იმავე იოანე-ბერას გადაუწერია, რომელმაც ჩვენი ოთხთავი გადაწერა და პარხალს შესწირა. ე . თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი ს „სამ ისტ. ქრონიკაში“ დაბეჭდილ ცნობებზე დაყრდნობით, პარხლის ოთხთავს რამდენადმე შეეხო თ . ჟ ო რ დ ა ნ ი ა (ქრონიკები I, 1892, გვ. 94—99). თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი ს წანაკითხის შესამოწმებლად ის ზემო-ჭალას გამგ ზავრებულა, მაგრამ მღვდლის სუხიაშვილის სახლში ვერ უპოვია აღნიშნული ოთხთავი, რომელიც მღვდელს თითქო კერძო პირთათვის ეთხოვებინა (გვ. 95). 1894 წ. ე . თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი კვლავ ჰსტუმრებია ზემო-ჭალას ფოტოგრაფ დ . ე რ მ ა კ ო ვ ი ს ა და კალიგრაფ გ . ტ ა ტ ი შ ვ ი ლ ი ს თანხლებით და გადმოუღებინებია ზოგიერთი ადგილი, რომლებიც მან შემდეგ გამოაქვეყნა (MAK, XII).

გავიდა ხანი. მოიკითხეს ხელნაწერი, რომელიც თავის დროს ჭალის ეკლესიას ეკუთვნოდა¹³³, მაგრამ მღვდლის სიკვდილის შემდეგ მისი კვალი გაქრა, შეიძლება პარხლის ოთხთავი, ბერთის ოთხთავის მსგავსად, საზღვარგარეთ გაეტანათ, რომ გერმანიის კონსულს თბილისში Dr. O. G. von Wesendonk-ს, რომლისთვისაც შესაძენად შეეძლიათ ეს ხელნაწერი 1922 წელს, არ მოეტანაის უნივერსიტეტის მუზეუმში (რომელიც მაშინ მოთავსებული იყო უნივერსიტეტის შენობის ზემო სართულში, ჩრდილოეთის მხარეს) იმის გასაგებად, თუ რას წარმოადგენდა ხელნაწერი და ღირდა თუ არა მისი შექმნა. ამ დროს იქ შევესწართ კ . კ ე კ ე ლ ი ძ ე და მე. ჩვენ ავუსხენით კონსულს, რომ კარგა ხანია, რაც ჩვენ თვითონ ვეძებთ მაგ ხელნაწერს, რომელიც კარგად ცნობილი ძეგლია სამეცნიერო ლიტერატურაში. ამის შემდეგ კონსულმა უხერხულად მიიჩნია მისი შექმნა, და პირი, რომელსაც განთქმული ოთხთავი თავისად მიაჩნდა, იძულებული გახდა, რომ ხელნაწერი უნივერსიტეტისთვის დაეთმო.

უნივერსიტეტის ხელნაწერთა ფონდი შემდეგ შეუერთდა საეკლესიო მუზეუმისას, უნივერსიტეტის ხელნაწერთა ნომრები წათვლილ იქნა საეკლესიო მუზეუმის უკანასკნელი ხელნაწერისაზე (1090-ზე) და ჩვენს

¹³²გასულ ზაფხულსო, — წერდა ე . თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი 1890 წელს ივლისში, — მე მომიხდა ყოფნა სურამში და თავისუფალ დროს ვნახულობდი ეკკლესიებს, ვაგროვებდი გუჯრებს და ვკრებდი ცნობებს ხელნაწერი წიგნების შესახებ“-ო („სამი ისტ. ქრონიკა“, გვ. XX). ამასვე იმეორებს ის შემდეგ რუსულად გამოქვეყნებულ აღწერილობაში (MAK XII, 151).

¹³³მღვდლის მ . ს უ ხ ი ა შ ვ ი ლ ი ს სიტყვით, პარხლის ხელნაწერი, სხვა საეკლესიო ნივთებთან ერთად, მას გორიდან ჭალას აუტანია 1871 წ. ისინი ეკუთვნოდა ი ვ ა ნ ე ა ბ ა შ ი ძ ი ს ქვრივს, რომლის სიკვდილის შემდეგ მემკვიდრეებმა ყველაფერი გაიყვეს, გარდა საეკლესიო ნივთებისა, რადგანაც ეშინოდათ, რომ, თუ ვინმე დასძრავდა მათ ადგილიდან, უეჭველად მოჰკლავდაო. სუხიაშვილს მაინც დაუძრავს და გადაუტანია ჭალაში (ე . თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი , MAK XII, 132).

ოთხთავს ჰხვდა ნომერი 1453. შემდეგ ეს შეერთებული ფონდი (საეკლ. მუზეუმისა და უნივერსიტეტისა) გადატანილ იქნა საქართველოს მუზეუმში და აღინიშნება A ლიტერით.

III. და ბ ე ჯ დ ი ლ ი ტ ე ქ ს ტ ე ბ ი ს ა თ ვ ი ს

აქ წარმოდგენილი ორი ძველი რედაქცია ქართული ოთხთავისა უთუოდ მოითხოვს ზოგიერთი საკითხის განმარტებას, ურომლისოდაც მკითხველს არ ექნება საშუალება გაითვალისწინოს, თუ როგორი პრინციპებით ვხელმძღვანელობდით ამა თუ იმ ადგილის დადგენის დროს და, საზოგადოდ, როგორია ჩვენი დამოკიდებულება ტექსტისადმი.

1. და კ ლ ე ბ უ ლ ი ს ა და გა და ს მ უ ლ ი ა დ გ ი ლ ე ბ ი ს ა თ ვ ი ს¹³⁴

სამსავე ხელნაწერს აკლია, ზოგს სად და ზოგს სად. კლება ზოგი შემთხვევითია: გამოწვეულია ან ხელნაწერის დაზიანებით, ან კიდევ გადამწერის უყურადღებობით, ზოგიც რედაქციული ხასიათისაა. რედაქციული ამბავია აგრეთვე მუხლების გადასმაც. დაკლება უმეტეს შემთხვევაში გარეგნულადაც ადვილი შესატყობია, რადგანაც ამ გამოცემაში სათანადო ადგილას ცარიელი არეა დაგდებული. C-ს დაზიანებისაგან წარმომდგარი ხარვეზები გამოცემაშივეა აღნიშნული თავ-თავის ალაგას, სხვა ხელნაწერებისა და სხვა ხასიათის კლებას მივჰყვეთ რიგ-რიგად¹³⁵:

მათ.1, 1–17. ეს მუხლები აკლია როგორც D-ს, ისე E-ს. E-ში, მართალია, ნაკლი შევსებულია მე-18 საუკუნეში, მაგრამ ეს შევსებული ტექსტი ამ გამოცემაში უყურადღებოდაა დატოვებული (როგორც აქ, ისე სხვაგანაც).

მათ.1, 17–5, 18 ვიდრე „შჯულისაგანი და“. ეს ადგილი აკლია E-ს ძველ ნაწილს და მარტო D-ს მიხედვით არის მოყვანილი.

მათ.5, 21. DE-ს შემთხვევით უნდა აკლდეს ერთი წინადადება.

მათ.6, 5–6. ეს ორი მუხლი აკლია პარხლის ხელნაწერს (E-ს), როგორც ჩანს, სრულიად შემთხვევით: ალბათ გადამწერმა, მე-4 მუხლის უკანასკნელი სიტყვების დაწერის შემდეგ, თვალი მოჰკრა მე-6 მუხლის დაბოლოებას, რომელიც ისეთივეა, რაც მეოთხისა („მოვაგოს შენ ცხადად“), იფიქრა, რომ მუხლები 5 და 6 უკვე დაწერილიაო და პირდაპირ მე-7-ზე გადავიდა.

მათ.17, 21. ეს მუხლი აკლია ორსავე რედაქციას. სხვა ქართულ ხელნაწერთაგან, რომელთაც მე ვიცნობ, ის არ არის ოპიზურში, მაგრამ მოიპოვება ორსავე ძველ სომხურ ხელნაწერში (**U¹F**). ტიშენდორფსა და ნესტლეს ის სქოლიოში აქვთ ჩატანილი.

მათ.18, 11. ეს მუხლი, სახარების ტექსტის კომენტატორთა აზრით, მერმინდელი ჩანამატებია და გადმოსულია ლუკას 19, 10-იდან. საყურადღებოა, რომ ქართულ ხელნაწერთაგან ის მოიპოვება BC-ში აგრეთვე გიორგისეულ რედაქციაში, მაგრამ აკლია ADE-ს; მოიპოვება **U¹F**-ში.

მათ.20, 26. უთუოდ შემთხვევითია, რომ მუხლს აკლია მეორე ნახევარი, რომელიც მოიპოვება AB-ში.

¹³⁴ ამ ნაწილისათვის ვსარგებლობდი შემდეგი წყაროებით: ბერძნული ახალი აღთქმა, მე-7 გამ. ტიშენდორფისა (1887) და მე-3 გამ. ნესტლესი (1901), სომხური ოთხთავები 887 და 989 წლებისა ფოტოტიპიური გამოცემების მიხედვით [ლახარანთ ინსტიტუტის გამოცემა, მოსკოვი 1899 (=U) და L' évangile arménien. Paris 1920 (=F)], ახალი აღთქმა (ზოპრაბის გამოცემა, 1805 (=F)) და ლოპუხინის რედაქციით გამოსული Толковая Библия (т. т. IX и X, 1914). გიორგისეული რედაქციისათვის ხელთ მქონდა ახალი აღთქმა, გამოცემ. თბილისს 1912 წ.

¹³⁵ აქ მხოლოდ მთავარი საკითხებია განხილული და ისიც მოკლედ.

მათ.21, 28–31. იგავი ურჩისა და მორჩილი შვილის შესახებ ორსავე რედაქციაში ისეა მოთხრობილი, რომ მამის ნებას ასრულებს უკანასკნელი. გიორგისეულ რედაქციაში კი მორჩილია პირველი შვილი და არა უკანასკნელი. CDE-ს ამ შემთხვევაში მხარს უჭერს AB, ქსნური და ურბნული ხელნაწერები¹³⁶, აგრეთვე **საჩ**.

მათ.23, 13–14. C-ში სრულიად გამოტოვებულია ქვრივთა სახლების შეჭმის მუხლი, რომელსაც გადმოსულად თვლიან მარკოზიდან (12, 40) და ლუკადან (20, 47). ის არ მოიპოვება მრავალ ძველ ბერძნულ ხელნაწერში, აგრეთვე, ზოპრაბიანის შენიშვნის თანახმად, ძველ სომხურ ხელნაწერებშიც (მათ შორის, დავსკენტ ჩვენ, **საჩ**-შიც). სხვა ქართულ ხელნაწერთაგან AB და DE აღნიშნულ მუხლს სასუფეველის დასმვის მუხლის წინ ათავსებენ. გიორგისეულ რედაქციაში კი რიგი შებრუნებულია.

მათ.26, 26. მუხლის ბოლო მოიპოვება ADE-ში; აკლია BC-ს, გიორგისეულს, ბერძნულს, სომხურს.

მათ.28, 18. მუხლის ბოლო გადმოსული ჩანს იოვანედან (20, 21). მოიპოვება C-ში და **საჩ**-ში, მაგრამ აკლია ABDEX-ს, გიორგისეულს, ბერძნულს.

მარკ.1, 45–2, 12. „ველ-ეწიფა“... ვიდრე „იტყოდეს“ ეს ადგილი აკლია D-ს და მოყვანილია მარტო E-ს მიხედვით.

მარკ.2, 19. ეს მუხლი შემოკლებულად არის წარმოდგენილი პროტოვულგატურ ხელნაწერებში: ABDE. ჰაემეტტი (Z) ამოკლებს, მაგრამ „მარხვად“ წინ არის გადმოსული: „ვერ ველ-ჰეწიფების ძეთა სიძისათა მარხვად“.

მარკ.3, 2. DE-სთან ერთად AB-საც აკლია ბოლო, რომელიც ჰაემეტში (Z) ასე იკითხება: „რადთა შესამინონ იგი“.

მარკ.6, 23. გადამწერს აშკარად გამოპრჩენია სიტყვები: „და ეფუცა მას, ვითარმელ: რადცა მოხრო, მიგცე შენ“ („მიგცე შენ“ სიტყვების გამეორების გამო). საყურადღებოა, რომ ასევე გამოჩენილია ეს სიტყვები AB-ში.

მარკ.6, 37. ეს მუხლი აკლია DE-ს, ალბათ სრულიად შემთხვევით (36-ე და 37-ე მუხლების მსგავს დაბოლოებათა გამო?). ხელნაწერები აქ დაზიანებული არ არის.

მარკ.7, 16. ეს მუხლი აკლია C-ს. ის ზოგ ბერძნულ ხელნაწერსაც ჰკლებია (ტიშენდორფს და ნესტლეს სქოლიოებში აქვთ ჩატანილი). არის **საჩ**-ში.

მარკ.9, 44 და 9, 46. ეს ორი ერთნაირი მუხლი, რომელიც გეჰენის დახასიათებაა, მესამედ იკითხება ამავე თავის 48-ე მუხლად. გეჰენია სამჯერ არის მოხსენებული (მმ. 43, 45, 47) ხელის, ფეხის და თვალის დამპრკოლებელ საგნებად ჩამოთვლის გამო და სამჯერვე მას დახასიათება მოსდევს გიორგისეულ რედაქციაში (44, 46, 48). აქ კი ორსავე რედაქციაში გეჰენის დახასიათება („სადა-იგი მატლი მათი არა დაესრულების და ცეცხლი არა დაშრტების“) მხოლოდ უკანასკნელად არის მოთავსებული (48). ასე არის AB-შიც და ი. ჯავახიშვილის მიერ გამოცემულ ხანმეტ ნაწყვეტშიც (Y).

მარკ.10, 11–12. ეს მუხლები ABDE-სა და გიორგისეულ რედაქციაში ასეა წარმოდგენილი: ჯერ მამაკაცზეა საუბარი (11) და შემდეგ დედაკაცზე (12). C-ში კი შებრუნებულია რიგი: ჯერ დედაკაცზეა ნათქვამი (11) და შემდეგ მამაკაცზე (12). ასეთი გადასმა შემთხვევითი ამაბავი უნდა იყოს.

მარკ.10, 43–44. DE-ში ეს ორი მუხლი (43 და 44) შეერთებული ჩანს. „დიდ ყოფად-ს“ შემდეგ გამოტოვებულია: „იყოს თქვენდა მსახურ (44) და რომელსა უნდეს თქვენ შორის პირველ ყოფად“, (შემდგომი არის:) „იყავნიგი მონა ყოველთა“. გამოტოვება „დიდ ყოფად“-ს და „პირველ ყოფად“-ს მსგავსების ბრალია.

¹³⁶ დ. ბ ა ქ რ ა ძ ე , Древние варианты груз. четвероевангелия: Труды, стр. 219–220.

მარკ.11, 26. ეს მუხლი ორსავე რედაქციას აკლია; აკლია AB-საც, **ƒ9**-საც (**U** ამ ადგილას დაზიანებულია). ტიშენდორფსა და ნესტლეს ის სქოლიოებში აქვთ ჩატანილი. არ არის შეტანილი არც ალდენილს კესარიულ ტექსტში¹³⁷.

მარკ.13, 34–14, 11. „(მეკარე)სა ამცნო“ ვიდრე „მიჰსცა იგი მათ“ ტექსტი მოყვანილია მარტო D-ს მიხედვით, რადგანაც E-ს აკლია ერთი ფურცელი.

მარკ.14, 62. DE-ს აკლია „მარჯუენით“: „მარჯუენით ძლიერებათა“.

მარკ.15, 46. C-ს გადამწერს უთუოდ გამოჰრჩენია 6–7 სიტყვა „არდავის“ გამეორების გამო.

მარკ.16, 9–20. ეგრეთ წოდებული «გრძელი ბოლო» არ მოიპოვება C-ში. სხვა ქართულ ხელნაწერთაგან ის არ არის შეტანილი ოზიზურში (A-ში) და ქსნურში. აკლია **U**-ს, მაგრამ მოიპოვება **ƒ**-ში¹³⁸.

ლუკ.12, 2. DE-ს შემთხვევით აკლია „დაფარულის“ ამხსნელი წინადადება: „რომელი არა გამოცხადნეს“.

ლუკ.17, 36. ორსავე რედაქციას აკლია ეს მუხლი, რომელიც, მკვლევართა აზრით, მათედან არის გადმოსული (24, 40).

იოვ.5, 4. ეს მუხლი მერმინდელ ჩანართად ითვლება. აკლია ორსავე რედაქციას.

იოვ.7, 53–8, 1–11. მეძავი ქალის შესმენის ამბავი აკლია ორსავე რედაქციას. მკვლევართა აზრით, ის მერმინდელი ჩანართია. ძველი კომენტატორები (ორიგენი, ი. ოქრობირი, თეოდორიტი) ამ ნაწყვეტს არ იცნობენ.

იოვ.9, 13–14. ეს მუხლები გადასმულია DE-ში, C-ში კი ისეა, როგორც ბერძნულში და სომხურში. გ. მთაწმიდლის რედაქცია DE-ს უჭერს მხარს.

იოვ.11, 41–42. DE-ში გამორჩენილია რამდენიმე სიტყვა.

იოვ.12, 45. E-ს გადამწერს გამოჰრჩენია წინა მუხლთან მსგავსების გამო.

იოვ.14, 14. ეს მუხლი აკლია ორსავე რედაქციას და **Uƒ9**-ს.

იოვ.16, 25. DE-ში გამორჩენილია რამდენიმე სიტყვა.

იოვ.17, 7–8. C-ს გადამწერს გამოჰრჩენია რამდენიმე სიტყვა.

2. ცალკეული ადგილების წაკითხვისათვის

საჭიროდ მიგვაჩნია შევჩერდეთ ზოგიერთ ცალკეულ ადგილზე, რომელთა წაკითხვა ამა თუ იმ მხრივ კითხვას იწვევს.

მათ.11, 7–9. თუ მარტო ქართული ტექსტის მიხედვით ვიმსჯელებთ, ფრაზების აგებულება ისეთია, რომ შეიძლება „რადსა“ „რატომ“-ად გავიგოთ და ორი კითხვის ნაცვლად ერთი ვიგულისხმოთ: „რადსა გამოხუედით უდაბნოსა ხილვად ლერწმისა, ქარისაგან შერყეულისა“? „რადსა გამოხუედით ხილვად კაცისა ჩჩვლითა სამოსლითა შემოსილისა“? „რადსა გამოხუედით ხილვად წინაწარმეტყუელისა“? იგივეა ლუკასთანაც (7, 25–26).

მათ.18, 6. „ფქვილი ვირით საფქველი“ (μύλος ὀνιχίδς). შდრ. მარკ. 9, 42 და ლუკ. 17, 2.

მათ.22, 2. „ემსგავსა სასუფეველი ცათაჲ კაცსა მეუფესა“ (მეფესა C). როგორც Forcellini-ს მიუქცევია ყურადღება ამ ადგილის ლათინური ვერსიისათვის¹³⁹, აქ „კაცსა მეუფესა“ უნდა გავიგოთ როგორც „ვინმე მეუფესა“.

¹³⁷ K. Lake, R. Blake and S. New, The Caesarean Text of the Gospel of Mark: The Harvard Theological Review, Vol. XXI, № 4, 1928, p. 404.

¹³⁸ დამატებული მუხლები (9–20), **ƒ**-ს მინაწერის თანახმად, ეკუთვნის არისტ(ი)ონ ხუცესს.

მათ.24, 46. „რომლისად მოვიდეს უფალი თვის“. ქართული ენის ნორმების მიხედვით აქ უადგილოა „თვის“, მაგრამ, როგორც შედარება გვიჩვენებს, ის უღრის αὐτοῦ-ს, ოღონდ ბერძნულში ფრაზა სხვაგვარად არის აგებული.

მათ.25, 11. „შემდგომად ამისა მერმე მოვიდეს“. პალეონასტური გამოთქმა (ან „შემდგომად ამისა“, ან „მერმე“).

მათ.25, 14. „ვითარცა-იგი რაჟამს წარვალნ კაცი გზას და მოუწოდა მონათა თვსთა და მისცა მათ მონაგები თვის“. ბერძნ. მიმღებობაპირიანი ზმნის ფორმით გადმოულიათ („წარვალნ“) და აქედან წარმომდგარა შეუთანხმებლობა მომღვენო ზმნებთან მწკრივში.

მათ.25, 24 „განგიბნევიედ“ და **მათ.25, 26** „განმიბნევიედ“. მოსალოდნელი იყო: განგიბნევიეს, განმიბნევიეს.

მათ.25, 40. „რაოდენი (რავდენი) ჰყავთ ერთსა ამას ძმათა ჩემთასა, იგი მე მიყავთ“. „მიყავთ“ ფორმა გულისხმობს, რომ მე-3 ობიექტურ პირში „უყავთ“ გვქონდეს. ხელნაწერებში კი (DE) „ჰყავთ“ იკითხება. შეიძლება აქ ჰაემეტობის ნაშთთან გვქონდეს საქმე: ჰყავთ = ჰყავთ.

მარკ.4, 19 შეერიანიან (C) = შეერივინიან?

მარკ.4, 28. „ქუეყანად ნაყოფსა გამოიღებ: პირველად წუელი, მერმე თავი და მაშინ-და სავსე იფქლი“. დარღვეულია სინტაქსი. ცხადია, უნდა: წუელსა, თავსა, იფქლსა. რელაქტორს ზმნის ფორმა გამოუტანია I სერიაში, მაგრამ მომღვენო ობიექტების ბრუნვის ფორმა სათანადოდ არ გადაუკეთებია.

მარკ.9, 11. „და ეტყოდეს: ვითარ-მე იტყვან მწიგნობარნი“ DE, „და ჰრქუეს: ვითარ-მე თქვან მწიგნობართა“ C. ორსავე რელაქციაში „ვითარმედ“ (ვლ) იკითხება. აშკარა შეცდომა ჩანს და გავასწორეთ.

მარკ.11, 17. „ყოველთა ნათესავთა“ C. აჯობებდა: ყოველთაგან ნათესავთა.

მარკ.12, 33. ხელნაწერშია: „უფროდ არს მრგულიად ყოელთა დასაწუეველთა“ და მსხუერპლთა“ (C). „მრგულიად დასაწუეველის“ გათიშვა არ იქნება, რადგანაც ის ერთ ცნებას წარმოადგენს (ὁλοκαύτωμα, *ოილასქჟი*), და გადავსვით.

მარკ.14, 36. „გარე - წარმცოდე მე სასუმელი ესე“. ზემოთ (მრ. 14, 35) ნათქვამია: „რადთამცა გარე - წარმცოდე და მას ჟამი იგი“ და ამის მიხედვით შევასწორეთ.

„გარე-წარმცოდე“ ფორმას მხოლოდ მაშინ გავამართლებდით,

a) თუ ღვეუშვებდით, რომ ცოდ ფუძეს აქვს იგივე მნიშვნელობა, რაც ცეთ-ს, ოღონდ აქტიური გაგებით (ქართ. ცეთ ფუძეს სვანურში ქად შეეტყვება: ათქად — ასცლა, შეცლა); ამას რამდენადმე მხარს დაუჭერდა კაუზატიურად ნაწარმოები, მაგრამ მნიშვნელობით იმედიანტი ფორმა ცეთ-ისა, რომელიც იმავე ადგილას ლექციონარის ნაწყვეტში იკითხება: „წარმაცოდე მე სასუმელი ესე ჩემგან“, მაგრამ ეს საეჭვოა; ან კიდე

b) თუ ვიფიქრებდით, რომ აქ გვაქვს თხოვნითი კილოს ფორმა ფშაურის მსგავსად ნაწარმოები „გარე-წარცემა“ ზმნისაგან: ბრძან. გარე-წარმცე, თხოვნ. გარე-წარმცოდე. ეს კი უფრო საეჭვოა, რადგანაც დაბრკოლება ორგვარია: ფორმისა და ფუნქციის მხრით.

ამიტომ ვამჯობინეთ აქტიური ფორმა „გარე-წარვლომა“ ზმნისა და გავასწორეთ. სხვათა შორის, აქტიურად ნახმარია იგივე ზმნა „თანა“-თი „გრ. ხანძთელის ცხორებაში“: „რადსათვის თანა - წარმცოდე

სულიერთა სიტყუათა შენთა“ (34, 6), ხოლო თვით C-ში გვაქვს: „ვიდრემდის წ ა რ მ ვ ღ ი სულითა ჩუენითა“ (ი. 10, 24).

მარკ.15, 23. „და მისცეს მას სუმუროვანი ღვინო“ (C). ნაწარმოები „სუმუროვანი“ ძირეულად „სუმურ“-ს გულისხმობს, მაგრამ ასეთი არ გვაქვს. გამოსავალია ან $\mu\sigma\tau\epsilon\upsilon\varsigma$ [საიდანაც (უშუალოდ თუ შუალობით) მიღებულია მურ-ი (მ. 2, 11; ი. 19, 39)] ან $\sigma\mu\delta\upsilon\upsilon$; აქედან: $\acute{\epsilon}\sigma\sigma\alpha\delta\upsilon\sigma\mu\acute{\epsilon}\nu\omicron\nu\ \omicron\iota\nu\omicron\nu$ („დასმირნული ღვინო“). $\omicron\upsilon\ \gamma\ \alpha\ \nu$ სუფიქსით პირველი მოგვცემდა მუროვანს, მეორე კი სმირნოვანს, სმურნოვანს (ან კიდევ: ზმურნოვანს). ν -ს თუ არ მივაქცევით ყურადღებას, გვექნებოდა სმუროვანი ან ზმუროვანი ($\sigma\mu = \text{ზმ}$)¹⁴⁰. მაინც ის არ არის, რაც ქართულშია. არას გვევლინება არც სომხურთან დაპირისპირება: ԲԳ -ს თანახმად գմրսեսալ ან (როგორც U -ში იკითხება) գմրեսալ .

მეორე მხრით, შეიძლება გვეფიქრა, რომ „სუმუროვანი“ წარმოდგა ორი სიტყვის შეერთებისაგანაო: „და მისცეს მას სუმ(ად მ)უროვანი ღვინო“, მაგრამ, როგორც ტიმენდორფის გამოცემიდან ჩანს, ზოგ ბერძნულ ხელნაწერში არც ყოფილა „სუმაღ“ ($\pi\acute{\iota}\nu\epsilon\upsilon$).

ლუკ.1, 3 ორსავე რელაქციაში საკუთარი სახელი $\Theta\epsilon\delta\phi\lambda\omicron\varsigma$ ეპითეტად არის გაგებული და ნათარგმნია „ღმრთის მოყუარედ“; გიორგისეულ რელაქციაში ესეც შენახულია და საკუთარი სახელიც: „მჷნეო ღმრთის მოყუარეო თეოფილე“.

ლუკ.1, 15. „და ღვინო და სათრობელი და იყი არა სუას“ (C). სამი ობიექტია დასახელებული, რომელთაგანაც მეორე („სათრობელი“) გლოსა უნდა იყოს მესამისა („იყისა“). ნაკლებ სავარაუდებელია ასეთი წაკითხვა: „ღვინო დასათრობელი და იყი“.

ლუკ.7, 36. „ევედრებოდა ვინმე მას ფარისეველთაგანი“. ასეთი წყობა ბერძნული ტექსტის გავლენით არის გამოწვეული (მოსალოდნელი იყო: ევედრებოდა მას ვინმე ფარისეველთაგანი). მსგავსი მოვლენა სხვაგანაც არის (ლუკ. 11, 1), თუმცა იქ ბერძნულ ტექსტში ამის საფუძველი არ მოიპოვება.

იოვ.2, 9. „და ვითარცა გემოდ იხილა მთავარმან მან წყალი იგი ღვინოდ გარდაქცეული“. აქ „გემოდ იხილა“ რთულ ზმნად არის ნახმარი, ხოლო ობიექტია „წყალი იგი“ (აჯობებდა ასეთი ორთოგრაფიით: გემო-იხილა).

იოვ.3, 31 „ზეგარდამომავალი ყოველთა ჟეჟთა არს“ (C). „ჟეჟთა“ მიღებულია „ზეშთა“-საგან ჯერ რეგრესული ასიმილაციისა და შემდეგ პროგრესული ასიმილაციის ნიადაგზე: ზეშთა \rightarrow ჟეშთა \rightarrow ჟეჟთა. „ზეშთა“ კი პარალელური ფორმა „ზესთა“-სი¹⁴¹. გვხვდება ჟესთა-ც (აქედან: უჟესთაეს)¹⁴².

3. ქარაგმიან სიტყვათა გახსნისათვის

დაქარაგმებული სიტყვები საზოგადოდ ყველგან გავხსენით¹⁴³. გახსნის დროს ყურადღებას ვაქცევით იმ ადგილებს, სადაცივივე სიტყვა გახსნილად იყოწარმოდგენილი. ზოგიერთი სიტყვის გახსნა არავითარ იჭვს არ იწვევს, ზოგიერთისა კი განმარტებას მოითხოვს.

¹⁴⁰ შდრ. ზმირინი (= $\Sigma\mu\sigma\tau\epsilon\upsilon\varsigma$: გამოცხად. 1, 11; 2, 8).

¹⁴¹ პირველი ჟამის ღვთისმშობლისადმი მიმართული ლოცვის დასწავისში ზოგ გამოცემაში „ზეშთა“ იკითხება, ზოგში კი — „ზესთა“: „ზეშთა მბრძოლისა ჩემისათვის“ (ჟამნი, დაბეჭდ. 1768 წ., გვ. 130), „ზესთა მბრძოლისა ჩემისათვის“ (სასწავლო ჟამნი, ქუთ. 1893, გვ. 108).

¹⁴² აბოს საგალობლებში (ა . შ ა ნ ი ძ ე , ძვ. ქართულის ქრესტომათია, 1935, გვ. 42, 11).

¹⁴³ გარდა იმ შემთხვევებისა, სადაც სავარაუდებელი იყო, რომ ქარაგმიანი ხ წარმოშობით მომდევნო სიტყვის პრეფიქსია (მაგ., ხ^{\sim} ეკრძალენით, მ. 6, 1 C).

ამენ. ეს სიტყვა ჩვეულებრივ ქარაგმის ქვეშ გვხვდება (ან), მაგრამ აქა-იქ განსნილადც სწერია: მ. 13, 17; 19, 9; მრ. 10, 29 (E), ლ. 4, 24; 7, 9; 12, 37; 18, 17. ამიტომ ეჭვი არ არის, თუ როგორ უნდა გაიხსნას.

იერუსალმ. ეს სიტყვა გაშლილად ყოველთვის ასე გვაქვს წარმოდგენილი, მიუხედავად იმისა, რომ ხელნაწერებში თითქმის ყოველთვის ი¹ცმ ან ი¹ცლმ იკითხება. ეს ფორმა გულისხმობს Ἰεροσολίμ (და არა Ἰεροσολίμα-ს).

იესუ. ეს სიტყვა ყოველთვის შემოკლებულად არის დაწერილი, ქარაგმის ქვეშ (ი¹ვ). ცხადია, უნდა ვიკითხოთ ი ე ს უ . ნათ. ბრუნვაში ხან არის **ი**, ხან არა (ი¹ვდს-ნი, ი¹ვს-ნი). ამის მიხედვით განსნილად გვაქვს ან იესუდს, ან კიდევ იესუს, მაგ., იესუდსოვს (მრ. 14, 55 D). D-ში **ი** იშვიათად გვხვდება.

კუალად. განსნილი სახით ეს სიტყვა ხან კ უ ლ ა დ არის (მ. 13, 47 C), ხან კი კუალად (მრ. 13, 44 C). შემოკლებულად კ¹ლდ იწერება, რომელსაც ყველგან უკუშმშველად ვხსნიდით: კუალად.

რამეთუ. ეს კავშირი ყოველთვის შემოკლებულად გვხვდება: რ¹. საეჭვოა, რომ იგი ოდესმე სხვაგვარად ეკითხათ (ვთვათ ასე: რადმეთუ).

რადთა. ეს კავშირი განსნილი სახით იშვიათად გვხვდება: რადთა (ი. 16, 4 C), რადთამცა (მ. 26, 4); ჩვეულებრივ კი ქარაგმის ქვეშ დგას (რ¹ა). საყურადღებოა, რომ, როცა რა სახელთნაცვალი მოქმ. ბრუნვაში დგას, ისიც ამგვარადვეა შემოკლებული (რ¹ა): „ძენნი თქუენნი რ ა დ თ ა განასხმენ“ (ლ. 11, 19; შლრ. ი. 9, 26). განსნილთვის საბუთს, ასე თუ ისე, „რადსა“-ც გვაძლევდა (მ. 11, 7; 11, 8; ლ. 7, 25).

რადჟამს. ეს სიტყვა ხშირად გვხვდება განსნილად მაგრამ ასეთი სახით: რადჟამს (მ. 5, 2; 5, 3; 5, 5; 5, 6; 5, 7 და სხვაგან), მაგრამ საეჭვოა, რომ **ი** ოდესმე წაკითხულიყო. რადგანაც „ჟამს“ მიც. ბრუნვის ფორმაა, „რა“-ც ამავე ბრუნვაში უნდა იდგეს და დგას კიდევ: რასჟამს (მრ. 15, 20 C). ამგვარადვე სრულად იკითხვის ეს კავშირი ხანმეტ ლექციონარშიც (მ. 24, 31; მ. 24, 32, გვ. 50). ეს „რასჟამს“, ცხადია, „რადჟამს“ ფორმას მხოლოდ იმ შემთხვევაში მოგვცემდა, თუ სწორი იქნებოდა ვარაუდი, რომ **ს**-მ მომდევნო **ჟ**-ს წინ რელექციის გზით **ი** მოგვცაო. მაგრამ ასეთი რამ უფრო ნაკლებ არის მოსალოდნელი, ვიდრე მისი **ჟ**-სთან დამსგავსება და შემდეგ სრული დაკარგვა. „**ი**“-ს წერა კი გრაფიკულ ნიადაგზე უნდა იყოს წარმომდგარი, ა-ზე დაბოლოებულ სახელთა ანალოგიით. ამიტომ როგორც უნდა ყოფილიყო დაწერილობა ხელნაწერებში, — ქარაგმიანი (რ¹ჟს, რ¹ჟმს), თუ უქარაგმო (რადჟამს), — მაინც ასე უნდა წაგვეკითხა: რ ა ჟ ა მ ს , და ასეც ვბეჭდავდით.

უკუნისადმდე. ქარაგმიანი ო¹კე-ს ამგვარად ვხსნიდით, მიუხედავად იმისა, რომ ის განსნილადც გვხვდება, თანაც უღონოდ: უ კ უ ნ ი ს ა მ დ ე (ი. 6, 51; 6, 58 C). რაც შეეხება „ო¹კი“-ს, ის სხვაგვარად არ გაიხსნება, თუ არ ასე: უკუნითი.

ღმერთი, ღმრთისა. ეს სიტყვა არსად განსნილი არ გვხვდება, არამედ ყოველთვის ქარაგმის ქვეშ. განსნის თვალსაზრისით მხოლოდ შეკუმშული ფორმაა საყურადღებო. საერთო თეორიულ მოსაზრებათა საფუძველზე „ღ¹ ისა“ ფორმას ასე ვხსნიდით: ღმრთისა.

ყოველი. ეს სიტყვა უმეტესად ქარაგმიანი გვხვდება, განსნილად კი ორი სახით გვხვდება: „ყოველი“ და „ყოელი“ (მაგ., ყოელთა მ. 4, 23 C, მაგრამ იქვე: ყოველსა მ. 4, 24 C). როცა ქარაგმიანი იყო და ვხსნიდით, შეუკუმშავ ფორმებში ვ-ს ვწერდით (ყოველი, ყოველსა, ყოველნი, ყოველთა), „ყოელ“-ს კი მაშინ ვტოვებდით, თუ სიტყვა განსნილი იყო და უვიწო.

ამას გარდა თითო-ორჯოა შემთხვევაში, გარკვეულ სტრიქონებზე ტექსტის დატევის მიზნით, იძულებული ვიყავით სიტყვათა შემოკლებისათვისაც მიგვემართა: თქ¹ნ მ. 6, 5 C, ვ¹ლ, რ¹ლსა (ი. 4, 52). ნ. კიდევ ი. 4, 53; 5, 5; 6, 69 DE და სხვ.

წინაწარმეტყუელი. ეს სიტყვა შემოკლებულად სამი სხვადასხვა ფორმით გვხვდება: წინარმეტყუელი, წინაწარმეტყუელი, წინაწარმეტყუელი¹⁴⁴. ამთგან პირველი მეტად იშვიათია, ორ სხვა ფორმათაგან სჭარბობს უსანო: წინაწარმეტყუელი. საზოგადოდ, სადაც რა ფორმა გვხვდებოდა გახსნილად, მას ვტოვებდით გამოცემაში, ოღონდ, თუ სიტყვა შემოკლებულად იყო დაწერილი, ქარაგმის ქვეშ, „წინაწარმეტყუელ“-ად ვხსნიდით, გარდა, რა თქმა უნდა, იმ შემთხვევებისა, სადაც ს-ც ერია (მაგ., წინაწარმეტყუელი, ლ. 4, 27 C). ამ შემთხვევაში აუცილებელი იყო ფორმა „წინაწარმეტყუელი“. ეს სიტყვა ბევრგან გახსნილად უსანოდ არის დაწერილი (მაგ., ლ. 2, 36; 3, 4; 4, 16; 24, 3 C), მაგრამ გახსნილადვე სანიანი ფორმებიც გვხვდება (მაგ., იქვე, ლ. 24, 25 C). D-ში ეს სიტყვა ჩვეულებრივ ასეა შემოკლებული: წინაწარმეტყუელი.

უნდა შევნიშნოთ, რომ ამ რთული სიტყვის პირველი ნაწილი, როგორც ზმნიზედა, სანით გვხვდება: წინაწარ (ი. 7, 50; 11, 55; 13, 1).

ხოლო. ეს სიტყვა ყოველთვის ქარაგმის ქვეშ გვხვდება (ხ). სხვანაირად ის არ გაიხსნება. ოღონდ აქა-იქ ის ქარაგმით დავტოვეთ, როგორც ისეთი ხ, რომელიც შეიძლება მომდევნო სიტყვის ნაწილი იყოს წარმოშობით და ხანმეტობაზე მიგვიტოვებდეს¹⁴⁵.

პრქუა, პრქუეს. ეს ზმნა გახსნილადც გვხვდება: პრქუა (ი. 8, 21; 8, 25), პრქუეს (ი. 8, 25 და სხვაგან), მაგრამ უმეტესად დაქარაგმებულია: პქა, პქს და სხვ. შემოკლებულ ფორმებს ყოველთვის ასე ვხსნიდით: პრქუა, პრქუეს. უნდა შევნიშნოთ მაინც, რომ უქარაგმოდ ასეთი ფორმებიც გვხვდება: რქუა (ი. 6, 5; 6, 7 C), რქუეს (ლ. 22, 38 C), პრქუეს (ი. 6, 25 C). ასეთებს უცვლელად ვტოვებდით.

4. ვარიანტთათვის

სერია, რომელშიაც ეს წიგნი გამოდის, მიზნად ისახავს, როგორც აღნიშნულია¹⁴⁶, ქართ. ენის ისტორიის საკითხების გამუქებას. ამიტომ ტექსტის დადგენის დროს ჩვენ არ შეგვეძლო ერთი ლაღა გადაგვესვა ყველგან და ნაირ-ნაირი ფორმები (ფონეტიკური თუ მორფოლოგიური ხასიათისა) ძველი სალიტერატურო ენის ნორმების მიხედვით გავგვესწორებინა. ამით აიხსნება, რომ გამოცემაში ხშირია პარალელური ფორმები: ახლო (მრ. 13, 28 C) და ახლოს (მრ. 6, 20), გარყუნის (მ. 6, 19) და განრყუნის (მრ. 6, 20), ვასკულავი (მ. 2, 7 C) და ვარსკულავი (მ. 2, 9 C), ვრწმენე და ვპრწმენე (ი. 12, 44 C), თავყანის-ცემა (მრ. 6, 46) და თავყანის-ცემა (ი. 4, 21 და სხვაგან), ლანკნასა ზედა (მ. 6, 23) და ლანკლასა ზედა (მრ. 6, 28), მპოვოთ (ი. 7, 34) და მპოთ (ი. 7, 36), მსხუერპლი (მ. 12, 7) და მსხუეპლი (მ. 5, 24), სახიდ (ლ. 5, 24; 8, 39) და სახედ (ლ. 5, 25; 8, 41; 15, 6 C), სისქე (მრ. 4, 5 C) და სიზრქე (იქვე), სიცრუისა (ლ. 16, 8) და სიცრუვისა (ლ. 16, 9 C), შესულაჲ (მ. 10, 23 C) და შესლვაჲ (მ. 10, 24), წარწყმედილ (ლ. 15, 32) და წარწყმელულ (ლ. 15, 24 C; ლ. 15, 6 C) და სხვანი მათთანანი.

¹⁴⁴ ამ მხრივ საყურადღებოა მ. 10, 41 C, სადაც სამივე ფორმა იკითხება.

¹⁴⁵ რომ ზოგიერთი ქარაგმიანი ხ წარმოშობით შეიძლება მომდევნო სიტყვის ნაწილი იყოს (პირიანი ზმნის პრეფიქსი, ან უფრობითი ხარისხის ინდექსი), ეს პირველად მე აღვნიშნე („ხანმეტი მრავალთავი“, ტ. უ. მ. VII, 1927, გვ. 158). შემდეგ აღიშინ ოთხთავის ერთ ადგილს R. Blake -მაც მიაქცია ყურადღება (ხ იყო, მარკ. 1, 4 C): *Patrologia orientalis*, t. XX, fasc. 3 (1928), p. 446. შემდეგ ამ საკითხს საგანგებოდ შევეხე ერთ წერილში, რომელიც გვიან და შემოკლებულად დაიბეჭდა: *Переживания ханмэтных форм в груз. Рукописях IX—X—XI веков (Сообщения Груз. Филиала АН СССР. I, p. 237 და შემდ.)*. აღიშინ ოთხთავში რომ ჰაემეტობის ნიშნები გვხვდება, ამაზე ჯერ კიდევ 1923 წელს ვწერდი (ჰაემეტობა აღიშინ სახარებაში: ტ. უ. მ. II, 417—424). ამ საკითხებს ეხებოდა თ. გ. ო. ნ. ი. ა. შ. ვ. ი. ო. ც. (ენიშკის მოამბე, IV, 148).

¹⁴⁶ ქართული ენის ძეგლები, 1, გვ. 06.

ენის ისტორიის თვალსაზრისით, ჩვენთვის თანაბარი ღირებულებისა იყო როგორც ჯარიანი ფორმა „გულისჰმის-ყოფაში“, ისე ხანიანი, თუ D ამ ზმნას პირგანდელი სახით (ჯარებით) წერს და E — მერმინდელით (ხანებით, ასიმილაციით), სამაგიეროდ C ხან ჯარს ხმარობს (უმეტესად), ხანაც ხანს (იშვიათად, მაგ., ი. 7, 17; 7, 51). ასეთი ვარიანტული სახესხვაობანი ყველა წარმოდგენილია გამოცემაში და, თუ რამეს ვასწორებდით, აუცილებლად ჩაგვქონდა დაბლა სქოლიოებში.

იმავე თვალსაზრისით თანაბარი ღირებულებისა იყო აგრეთვე სინტაქსური ღებლუტები: „იგი შერისხნა“ და „მან შეპრისხნა“ (თავადი შერისხნა, ლ. 9, 21; მაგრამ: ერთმან მან შეპრისხნა, მ. 20, 31 C).

სხვა ვითარება გვაქვს აქ: შეპრებოლა მას (მრ. 9, 25; ლ. 11, 29) და შეპრებოლა მისა (ლ. 8, 42; 14, 25), რადგანაც აქ ჰ-ს ხმარება სინტაქსურ კონსტრუქციაზეა დამოკიდებული, მაგრამ მაინც გვაქვს ფონეტიკური ვარიანტი უპაეოდ: შეპრებოლა მას (ლ. 8, 42).

თუ ქართულ სიტყვებსა და გამოთქმებში არ ვერიდებოდით ნაირ-ნაირი ფორმების დატოვებას, მით უფრო მართებული იყო მოვრიდებით ერთფეროვნების გატარებას უცხო წარმოშობის საკუთარ სახელებში. ამიტომ არ ვასწორებდით ისეთ ვარიანტებს, როგორცაა: ბარაქისა DE თუ ბარუქისა C (ლ. 11, 51), ესრომ თუ ეზრომ (მ. 1, 3 C), იოვანე თუ იოჰანე, იაკობ და იოსებ (მ. 13, 55) თუ იაკობ და იოსე (მრ. 6, 3 C), იოსებ (D) თუ იოსეფ (C) (ლ. 3, 26) [მოსალოდნელი იყო იოსეჟ=Ἰωσήφ], მათითისა თუ მატათისა (ლ. 3, 26), ნაიმ D თუ ნაიდ C (ლ. 7, 11), ნიკოდემოს (ი. 3, 1) თუ ნიკოდემოს (ი. 3, 9), ტებერია (ი. 6, 1), თუ ტვებერია (ი. 6, 23), ჰეროლია (CD) თუ ჰეროლიადა D (მრ. 6, 17) და სხვა. ასეთ ვარიანტებს ხელ-უხლებლად ვტოვებდით და ვბეჭდავდით ისე, როგორც ხელნაწერები გვიჩვენებდა¹⁴⁷.

საზოგადოდ ვცდილობდით, რომ ხელნაწერთა ტექსტის ვითარება ნათლად წარმოგვედგინა, რომ მკითხველს ხელთ ჰქონოდა სანდო მასალა. ამიტომ იმ შემთხვევებში, როცა შეიძლება სადმე დაეჭვდეს ვინმე, აქ კორექტურული შეცდომა ხომ არ არისო, შენიშვნა ჩამოგვქონდა სქოლიოში: ა ს ე ა (=sic).

DE-ს ტექსტის დადგენისას, როცა ერთი ხელნაწერი ძველ ფორმას გვადლევა, მეორე კი ახალს, უპირატესობას ძველ ფორმას ვაძლევდით და ახალი სქოლიოში ჩაგვქონდა. ამიტომ მე-2 პირის სუბ. პრეფიქსისა და მე-3 ობ. პრეფიქსის ხმარების საკითხში ჯრუჭის (D-ს) წაკითხვას დავუჭირეთ მხარი წინაენისმიერი ბგერებით დაწყებულ ზმნებში, რადგანაც D უფრო ადრინდელ ფორმას გვადლევა — გარდამავალს ჰ-სა და ზ-ს შორის, რაც ხელნაწერში ჰს ჯგუფით არის გამოხატული, პარხლის ხანიანი ფორმები კი სქოლიოებში ჩამოვიტანეთ (E-ში ასეთი შემთხვევები გამონაკლისია, მაგ., ჰსხხოვდეს, ლ. 11, 11).

თუ C ხელნაწერის „აქუნს“ ფორმებში ნ ამოვიღეთ ყველგან, არა იმიტომ რომ უმეტესად უნარო ფორმები გვხვდება, არამედ უფრო იმიტომ, რომ ერთხელ თვით გადაწერს წაუშლია ეს ნ (მ. 21, 26).

იგივე ითქმის „შემხუედა“ და „(ჰ)ხუედა“ ფორმების შესახებაც, რომლებიც ამ ძეგლებისთვის არქაიზმია (მ. 27, 19 C, მრ. 15, 24 C; ლ. 1, 9 C). საყურადღებოა, რომ DE-ც ამ ფორმას იძლევა უკანასკნელ ადგილას: ჰხუედა (ლ. 1, 9).

გასწორდა სიტყვათა მსგავსების გამო წარმომდგარი შეცდომები: მხლისასა (და არა: მტილისასა, ლ. 11, 42 DE), მნც (და არა: მონაჲ, ლ. 16, 8), მონაჲ მჰნველი გინა მწყემსი (და არა: მონაჲ, მჰვეალი გინა მწყემსი, ლ. 17, 7 DE), ზმნით (და არა: სმენით, ლ. 17, 20 C).

გასწორდა, რა თქმა უნდა, კალმის შეცდომები, მაგრამ ხელნაწერის წაკითხვა ყველა ჩამოტანილია ძირს.

¹⁴⁷ ოღონდ ავლობებდა, რომ „ჰეროდე“ (მრ. 6, 19 C) „ჰეროლია“-დ გაგვესწორებინა და ხელნაწერის წაკითხვა ძირს ჩამოგვეტანა.

საზოგადოდ, გასწორდა შეუფერებელი ან შეუძლებელი ფორმები, ე. ი. ისეთი ფორმები, რომელთა დატოვება არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება, ან რომელთაც შეუძლიათ გაუგებრობა გამოიწვიონ. ამიტომ დავბეჭდეთ: იყვნეს, იშვნეს (და არა: იყუენეს მ. 14, 6, იშუენეს, ი. 1, 11 C), რაჟამს და არა რადჟამს (ნ. ზემოთ, გვ. 045) და სხვა.

საგანგებოდ უნდა შევჩერდეთ ოთხი ასოს მართლწერის შესახებ; ესენია **ც, ძ, ვ, ჟ**.

ც. ეს ასო მხოლოდ იქ არის დატოვებული, სადაც ის მოსალოდნელია ძველი ქართული ენის ნორმათა მიხედვით. უმართებულო ფორმები ყველა გასწორებულია: ესმა მეფესა ჰეროდეს (და არა: მეფცსა, მრ. 6, 14 C), გეჰენიასა (და არა: გეჰცნიასა, მ. 5, 29 CD) და მისთ.

შეიძლებადაც დაგვეტოვებინა სახელებში: ჰცროდე, ცლია, ცსაია, მაგრამ უმეტესობა ფორმებისა ე-თია წარმოდგენილი და, გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად, ვამჯობინეთ ე: ჰეროდე, ელია, ესაია.

ე-ზე ფუძე-გათავებულ სახელთა ბოლოს ეც დაბოლოება ნორმების მიხედვით გასწორდა.

ისტორიულ დაწერილობას სიტყვებში ერთად-ერთ შემთხვევაში გავუწიეთ ანგარიში: ი¹ცმ ან ი¹ცლმის გასწორებას (ყველგან „იერუსალცმ“ დატოვეთ; ნ. ზემოთ, გვ. 045).

ძ. ეს ასო ჩვენს ხელნაწერებში საზოგადოდ სიტყვის ბოლოს ალბათ აღარ იკითხებოდა ა-ს შემდეგ. ეს იქიდან ჩანს, რომ გვხვდება ასეთი ფორმები: „რად-ესე იხილეთ და გესმა“ (ლ. 7, 32 D), „რომელი თანა-გუელვად, ყვავთ“ (ლ. 17, 10 D). მაგრამ უტყვ ძ-ს სიტყვის შიგნითაც ვხვდებით: კანადს (sc. კანას) გალილეადსასა“ (ი. 2, 11 C), მართადს (sc. მართას) ვ¹ ა ესმა (ი. 11, 20). რომ ძსხვა ხმოვნების შემდეგაც არ იკითხებოდა სახელთა ბოლოს ჩვენი ხელნაწერების გადაწერის მომენტში, ამას ე-ზე გათავებულ სახელთა მართლწერა გვიჩვენებს¹⁴⁸, აგრეთვე ო-ზე გათავებულებსაც (მაგალითად, ცხორებად საუკუნო, ი. 3, 36).

საზოგადო წესის თანახმად უმართებულო ფორმები გასწორებულია, შესაძლებელი კი — დატოვებული.

სიტყვის შიგნით ძ (და თავშიც) ზოგჯერ ი-ს ენაცვლება: ესადა (ი. 12, 38 C) და ესაია (ი. 12, 39 C), კადფა (მ. 26, 3 CD) და კაიფა (იქვე, E)¹⁴⁹.

ვ. ეს ასო შატბერდულ ოთხთავებში საზოგადოდ მარცვლიან ხმოვანს გადმოსცემს და უდრის უმარცვლო უ-სა და მარცვლიანი ი-ს შეერთებისაგან წარმომდგარ მონოფთონგს (დავიწროებულ უ-ს). მაგრამ ზოგჯერ (C-ში ხშირად) ის უმარცვლო უ-ს ადგილას არის ნახმარი: მუნქვესვე, მოძღვარ, თვალი, ცოლისა სვმად და მისთ. ასეთ შემთხვევებში ტექსტში ყველგან უ არის გატარებული, ხოლო ხელნაწერის წაკითხვა ძირს არის ჩამოტანილი.

სამაგიეროდ იმავე ვ-ს C-ში ენაცვლება უ. აი რემდენიმე მაგალითი მათედან: განგულე (25, 12), გიდლეს (28, 7), გურგუნი (27, 28), გუუმს (26, 65), დაუკურდებოდა (27, 14), ეტყუედ (27, 29), თქუან (22, 23), თუსი (16, 26), ლელუ (21, 20), მახული (26, 52; 26, 55), მკუდრი (21, 38), მლუძარე (26, 38), ლუნოდ (27, 34), შეემთხუა (28, 9), შეხუდეთ (26, 41), ნუ შეგუყვანებ (6, 13), შუდ გზის (18, 23), ძური (27, 3), უძურეს (27, 4), ჰრქუან (27, 18) და სხვ. ეს შენაცვლება უთუოდ რომელიმე კილოს გავლენის ბრალია. მართლაც, გვხვდება როგორც ლუნოდ, ისე ლვნოდ (მ. 9, 17; მრ. 2, 22; ლ. 5, 37), მაგრამ ამათგან სჭარბობს ლუნოდ (ნ. კიდევ ლ. 5, 39; 10, 34). ძნელი საფიქრებელია, რომ ასეთი ხშირი შენაცვლება შემთხვევითი მოვლენა იყოს და გადამწერის კალმის შეცდომად ჩაითვალოს. თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ ასეთი რამ დ-შიც გვხვდება კანტი-კუნტად (წუმად მ. 5, 45, აწუმა ლ. 17, 10) და გავიხსენებთ, რომ „წვიმა“ გურიაში დღესაც „წუმა“-დ გამოითქმის,

¹⁴⁸ ერთად-ერთი შემთხვევა ედ ჯგუფის ხმარებისა: მარჯუედ (მრ. 6, 21 C).

¹⁴⁹ მათ. 8, 11, ძველი დაყოფის თანახმად, არის 65-ე მუხლი, რომელიც C-ს გადამწერს ასე გამოუყვანია: იე(=აე).

შეიძლება გადაჭრით ვთქვათ, რომ **ვ**-სა და **უ**-ს შენაცვლება კილოური მოვლენაა. ასეთი ჩვენება ხელნაწერებისა ძვირფასი მასალაა ენის ისტორიისათვის, მაგრამ ტექსტის დადგენისას ნორმალური ფორმები გავატარეთ, კილოური კი სქოლიოებში აღვნიშნეთ.

ერთად-ერთი გამონაკლისი დავუშვით „გეტყუ“ და „გეტყვ“, ფორმებში, რომლებიც ხშირად გვხვდება ორივე სახით და ყველგან ხელნაწერის ჩვენება დავტოვეთ: გეტყვ (ლ. 13, 5), გეტყუ (ლ. 13, 35) და მისთ¹⁵⁰.

შევასწორეთ **ვი**-საგან წარმომდგარი **ვ** ორ შემთხვევაში: შვლო (ლ. 16, 25 C) და ვნანი (ლ. 17, 4 C), მაგრამ დავტოვეთ მესამე შემთხვევაში, სადაც ჰაემეტობის ნიშანთან უნდა გვქონდეს საქმე: ჰვქმ (მრ. 21, 27 C; შლრ. ვიქმ, ლ. 20, 8 C).

ჟ. ეს ასო წარმოშობით არის ოდიდი ანუ ომეგა (მამასადამე, ხმოვანია) და გვხვდება იქ, სადაც ბერძნულში ა იწერება: ჟსანა (მრ. 11, 9 D), ენჟნს (ი. 3, 23 C), კლეჟჰა (ლ. 24, 18 ხანმ. ლექც.) და სხვა. მაგრამ იჭვს იწვევს მის ხმოვნობაში ეს ფორმები: იოჟანა (ლ. 24, 10 C) და იოჟანე (ი. 1, 26 C), სადაც ჟ არა ბერძნული ომეგის ქართული შესატყვისი უნდა იყოს: (Ἰωάννα, Ἰωάννης), არამედ უფრო თანხმოვანი, და ამ შემთხვევაში ალბათ იკითხებოდა როგორც **ჰ**. ამასთან დაკავშირებით საყურადღებოა ამ ასოს სახელი „ოჰ“, რომელიც „უფლის სიყრმეში“¹⁵¹ და ერთს მე-15 საუკუნის სომხურ სახელმძღვანელოში შეტანილ ქართულ ანბანში გვხვდება¹⁵².

5. განკვეთილობის ნიშანთათვის

განკვეთილობის ნიშნები დღევანდელი ნორმების მიხედვით არის გატარებული, ოღონდ პირდაპირი მეტყველების შემთხვევებში ბრჭყალები ნახმარი არ არის.

ძველი ძეგლების გამოცემის დროს ძველი პუნქტუაციის წესების დაცვა დიდ სიძნელეს წარმოადგენს, რადგანაც ძველად ამ საკითხში გარკვეული სისტემა არ იყო, ყოველ შემთხვევაში ჩვენს შატბერდულ ხელნაწერებში გარკვევით ის არ ჩანს. ამას გარდა ის, რაც, ასე თუ ისე, ხმარებაში იყო, გაუგებარია დღევანდელი მკითხველისათვის, რომელსაც ძველ ტექსტებს მხედრული ასოებით დაბეჭდილს ვაწვდით. ამიტომ ძველი ტექსტების ბეჭდვის დროს ახალ პუნქტუაციაზე გადასვლა უყოყმანოდ შეიძლება, რადგანაც ამგვარად გამოცემული ტექსტი ნათლად ამჟღავნებს, თუ როგორ ესმის გამომცემელს ამა თუ იმ ფრაზის დანაწევრება.

პირდაპირი მეტყველების სიტყვების წინ ორწერტილებს ვსხამდით იმ შემთხვევებშიც კი, როდესაც მათ „ვითარმედ“ უძღოდა: „ჰკითხა მას მანცა, ვითარმედ: რომელი არს პირველი მცნებად“? (მრ. 12, 28). რა თქმა უნდა, აჯობებდა, რომ ასეთი შემთხვევებისათვის გვქონოდა სხვა ნიშანი, ვთქვათ ბუთისმსგავსი რამ, და ის გვეხმარა, და არა ორწერტილი: „ჰკითხა მას მანცა, ვითარმედ რად არს პირველი მცნებად“?

„და“ კავშირის წინ მძიმეს ვსვამდით, როცა ის აერთებდა სხვადასხვა ქვემდებარე წინადადებებს, აგრეთვე მაშინაც, როცა ეს „და“ მიზნის კავშირი იყო: „რად გნებავს, და გიყო შენ“ (ლ. 18, 41).

ერთ-მარცვლიანი თანდებულები (წინა თუ უკანა) სახელთან ერთად დავწერეთ: მიმკამდის (მ. 13, 30), მოადგილსა მას (ი. 5, 13), ჩემთვს, სენთაგან და სხვ., ორ-მარცვლიანები კი ცალკე: ზედა, თანა, შინა.

¹⁵⁰ მაგრამ გასწორდა: გეტყოლე (და არა: გეტყუდე, ი. 6, 63).

¹⁵¹ ა . შ ა ნ ი ძ ე , თომას სახარების აპოკრიფის ქართული ვერსიის ნაწყვეტი და მისი გაუგებარი ადგილები (სტალინის სახელობის თბ. სახ. უნივ. შრომები, XVIII, 33).

¹⁵² ა . შ ა ნ ი ძ ე , Новоткрытый алфавит кавказских албанцев: Изв. ИЯИМК, т. IV (1938), стр. 21.

ერთ-მარცვლიანი ნაწილაკები წინამავალ სიტყვას შეკუერთეთ: ცა, მცა, ვე, მე (კითხვითი „მე“-ს გარდა), მაგრამ ლეფისით გამოვყავით „ლა“ (მაშინ-ლა, მრ. 4, 28; არს-ლა ლ. 14, 22), და კითხვითი „მე“: ჰრქუას-მე (ლ. 17, 7), რად-მე (მრ. 23, 31), ვითარ-მე (ი. 5, 47 D), როდენ-მე (მ. 6, 23 C). ამის მიხედვით „ვინ-მე“ კითხვითი სახელთნაცვალა, „ვინმე“ კი — განუსაზღვრელობითი.

ლეფისითვე გამოვყავით „ესე“, „ეგე“ და „იგი“, როცა ესენი ნაწილაკის როლში გამოდიან და კითხვით სიტყვებს მიმართებითად აქცევენ: რად-ესე (მრ. 4, 24, ლ. 7, 22), რასა-ესე (მრ. 14, 60), რასა-ეგე (ლ. 5, 22), რომელნი-იგი (მრ. 3, 22 D), რომელთა-ეგე (მრ. 4, 24), რომლისა თანა-იგი (მრ. 5, 25), ვითარ-იგი (მრ. 4, 27), სადა-იგი და მისთ.

ლეფისებზე ვხმარობდით ტმესის შემთხვევებში (სახელზმნებშიც კი!): გან-რად-აგებდეს (მ. 4, 21), აღმო-ლა-ილე (მ. 7, 5), მო-ნუ-ისთულიან (მ. 7, 16), მო-ვინმე-უკვა (მ. 19, 16), მო-ვე-ელოს (მ. 13, 12), და-და-ილუმეს (ლ. 23, 56), დამო-თუმცა-ება ...და შთა-მცა-ვარდა (მრ. 9, 42), შე-ვე-ცთომილ (ი. 7, 47), შე-რე-დგინებად (ლ. 5, 3). თუ ორი სიტყვა იყო გამყოფი, ასე ვაშორებდით: შე- ხოლო თუ -ვახო (მ. 9, 21), მი- თუ ვისზე -უტევენთ (ი. 20, 23).

ლეფისითვე წარმოვადგინეთ კომპოზიტი სახელები: ტვრთ-მძიმე (მ. 11, 28), გულ-ძვრ (მ. 5, 23) და მისთ. და ზმნები: გულისჴმა-ყო, თავ-უყავ (მ. 19, 19 C), შეურაცხ-ყო, წამს-უყოფდეს, ჯუარს-აცუეს, ნათელ-სცა, ნათელ-ილო, ინაჴ-ილგა, თანა-მაც, ჴელ-მეწიფების, ძალ-მიც, ჴერ-არს და მისთ. ეს წესი გატარებულია სახელზმნებშიც: ნათლის-ცემა, ნათლის-მცემელი, თანა-მღები, თანა-ნადები, ჴუარს-ცუმა დამისთ.

ლეფისითვეა დაწერილი გარკვევებული სიტყვები: ადგილ-ადგილ, აღრე-აღრე, კაცად-კაცადი, პირად-პირადი, ძვრ-ძვრად და მისთ.

ერთგვარ დაბრკოლებას წარმოადგენს „ლათუ“ კავშირის ორთოგრაფია. სახარების ენაში ჴერ კიდეც არ არის ის ღართული „ლა“-ზე, რასაც ნათლად აჩენს ტმესი: „და შე-ლ ა თ უ -წუნა“ (მ. 14, 9) და ზოგიერთი სხვა შემთხვევაც: „და უნდა ღ ა თ უ მისი მოკლვად“ (მ. 14, 5). ამიტომ, როცა ის უშუალოდ მოსდევდა „ლა“ კავშირს, ვყოფდით მისგან: „და ღ ა თ უ მკუდრეთით ვინმე ადდგეს“ (ლ. 16, 31), „და ღ ა თ უ ღმრთისა არა მეშინის“ (ლ. 18, 4), „და ღ ა თ უ ესენი ღუმენ“ (ლ. 19, 40). მერმინდელ ძეგლებში „ლათუ“ უკვე შერწყმულია „ლა“-სთან: დალათუ.

ზოგ შემთხვევაში, მოკლე სტრიქონების გამო, იძულებული ვიყავით შევრიგებოდით უჩვეულო გაყოფას სიტყვისას სტრიქონიდან სტრიქონზე გადატანისას: ჰრქუ-ეს (მრ. 11, 83).

6. მუხლებად დაყოფისათვის

ამ გამოცემაში თავებად და მუხლებად დაყოფა ახალი წესით არის გატარებული (როგორცაა, მაგ., თბილისს 1912 წელს გამოცემულს ახალ აღთქმაში). რაც შეეხება ძველ სტიქომეტრიულ სისტემას, მას ამ გამოცემაში მოვერიდეთ, რადგანაც საკითხი სათანადოდ შესწავლილი არ არის ქართ. ხელნაწერების მიმართ; ამიტომ აქ არ მოიპოვება არც გვერდობლივი სიმფონია ამონიოს-ევსებისა ქვემო აშიებზე, და არც შემავჯუმლებელი კანონები ოთხთავის წინ. ყველა ეს განზრახულია „ძველი ქართ. ენის ძეგლების“ ერთ-ერთ წიგნში, სადაც წარმოდგენილი იქნება ქართ. ოთხთავების უკანასკნელი რედაქცია, გ. მთაწმიდლის შემუშავებული ქართულისა და ბერძნული ტექსტების შეჯერების შედეგად. გიორგისეულ ტექსტებთან ერთად, მის პარალელურად, მოცემული იქნება გარდამავალი საფეხურის რედაქცია.

7. ამ წიგნის გამოცემისათვის

ამ წიგნის გამოცემა ასე წარმოდგა: აღრიდანვე განზრახული მქონდა გამოემეცა ქართული ოთხთავის უძველესი ტექსტი, როგორც ისეთი ძეგლი, რომელიც ქართული სალიტერატურო ენის საწყისებს კარგად წარმოგვიდგენს. ამ მიზნით ჯერ კიდევ ამ ოცდახუთიოდე წლის წინად გადმოვაწერინე სტუდენტს ბ. ჩიქობავას მთელი აღიშის ოთხთავი. შემდეგ დაწინაურებულ სტუდენტებს და ასპირანტებს ვაძლევდი გარკვეულ დავალებებს ოთხთავთა ენის შესახებ; მაგ., ა. კიზირიამ საკანდიდატო თემად აიღო „მართვა-შეთანხმების საკითხები ძველს ქართულში ჯრუჭის ოთხთავის მიხედვით“ (1940 წ.) და სამისოდ გადმოწერა მთელი ხელნაწერი; ი. იმნაიშვილს მივეც დასამუშავებლად „ძველი ქართული ოთხთავები რელაქციულად“. სამისოდ მან გადმოწერა პარხლის ოთხთავი და შეუდარა ის სხვა ძველ ოთხთავებს, მათ შორის ჯრუჭისას, საიდანაც მან ვარიანტები გადმოიწერა. ამ წიგნის გამოცემისას DE-ს ნაწილში ეს იმნაიშვილის გადმონაწერი იქნა გამოყენებული, ხოლო აღიშის ოთხთავი (C) საგანგებოდ გადმოვაწერინე ჩემს ყოფ. მასწავლებელს მ. ფხალაძეს (1938 წ.).

ორივე გადმონაწერი გავმართე სასტამბოდ (პირველ წყაროებთან შედარებაში მშველოდა ორივე თანამშრომელი: ქართ. ენის კათედრის დოცენტები ილია აბულაძე და ივანე იმნაიშვილი) და გადავეცი წარმოებას 1944 წლის დასაწყისში. შემდეგ თვით წყობის პროცესში (ჩვეულებრივ მეორე კორექტურაში) ანაწყობ ტექსტს კვლავ ვუდარებდით ხელნაწერებს (აღიშის ოთხთავის ფოტოტიპებს)¹⁵³, მაგრამ ისე, რომ აღიშის ოთხთავს უმთავრესად მე ვუდარებდი, ჯრუჭ-პარხლისას კი — აბულაძე და იმნაიშვილი. პირველ კორექტურებს უმთავრესად იმნაიშვილი კითხულობდა, მეორესა და მესამეს — ყველანი, ხოლო მეოთხეს — უმთავრესად ამ სტრიქონების დამწერი. თუ სადმე რაიმე იჭვი გაჩნდებოდა ცალკეული საკითხის შესახებ, კვლავ პირველ წყაროებს მივჰმართავდით ხოლმე. მიუხედავად ამისა, თუ სადმე კორექტურული შეცდომა გაიპარა გამოცემაში, რომელსაც ესდენ ყურადღებით ვეპყრობოდით სამნივე, ან ტექსტი არა იმგვარად არის დადგენილი, როგორც საჭიროა, ამისი პასუხისმგებლობა მხოლოდ და მხოლოდ ამ წიგნის გამოცემის ხელმძღვანელს ეკისრება.

ა. შანიძე.

4.12.1944

თბილისს.

დათქმული ნიშნები

A ოზიზის ოთხთავი (913 წ.).

B ტბეთის ოთხთავი (995 წ.).

C აღიშის ოთხთავი (897 წ.).

D ჯრუჭის ოთხთავი (936 წ., სურათები 940 წ.).

D* (შენიშვნები) ჯრუჭის ოთხთავის გაცხოველებული ადგილები.

E პარხლის ოთხთავი (973 წ.).

X ხანმეტი ლექციონარი (= ქართ. ენის ძეგლები, 1).

Y ხანმეტი ნაწყვეტები, გამოცემული ი. ჯავახიშვილის მიერ (ტ. უ. მ., II).

¹⁵³ იმედი მქონდა, რომ საბოლოო შედარებისთვის სვანეთიდან თბილისში მივიღებდით თვით ხელნაწერს, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს ვერ მოხერხდა. ამიტომ C-ს ტექსტი მარტო ფოტოტიპიური გამოცემის მიხედვით არის დამუშავებული.

Z ჰაემეტი ტექსტები, გამოცემული ა . შ ა ნ ი ძ ი ს მიერ (ტ. უ. მ., III).

მ. (მათ.) მათეს სახარება.

მრ. (მარკ.) მარკოზის სახარება.

ლ. (ლუკ.) ლუკას სახარება.

ი. (იოვ.) იოვანეს სახარება.

[] კავებში ჩასმულია ფურცლის ჩამონაჭერ ან ჩამონახვევ ნაწილს გაყოლილი და ჩვენ მიერ აღდგენილი ასოები ან სიტყვები, რომლებიც არ მოიპოვება ხელნაწერის დაზიანების გამო.

() ფრჩხილებში ჩასმულია ჩვენ მიერ დამატებული ასოები ან სიტყვები, რომლებიც არ ჩანს, ან არ დაუწერიათ.

+ (ჯვარი) ნიშნავს: უმატებს (ან: მეტია).

– (მინუსი) ნიშნავს: აკლებს (ან: აკლია).

|| ფურცლის პირველი გვერდის დასაწყისი D-ში (recto) [ნახე ფურცლების საძიებელი, გვ. 381 – 382].

| a) ტ ე ქ ს ტ შ ი : ფურცლის მეორე გვერდი (verso).

b) შ ე ნ ი შ ე ნ ე ბ შ ი : სიტყვა გადატანილია სტრიქონიდან სტრიქონზე (შეცდომა ზოგჯერ სიტყვის გადატანისაგან არის წარმომდგარი: ეძი | ეძიებენ მ. 6, 32).